ევროპის უნივერსიტეტი

ხარისხის განვითარების წლიური ანგარიში

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის,

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის და სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის საქმიანობის

შედეგების ანალიზი

2022-2023 აკადემიური წელი

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

სარჩევი

თავი 1. ხარისხის უზრუნველყოფის რეგულირება და პრინციპები 4

თავი 2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები..... 6

თავი 3. სწავლა-სწავლება და მომსახურება..... 7

3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება 7

3.1.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამის ხელმძღვანელების მიერ 7

3.1.2. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ 8

3.1.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ..... 12

3.1.4. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების გზით 12

3.1.5. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის მდგრადობის კუთხით 20

3.2. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება 21

3.2.1. აკადემიური პერსონალის შეფასება განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიხედვით 21

3.2.2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პროფესიული განვითარებისა და აკადემიური საქმიანობის მიხედვით 32

3.2.3. ნაშრომის ხელმძღვანელების შეფასება სტუდენტების მიერ 35

3.2.3. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით. 37

3.3. სასწავლო პროცესის შეფასება..... 44

3.3.1. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის და მონიტორინგის მეთოდლოგია 44

3.3.2. ზოგადი კმაყოფილების კვლევები: სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვა..... 47

3.3.3. სტუდენტების კმაყოფილების კვლევა მათთან შეხვედრების ჩატარების გზით 54

3.3.4. საგამოცდო პროცესების შეფასება სტუდენტების მიერ 55

3.3.5. პრაქტიკის კომპონენტის შეფასება სტუდენტების მიერ..... 60

3.3.6. საერთაშორისო აკადემიური მობილობის შეფასება სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ 64

3.3.7. მობილობით გადასული და მობილობით გადმოსული სტუდენტების გამოკითხვა 68

თავი 4. კვლევა 71

4.1. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასება 71

4.2. პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის შეფასება საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის გზით 72

4.3. საგრანტო პროექტების მიმდინარეობისა და შედეგების მნიშვნელობის შეფასება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ 76

4.4. პლაგიატის შემთხვევების შეფასება 78

თავი 5. მართვის პროცესები 82

თავი 6. შეფასების შედეგების გამოყენება 85

თანდართული ანგარიშები/მტკიცებულებები 183

თავი 1. ხარისხის უზრუნველყოფის რეგულირება და პრინციპები

ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად ღირებულებებს, მიდგომებსა და პრინციპებს ევროპის უნივერსიტეტში განსაზღვრავს დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ (დამტკიცებულია მმართველი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით, ოქმი №6). პოლიტიკის თანახმად, ხარისხის მართვა ევროპის უნივერსიტეტის საქმიანობის ყოველდღიური ნაწილი და პროცესში ჩართული ყველა პირის პასუხისმგებლობაა. საუნივერსიტეტო საქმიანობის ხარისხი გამომდინარეობს საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრთა კომპეტენციისგან, პასუხისმგელობისგან და ეთიკური ქცევისგან.

ევროპის უნივერსიტეტში, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით საქმიანობის მთავარი ღირებულებები და მიდგომებია: გამჭვირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდურობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს პრინციპით: დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე. აღნიშნული პრინციპის დაცვით სისტემის ფუნქციონირება უზრუნველყოფილია ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საშუალებით.

უნივერსიტეტში შემუშვებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დასახული მიზნების მისაღწევად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს დოკუმენტით „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები“ (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №96 ბრძანებით), რომელიც აჯამებს ხარისხის შიდა და გარე შეფასების პროცესებს, აღწერს თუ რა დამატებით დოკუმენტაციას ეყრდნობა იგი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში, ასევე, აღწერს თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებით ხორციელდება შეფასების პროცესი და თუ როგორ ხდება შეფასების შედეგების გამოყენება, პროცესებისა და მიღებული შედეგების დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი საქმიანობის პროცესში დამატებით ეყრდნობა უნივერსიტეტში მოქმედ შემდეგ სამართლებრივ აქტებს:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 16 მარტის №65 ბრძანებით);
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 მარტის №92 ბრძანებით);
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №84 ბრძანებით);
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №83 ბრძანებით);
- პერსონალის შერჩვის წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №86 ბრძანებით);
- სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №85 ბრძანებით;);
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №94 ბრძანებით);
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 მარტის №89 ბრძანებით);
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №82 ბრძანებით);
- სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 მარტის №91 ბრძანებით);
- კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელო (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №95 ბრძანებით);
- საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 მარტის №62 ბრძანებით);
- საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 27 ოქტომბრის №308 ბრძანებით);
- საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 27 ოქტომბრის №309 ბრძანებით);

- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 28 მარტის №105 ბრძანებით);
- კვლევის დაფინანსების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 მარტის №90 ბრძანებით;);
- პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 მარტის №63 ბრძანებით);
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 მარტის №61 ბრძანებით);
- ევროპის უნივერსიტეტის დებულება (დამტკიცებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2020 წლის 11 მარტის №3/2 ბრძანებით).

თავი 2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს ხარისხის შიდა და გარე შეფასებას.

ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები ითვალისწინებს:

ა) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით განხორციელებული ავტორიზაციის, აკრედიტაციის და მონიტორინგის შედეგად მიღებულ შეფასებას;

ბ) საერთაშორისო ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის შედეგად განხორციელებულ შეფასებას;

გ) ადგილობრივი ან საერთაშორისო მოწვეული ექსპერტების მიერ განხორციელებულ შეფასებას.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა ძირითად ასპექტს მოიცავს და სამ ძირითად მიმართულებად იყოფა:

ა) სწავლა-სწავლება და მომსახურება - საგანმანათლებლო პროგრამების, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის და სასწავლო პროცესის შეფასება, ანალიზი და რეაგირება;

ბ) კვლევა - კვლევითი საქმიანობის, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება, ანალიზი და რეაგირება;

გ) მართვის პროცესები - ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასება, ანალიზი და რეაგირება.



თავი 3. სწავლა-სწავლება და მომსახურება

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ერთ-ერთი მიმართულება, სწავლა-სწავლება და მომსახურება სამ ძირითად ასპექტს გულისხმობს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება

გ) სასწავლო პროცესის შეფასება

3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობითა და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, კერძოდ:

3.1.1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამის ხელმძღვანელების მიერ. 2022-2023 აკადემიურ წელს საგანმანათლებლო პროგრამები ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შესაბამისად შეფასდა პროგრამის ხელმძღვანელების მიერ სხვადასხვა მიმართულებით, როგორიცაა, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით შეფასება (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, შეფასება პროგრამის მე-4 დანართის მიხედვით, გამოკითხვის შედეგები), კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების მოკვლევა და შეფასება, სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, ექსტრაკურიკულურ აქტივობებში მონაწილეობის შეფასება, პროგრამის განხროციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, საბიბლიოთეკო რესურსის შეფასება. მიღებული შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარედგინა

მექანიზმების ფარგლებში წინასწარ შემუშავებული ანგარიშის სახით. ამავე ანგარიშში პროგრამის ხელმძღვანელების მიერ აღწერილია მიღებული შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამის განვითარებისა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით განხორციელებული აქტივობები, როგორიცაა, პროგრამის სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანა, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, საბიბლიოთეკო რესურსების განახლება და ა.შ. 2022-2023 აკადემიურ წელს აღნიშნული შეფასება ევროპის უნივერსიტეტში პროგრამის ხელმძღვანელების მიერ განხორციელდა უნივერსიტეტში მოქმედ ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე (გარდა ახლადაკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებისა, სადაც 2022-2023 აკადემიურ წელს არ ირიცხებოდა არცერთი სტუდენტი და შესაბამისად არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი: არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო/საშუალო საფეხურის ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა. ანგარიში ასევე არ მომზადებულა ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სადაც ირიცხება 3 დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, ხორციელდება ავტორიზებულ რეჟიმში, არ იგეგმება პროგრამის მომავალში განხორციელება, არ ცხადდება მიღება და შესაბამისად, აზრს კარგავს მისი შინაარსობრივი განახლება). შეფასების მიღებული შედეგები გამოყენებულ იქნა პროგრამების განახლებისა და განვითარების მიზნით. შედეგების გამოყენების შესახებ ინფორმაცია აღწერილია პროგრამის წლიური შეფასების ანგარიშებში, რომელიც ანგარიშგებისა და შეფასებისთვის გაეგზავნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს (დეტალებისთვის იხ. დანართი #1 - საგანმანათლებლო პროგრამების წლიური შეფასების ანგარიშები).

3.1.2. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ. 2022-2023 აკადემიურ წელს საგანმანათლებლო პროგრამები შეფასდა დაინტერესებული მხარეების მიერ, კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით. გამოკითხვის პროცესი (ისევე როგორც ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში ჩატარებული ყველა გამოკითხვის პროცესი) რეგულირდება კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელოს (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №95 ბრძანებით) შესაბამისად. დაინტერესებული მხარეები აფასებენ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს, პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, პროგრამის სასწავლო გეგმას, პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ სასწავლო კურსებს, ასევე, სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილი სამუშაო საათების მოცულობას. ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აღნიშნული გამოკითხვის

პროცესის უზრუნველსაყოფად იყენებს ელექტრონულ პლატფორმას: https://www.surveymonkey.com/. დაინტერესებული მხარეების შეფასების შედეგები გაეგზავნათ პროგრამის ხელმძღვანელებს ანალიზისა და რეაგირებისთვის, მიღებული შედეგების პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით გამოყენებისთვის. პროგრამის ხელმძღვანელები პროგრამის კომიტეტებთან ერთად განიხილავენ გამოკითხვის შედეგებს, აანალიზებენ მიღებულ შედეგებს, მსჯელობენ და იღებენ გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით ცვლილებების საჭიროების შესახებ. შეფასების მიღებული შედეგების ანალიზი, ანალიზის შედეგად გამოყოფილი საყურადღებო საკითხების შესახებ ინფორმაცია, ასევე, ანალიზის საფუძვლეზე პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორომაცია პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ანგარიშის სახით ეგზავნება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. 2022-2023 აკადემიურ წელს უნივერსიტეტში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა დაინტერესებული მხარეების მიერ მათი გამოკითხვის გზით, წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით. გამოკითხვის შედეგები დადებითია, ყველა დაინტერესებული მხარის მიერ საგანმანთლებლო პროგრამები მაღალი ქულით იქნა შეფასებული: შეკითხვაზე „გთხოვთ, შეაფასოთ საგანმანათლებო პროგრამის სასწავლო გეგმა“, ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან უმეტესწილად არის საშუალოდ 4 ქულა ან მეტი:

სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი







მედიცინის ფაკულტეტი





სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი



შენიშვნა: დაინტერესებული მხარეების შეფასების შედეგები არ არის წარმოდგენილი ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სადაც ირიცხება 3 დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, ხორციელდება ავტორიზებულ რეჟიმში, არ იგეგმება პროგრამის განხორციელება და შესაბამისად, აზრს კარგავს მისი შინაარსობრივი განახლება. შეფასება არ განხორციელებულა ასევე ახლადაკრედიტებულ საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამასა და საბაზო/საშუალო საფეხურის ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამაზე, სადაც წინა აკადემიურ წელს მოხდა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა და ანალიზი, რეკომენდაციების გათვალისწინება, და სადაც ამასთანავე მოცემულ მომენტში არ ირიცხება არცერთი სტუდენტი.

გამოკითხვის შედეგები გაანალიზდა და გამოყენებულ იქნა პროგრამის ხელმძღვანელებისა და კომიტეტების მიერ პროგრამების განვითარების მიზნით. მიღებულ შედეგებზე რეაგირებისა

და შედეგების გამოყენების შესახებ ანგარიში პროგრამის ხელმძღვანელების მიერ გაეგზავნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ანგარიშგებისა და შეფასებისთვის. რეაგირების ანგარიშები ცხადყოფს, რომ დაინტერესებული მხარეების შეფასების შედეგების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელდა ლოგიკური ცვლილებები (დეტალებისთვის იხ. დანართი #2 - დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები).

3.1.3. ახალდშემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების/მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ასევე ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, სტანდარტებთან, სხვა გარე და შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. პროცესი რეგულირდება საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 16 მარტის №65 ბრძანებით) შესაბამისად. დოკუმენტის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების, დაინტერესებული მხარეების მიერ პროგრამების შეფასების, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების შეფასების თუ ხრისიხის უზრუნველყოფის მექანიზმებით გათვალისწინებული პროგრამის შეფასების სხვა საშუალებების გამოყენების შედეგად მიღებული შედეგების საფუძველზე, პროგრამების ხელმძღვანელებისა და კომიტეტების მიერ პროგრამების განახლებული ან ახლადშემუშავებული ვერსიები ფაკულტეტის საბჭოს მიერ განხილვის შემდეგ, ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მოქმედ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ან ახლადშემუშავებული პროგრამის შესწავლისა და შეფასების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მზადდება დასკვნა თითოეული განახლებული პროგრამის ან ახლადშემუშავებული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. დასკვნა წარედგინება მმართველ საბჭოს მოქმედ პროგრამაში ცვლილებების ან ახლადშემუშავებული პროგრამის დამტკიცების მიზნით. 2022-2023 აკადემიურ წელს პროგრამების განვითარების მიზნით ცვლილებები შევიდა უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლაბლო პროგრამებში. არ მომხდარა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება. ზემოაღნიშნული დასკვნა 2022-2023 აკადემიურ წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში ნებისმიერი ცვლილების ინიცირებისა და დამტკიცების შემთხვევაში.

3.1.4. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების გზით. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ასევე ხორციელდება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების გზით. აღნიშნულ პროცესში გამოიყენება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები.

ა) სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდებით შეფასების მიზნით კეთდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი. ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 მარტის №92 ბრძანებით) მიხედვით განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების შესაბამისად, ანალიზის შედეგად იკვეთება საყურადღებო საკითხები. აკადემიურ მოსწრებაზე დაკვირვება ხორციელდება დინამიკაში, კერძოდ, ხორციელდება ბოლო სამი წლის მონაცემების შესწავლა, რაც ხელს უწყობს რეალურად საყურადღებო საკითხების იდენტიფიცირებას და გამორიცხავს ძლიერი ან/და სუსტი ჯგუფის ფაქტორებს ან სხვა ფაქტორებით გამოწვეულ შემთხვევით შედეგებს. აკადემიური მოსწრების მონაცემები შესწავლისა და ანალიზის მიზნით, ასევე ანალიზის შედეგების საფუძველზე საყურადღებო საკითხების გამოვლენის მიზნით ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელებს რეაგირებისთვის, კერძოდ, საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლის და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ცვლილებების განხორციელების მიზნით. რეაგირება შესაძლებელია გულისხმობდეს, სასწავლო გეგმაში კონკრეტული ცვლილებების განხორციელებას, სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული წინაპირობების შეცვლას, სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდლოგიის შეცვლას, გამოყენებული ლიტერატურის განახლებას და ა.შ. პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარედგინება აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგების გამოყენებისა და რეაგირების ანგარიშები. აკადემიური მოსწრების ანალიზი აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად ევროპის უნივერსიტეტში განხორციელდა 2022-2023 აკადემიურ წელსაც, უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში. დაკვირვებისა და მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული საყურადღებო საკითხები და რეაგირებების საჭიროება, რაც განხორციელდა კიდეც საგანმანთლებლო პროგრამების ფარგლებში. რათქმაუნდა დაფიქსირდა დადებითი შედეგებიც (სამიზნე ნიშნულების შესრულება), რომლის მიხედვითაც დაკვირვების საფუძველზე არ იკვეთება რეაგირების საჭიროებები. ასევე აღსანიშნავია სამიზნე ნიშნულებიდან მნიშვნელოვანი გადახრის შემთხვევები თუნდაც ერთი წლის მონაცემების შესწავლის საფუძვლეზე, რაც ასევე პროგრამის ხელმძღვანელების დაკვირვების, ანალიზისა და მიზეზების შესწავლის საფუძველია, თუმცა ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია დაკვირვება სამი წლის მონაცემებზე, რადგან კვლავ მაქსიმალურად დასაბუთებული იყოს დასკვნები და რეაგირების საჭიროებები. დაკვირვების შედეგად იკვეთება არავალიდური მონაცემების არსებობის შემთხვევებიც, კერძოდ, ჯგუფში არასაკმარისი რაოდენობის სტუდენტების (10-ზე ნაკლები სტუდენტის) არსებობა, ანდა მნიშვნელოვნად განახლებული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევებში, იგივე შინაარსის სასწავლო კურსებთან დაკავშირებით წინა წლების მონაცემების არარსებობა, ახლადაკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში სამწლიანი მონაცემების არარსებობა, ამ შემთხვევებშიც რათქმაუნდა მნიშვნელოვანია დაკვირვების გაგრძელება და მოანცემების შემდგომი ანალიზი, ვალიდური დასკვნების გაკეთებისა და ცვლილებების საჭიროებების გამოვლენის მიზნით.

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საყურადღებო საკითხების შეჯამება და განხორციელებული რეაგირებები შემდეგნაირად გამოიყურება საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით:

საგანმანათლებლო პროგრამა	რეაგრებისთვის დინამიკაში დაკვირვების საჭიროება		ანალიზის არავალიდური შედეგების შემთხვევები		ანალიზის საფუძველზე პროგრამის/ სასწავლო კურსის ცვლილება		ანალიზის საფ. განხორციელებული სხვა ტიპის რეაგირებები (მაგ. შეხვედრები საკითხის სიღრმისეულად მოკვლევის მიზნით)	
	სემესტრი		სემესტრი		სემესტრი		სემესტრი	
	I	II	I	II	I	II	I	II
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	√	√	√	√	√	√	√	√
ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა	√	√	√	√				
ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა	√	√	√	√			√	√
განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	√	√	√	√				
მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა	√	√	√	√				
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამა	√	√					√	√
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი პროგრამა	√	√	√	√			√	√
სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამა	√	√	√	√	√	√	√	√
სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი პროგრამა	√	√	√	√			√	√

მასწავლებლის მომზადების (60 ECTS) პროგრამა	√	√	√	√				
საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა	√	√	√	√				√
სამართლის საბაკალავრო პროგრამა	√	√	√	√			√	√
ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა	√	√	√	√	√	√	√	√
ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა	√	√	√	√			√	√

დეტალებისთვის იხ. დანართი #4 - სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება, აკადემიური მოსწრების ანალიზი, ანგარიშები ანალიზის შედეგების გამოყენებისა და რეაგირების შესახებ.

შენიშვნა: სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი არ განხორციელებულა ახლადშემუშავებულ და ახლადაკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სადაც 2022-2023 აკადემიურ წელს არ ირიცხებოდა არცერთი სტუდენტი, შესაბამისად არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი და არ არსებობდა მონაცემები ანალიზისთვის: არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო/საშუალო საფეხურის ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა. აკადემიური მოსწრების ანალიზი ასევე არ განხორციელებულა ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სადაც ირიცხება 3 დამამთავრებელი კურსის სტუდენტი და შესაბამისად, მონაცემები არავალიდურია რეაგირებების საჭიროების დასადგენად. ამასთანავე, როგორც უკვე აღინიშნა, არ იგეგმება პროგრამის მომავალში განხოციელება, არ ცხადდება მიღება და აზრს კარგავს მისი შინაარსობრივი განახლება.

სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ მეთოდად უნივერსიტეტი სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის თანახმად, ასევე განსაზღვრავს შეფასების უფრო კომპლექსურ მეთოდსაც, რაც გულისხმობს სწავლის შედეგების ჩაშლას შეფასების ინდიკატორებად და ინდიკატორების შეფასებას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით გამოვლენილი საყურადღებო შემთხვევების უფრო სიღრმისეულ შესწავლას და მიზეზების კვლევას. ინდიკატორების გამოყენებით სწავლის შედეგების შეფასების გეგმა შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში (პროგრამის

დანართი 4 - სწავლის შედეგების შეფასება) და შედეგების ვალიდურობის მიზნით (ვალიდური შედეგები შესაძლებელია მივიღოთ პროგრამების განახლებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ) დაგეგმილია მათი განხორციელება რიგ შემთხვევებში 2023-2024 ან შემდგომი აკადემიური წლებიდან. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი დანართების მიხედვით 2022-2023 აკადემიურ წელს აღნიშნული პირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგების შეფასება დაგეგმილი იყო და განხორციელდა 8 საგანმანათლებლო პროგრამაზე: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 ECTS), სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები. შედეგების შეფასების საფუძველზე ზემოაღნიშნული პროგრამების ფარგლებში საყურადღებო საკითხები არ გამოვლენილა, რაც მოითხოვდა საგანმანათლებლო პროგრამების ანდა კონკრეტული სასწავლო კურსების ცვლილებას, სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით. პროგრამის ხელმძღვანელების დასკვნის საფუძველზე პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგები, რომელთა შეფასებაც მოხდა 2022-2023 აკადემიურ წელს, ყველა შემთხვევაში მიიღწევა ანდა მცირე, გამონაკლის შემთხვევებში მონაცემების არსებული რაოდენობა, მათი შესწავლა და ანალიზი ვერ იძლევა საფუძლიანი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას პროგრამაში ანდა სასწავლო კურსებში ცვლილებების განხორციელების საჭიროების შესახებ. თუმცა შეფასებების ფარგლებში არსებობს კონკრეტულ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით გარკვეული ცვლილებების განხორციელების დაგეგმის შემთხვევები, მაგალითად, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ზემოაღნიშნული შეფასებების საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსების შემთხვევაში, სადაც გამოიკვეთა საყურადღებო საკითხი, შემოწმებული ნაშრომების რაოდენობა არ აღემატებოდა 10-ს, ევროპის უნივერსიტეტის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით კი იმისთვის, რომ შემოწმებული შედეგები იყოს ვალიდური კონკრეტულ სასწავლო კომპონენტზე უნდა შეფასდეს შემთხვევითი შერჩევის წესით შერჩეული 10-ზე მეტი სტუდენტის ნაშრომი, მაინც გადაიხედა ყველა იმ სასწავლო კურსის მიზნები, შედეგები და თემატიკა, სადაც გამოჩნდა, რომ შემოწმებული ნაშრომების 10%-ზე მეტი ვერ აკმაყოფილებდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის მიდევით დადგენილ სამიზნე ნიშნულს. შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსების უმრავლესობა არის მსხვილკრედიტიანი (მაგალითად: ფინანსური მენეჯმენტი, ფინანსური აღრიცხვა, მმართველობითი აღრიცხვა არის 9 კრედიტიანი სასწავლო კურსები), შესაბამისად, აღნიშნულ სასწავლო კურსებზე საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები საკმაოდ მსხვილია. სხვადასხვა მექანიზმების ფარგლებში წარმოებული დაკვირვებებისა და თავად სტუდენტთა თუ ლექტორთა მოსაზრებების მიხედვით

მსხვილკრედიტიანი სასწავლო კურსები არ იძლევა სათანადო შედეგებს, რადგან მიუხედავად საკმარისი მოცულობის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების არსებობისა, სტუდენტებისთვის რთულია ერთ სემესტრში აითვისონ აღნიშნული კრედიტების პირობებში გათვალისწინებული მოცულობის სასწავლო მასალა. შესაბამისად, შემდეგი აკადემიური წლისთვის დაიგეგმა არსებული მსხვილკრედიტიანი სასწავლო კურსების მიზნების, შედეგების, სასწავლო კურსების თემატიკის დეტალურად გადახედვა და კრედიტების, შესაბამისად სასწავლო მასალის სემესტრების მიხედვით უფრო გონივრული განაწილება, ისე რომ აღნიშნულმა ზეგავლენა არ მოახდინოს საბოლოოდ პროგრამით მისაღწევ სწავლის შედეგებზე. ზოგადად, უნივერსიტეტის მასშტაბით, უფრო კონკრეტულად კი სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში არსებობს აღნიშნული შეფასებების საფუძველზე რეაგირებისა და ცვლილებების განხორციელების ფაქტები, კერძოდ, 2020-2021 აკადემიურ წელს სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შეფასებების საფუძველზე პროგრამის ხელმძღვანელებისა და კომიტეტის მიერ გაიცა რეკომენდაცია შეფასების პროცესში მონაწილე სასწავლო კურსების (2 სასწავლო კურსის) განმახორციელებელი პერსონალის მისამართით შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე გამოყენებული შეფასების მეთოდების ცვლილებასთან დაკავშირებით, რათა უკეთ მოხდეს სასწავლო კურსებით დადგენილი შედეგების მიღწევის შემოწმება. რეკომენდაციის საფუძველზე განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები აღნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში (დეტალებისთვის იხ. დანართი #4 - სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება, სწავლის შედეგების შეფასება პროგრამის მე-4 დანართის შესაბამისად, ანგარიშები ანალიზის შედეგების გამოყენებისა და რეაგირების შესახებ).

ბ) სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდების ფარგლებში გამოიყენება პროგრამის კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების გაანალიზება და შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება. აღნიშნულ პროცესში დამსაქმებლები, იმ შემთხვევაში თუ მათთან დასაქმებულია ევროპის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ან სტუდენტი, აფასებენ დასაქმებულთა ცოდნასა და უნარებს, ხოლო კურსდამთავრებულები აფასებენ პროგრამის დასრულების შედეგად მიღებულ საკუთარ ცოდნასა და უნარებს, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და უნარების დონე და ხარისხი. გამოკითხვის პროცესის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ელექტრონული პლატფორმა: https://www.surveymonkey.com/. მიღებული შედეგები ეგზავნებათ პროგრამის ხელმძღვანელებს ანალიზისა და რეაგირებისთვის. პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ხდება მიღებული შედეგების პროგრამის კომიტეტის წევრებთან განხილვა, რეაგირების საჭიროების იდენტიფიცირება და დადგენა, საჭიროების დადგენის შემთხვევაში კი პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. პრგორამის ხაელმძღვანელების მიერ შედეგების ანალიზის გამოყენებისა და რეაგირების შესახებ ანგარიში წარედგინება ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურს ანაგრიშგებისა და შეფასებისთვის. აღსანიშნავია, რომ არაპირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მიღებული შედეგებიდან უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე საყურადღებოდ ითვლება შედეგი, თუ გამოკითხულ კურსდამთავრებულთა ან დამსაქმებელთა დიდი ნაწილი (30% და მეტი) თვლის, რომ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მან/უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ვერ მიიღო სფეროსთვის მნიშვნელოვანი სათანადო ცოდნა და უნარები და მათი დაუფლება მას/უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს მოუწია პროგრამის დასრულების შემდეგ, პროგრამის მიღმა. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ 2022-2023 აკადემიურ წელს ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების არაპირდაპირი შეფასება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მიერ განხორციელდა უნივერსიტეტში მოქმედი ყველა იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სადაც არსებობს პროგრამის კურსდამთავრებულები და მათი დამსაქმებლები და შესაბამისად, შესაძლებელია აღნიშნული არაპირდაპირი გზით პროგრამის შინაარსობრივი შეფასება.

შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურსდამთავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით საგნმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოიმუშავეს სათანადო ცოდნა და უნარები: შეკითხვაზე „გთხოვთ, შეაფასოთ საგანმანათლებო პროგრამა, რომელიც დაასრულეთ და ის ცოდნა და უნარები რაც პროგრამის დასრულების შედეგად შეიძინეთ“, ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან უმეტესწილად არის საშუალოდ 4 ქულა ან მეტი. შეფასების შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ დამსაქმებელთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი საგნმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულებმა გამოიმუშავეს სათანადო ცოდნა და უნარები: შეკითხვაზე “როგორ შეაფასებდით ევროპის უნივერსიტეტის კურსდამათვარებულის / სტუდენტის ცოდნასა და უნარებს”, ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან უმეტესწილად არის საშუალოდ 4 ქულა ან მეტი.

სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი





მედიცინის ფაკულტეტი



შენიშვნა: შეფასება არ ხორციელდება ანდა არ განხორციელებულა სრულად (ორივე შემფასებელი მხარის მიერ) იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც ახლადშემუშავებულია, ახლადაკრედიტებულია ისე, რომ 2022-2023 აკადემიურ წელს პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებული, შესაბამისად არ არსებობს მათი დამსაქმებელი, ანდა პროგრამას არ ჰყავს ადგილობრივი კურსდამთავრებული, ამდენად, არ არის ხელმისაწვდომი მათი ადგილობრივი დამსაქმებელი, ანდა გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა მიიღო ისეთმა პოტენციურმა დამსაქმებელმა, სადაც არ მუშაობს ევროპის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და შესაბამისად, შეუძლებელი იყო შეფასების განხორციელება, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებული, თუმცა შეფასება მაინც ხორციელდება პოტენციური დამსაქმებლის მიერ იმის გათვალისწინებით, რომ მათ აქვთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთან შეხება ან დასაქმების ანდა პრაქტიკის კომპონენტის შესრულების მიმართულებით (2022-2023 აკადემიურ წელს ზემოდასახელებული შემთხვევებიდან რიგი მიზეზით ვერ განხორციელდა ანდა სრულად ვერ განხორციელდა შეფასებები შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო/საშუალო საფეხურის ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა, ვეტერინარიის ინტეგრიერებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გათვალისწინებულია კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები პროგრამების განვითარებასთან დაკავშირებით. აღნიშნული დასტურდება, გამოკითხვის შედეგებით, შედეგების ანალიზისა და მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინების ანგარიშებით (დეტალებისთვის იხ. დანართი #3 - სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასება, კურსდამთვარებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები).

3.1.5. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის მდგრადობის კუთხით. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება პროგრამის მდგრადობის თვალსაზრისითაც. უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №84 ბრძანებით) თანახმად დადგენილი სამიზნე ნიშნულების მიხედვით განისაზღვრება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის მინიმალური რაოდენობა და შესაბამისად, ფასდება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის სათანადოობა. აღნიშნული მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება მონაცემების გამოთხოვა პროგრამის ხელმძღვანელებისგან და შეფასება, თუ რამდენად არის დაცული მეთოდლოგიით დადგენილი სამიზნე ნიშნულები. საგანმანათლებლო პროგრამების სათანადო რაოდენობით აკადემიური პერსონალით უზრუნველყოფის საკითხი აღნიშნული პროცედურის მიხედვით შეფასდა 2022-2023 აკადემიურ წელსაც. შეფასების შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა ყველა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში მეთოდოლოგიით დადგენილი, სათანადო რაოდენობის აკადემიური პერსონალის ჩართულობა (იხ. დანართი #20 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის ცხრილი).

3.2. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება ხდება სტუდენტებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პეროსონალის ჩართულობით, რამდენიმე მიმართულებით და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, კერძოდ:

3.2.1. აკადემიური პერსონალის შეფასება განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიხედვით. უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №83 ბრძანებით). დოკუმენტი არეგულირებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების საკითხს, მათ შორის აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას. დოკუმენტის ფარგლებში შემუშავებულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშის ფორმა. ფორმა განსაზღვრავს ყველა იმ აქტივობას, რაც აკადემიურ პერსონალს შესაძლოა ჩაეთვალოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობად. ფორმა ამასთანავე განსაზღვრავს თითოეული აქტივობის ქულას. ფორმით განსაზღვრულ თითოეულ აქტივობას ზემოაღნიშნული წესის მიხედვით ენიჭება განსხვავებული ქულა. ქულის მოცულობა თავისთავად გამომდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის მნიშვნელობისა და ღირებულებისგან. აკადემიური პერსონალი ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, აღნიშნულ წლიურ ანგარიშს წარუდგენს ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრს. დოკუმენტი ადგენს მინიმალურ შესასრულებელ მოთხოვნებს (მინიმალურ ქულას) აფილირებული აკადემიური პერსონალისა (აფილირებული პროფესორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი, აფილირებული ასისტენტ-პროფესორი და აფილირებული ასისტენტი) და აკადემიური პერსონალისთვის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი). აკადემიური პერსონალი ვალდებულია განახორციელოს წესით განსაზღვრული სამეცნიერო აქტივობები და ყოველწლიურად დააგროვოს მისთვის განსაზღვრული მინიმალური ქულათა რაოდენობა და მტკიცებულებებთან ერთად წარუდგინოს აქტივობების შესახებ ინფორმაცია ზემოაღნიშნული ანგარიშის სახით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრს. აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო წლის ბოლოს წარმოდგენილ ანგარიშს აფასებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი და ადასტურებს აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებულ სამეცნიერო აქტივობებს, ამასთანავე ადასტუებს ქულათა მინიმალური მოთხოვნის დაკმაყოფილებას. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი შეფასების შედეგებს აწვდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დადასტურებული შედეგების პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის წლიური შეფასების პროცესში გამოყენებისა და საბოლოო შეფასების შედეგებში გათვალისწინების მიზნით.

აკადემიური პერსონალის ზემოაღნიშნული ანგარიშის საფუძველზე განხორციელებული შეფასების შედეგები გამოიყენება შემდეგნაირად:

1. აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ ზედიზედ ორი წლის განმავლობაში სამეცნიერო აქტივობის შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს მისთვის შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. ერთი წლის გასვლის შემდეგ სამეცნიერო აქტივობების შეუსრულებლობის შემთხვევაში აფილირებულ აკადემიური პერსონალს ეძლევა გაფრთხილება.

2. აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით დადგენილი მინიმალური მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში, აფილირებულ აკადემიურ პერსონალს ეძლევა შესაბამისი ანაზღაურება: აფილირებულ პროფესორს - 3000 ლარის ოდენობით, აფილირებულ ასოცირებულ პროფესორს - 2500 ლარის ოდენობით, აფილირებულ ასისტენტ-პროფესორს - 2000 ლარის ოდენობით, აფილირებულ ასისტენტს - 1500 ლარის ოდენობით. აქვე აღსანიშნავია, რომ აფილირებული აკადემიური პერსონალის ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ ევროპის უნივერსიტეტის სახელით განხორციელებული სამეცნიერო აქტივობით დაგროვებული ქულების მიხედვით.

3. აკადემიური პერსონალის საქმიანობის წლიური შეფასების შედეგების (სადაც გარკვეული პროცენტული წილი ეთმობა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგებს), რანჟირების საფუძველზე, თითოეულ ფაკულტეტზე სამი საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიურ პერსონალს, წახალისების მიზნით, გადაეცემა ფულადი ჯილდო (I ადგილი - 1500 ლარი, II ადგილი - 1000 ლარი, III ადგილი - 500 ლარი).

4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით აფასებს მიღებულ შედეგებს, აანალიზებს და ადგენს აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის საჭიროებებს და გეგმავს ხელშეწყობის მიმართულებებსა და ხელშეწყობისთვის საჭირო აქტივობებს. შეფასების შედეგების გამოყენება და შედეგებზე ზემოაღნიშნული რეაგირება უნივერსიტეტის მხრიდან განიხილება, როგორც აკადემიური პერსონალის სამცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მექანიზმი და ფინანსური მხარდაჭერის საშუალება.

აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ევროპის უნივერსიტეტში განხორციელდა 2022-2023 აკადემიური წლის ბოლოს (იხ. დანართი #5 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშები და აქტივობების განხორციელების მტკიცებულებები).

2022-2023 აკადემიური წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტატისტიკური ანალიზი შემდეგნაირად გამოიყურება:

2023 წლის აგვისტოს მონაცემებით, ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჯამური რიცხვი შეადგენდა 804-ს (226 აკადემიური და 578 მოწვეული პერსონალი): სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი - 87 აკადემიური და 157 მოწვეული პერსონალი, მედიცინის ფაკულტეტი - 119 აკადემიური და 391 მოწვეული პერსონალი, სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი - 20 აკადემიური და 30 მოწვეული პერსონალი:



2023 წლის აგვისტოს მონაცემებით, ევროპის უნივერსიტეტთან აფილირებულია 105 (46%,) აკადემიური პერსონალი: სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი - 35 აფილირებული აკადემიური პერსონალი, მედიცინის ფაკულტეტი - 52 აფილირებული აკადემიური პერსონალი, სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი - 18 აფილირებული აკადემიური პერსონალი.

2022-2023 აკადემიურ წელს, 226 აკადემიური პერსონალიდან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში 84 (37%) აკადემიურმა პერსონალმა წარმოადგინა:

სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე ჯამში 29 (33%) აკადემიურმა პერსონალმა წარმოადგინა წლიური ანგარიში: 18 აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა (აფილირებული პერსონალის 51%), საიდანაც 14 (78%) დააკმაყოფილა მინიმალური მოთხოვნა, და 11 არააფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა (არააფილირებული აკადემიური პერსონალის 21%), საიდანაც მინიმალური მოთხოვნა დააკმაყოფილა 11 (100%) აკადემიურმა პერსონალმა.

მედიცინის ფაკულტეტზე ჯამში 48 (40%) აკადემიურმა პერსონალმა წარმოადგინა წლიური ანგარიში: 30 აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა (აფილირებული პერსონალის 58%), საიდაც 24 (80%) დააკმაყოფილა მინიმალური მოთხოვნა, და 18 არააფილირებულმა

აკადემიურმა პერსონალმა (არააფილირებული აკადემიური პერსონალის 27%), საიდანაც მინიმალური მოთხოვნა 16 (89%) აკადემიურმა პერსონალმა დააკმაყოფილა.

სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე ჯამში 7 (35%) აკადემიურმა პერსონალმა წარმოადგინა წლიური ანგარიში: 6 აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა (აფილირებული პერსონალის 33%), საიდაც 2 (29%) დააკმაყოფილა მინიმალური მოთხოვნა და 1 არააფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა (არააფილირებული აკადემიური პერსონალის 50%), საიდანაც მინიმალური მოთხოვნა 1 (100%) აკადემიურმა პერსონალმა დააკმაყოფილა.



2022-2023 აკადემიური წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული იყო შემდეგი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები:

სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები	სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი	მედიცინის ფაკულტეტი	სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი	სულ
სტატიები იმფაქთ-ფაქტორიან ჟურნალებში	4	32	1	37
სტატიების გამოქვეყნება Google Scholar-ის ჟურნალებში	34	47	3	84
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენებით გამოსვლა)	31	51	1	83
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენების გარეშე)	1	19	1	21

ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენებით გამოსვლა)	7	19	0	26
ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (მოხსენების გარეშე)	0	0	1	1
დაფინანსებული საგრანტო კვლევითი პროექტის ხელმძღვანელობა	4	5	0	9
დაფინანსებულ საგრანტო კვლევით პროექტში მონაწილეობა (ძირითადი პერსონალი)	5	6	0	11
გამოგონება/პატენტი	0	1	0	1
მონოგრაფიის/სახელმძღვანელოს საზღვარგარეთ გამოშვება	0	1	0	1
მონოგრაფიის / სახელმძღვანელოს გამოშვება	19	4	2	25
პირველ პუნქტში მითითებული სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორობა	0	2	0	2
პირველ პუნქტში მითითებული სამეცნიერო ჟურნალის რეცენზენტობა	0	3	0	3
Google Scholar-ის ჟურნალის რედაქტორობა	6	3	0	9
Google Scholar-ის ჟურნალის რეცენზენტობა	5	0	0	5
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრობა	5	5	0	10
ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრობა	0	14	0	14
სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის რეცენზირება	8	0	4	12
ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება	0	0	0	0
საზღვარგარეთ ჩატარებული სტუდენტური კონფერენციების ნაშრომების ხელმძღვანელობა	0	0	0	0
ადგილობრივი სტუდენტური კონფერენციების ნაშრომების ხელმძღვანელობა	3	37	0	40

2022-2023 აკადემიურ წელს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ ფაკულტეტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი რაოდენობის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობა:



ზემოაღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საფუძველზე გაცემულმა ანაზღაურებამ ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის 2022-2023 აკადემიურ წელს შეადგინა 85 450 ლარი.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ თავისმხრივ ჩატარდა გამოკითხვა აკადემიური პერსონალის საჭიროებების დადგენის მიზნით. გამოკითხვა ჩატარდა 2022 წლის 12 - 18 ოქტომბრის პერიოდში. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ევროპის უნივერსიტეტის 66-მა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა. შეკითხვები მიზნად ისახავდა იმ თემების გამოვლენას, რომლებზეც პერსონალი ისურვებდა მეტი ინფორმაციის მიღებას ვორქშოპების/ტრენინგების/საინფორმაციო შეხვედრების სახით, ასევე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის რა მიმართულებით საჭიროებდნენ გადამზადებას/მომზადებას და რა სახის ხელშეწყობის მიღებას ისურვებდნენ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრისგან. გამოკითხვის შედეგები გაანალიზდა და შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შესაბამისი ვორქშოპების / ტრენინგების / საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება დაიგეგმა, კერძოდ, გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე მიმართულება (ღია მეცნიერების პრინციპები, სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობა, მენტორობა, კოლაბორაციული კვლევა და ა. შ.) და 2022-2023 აკადემიური წლისთვის დაიგეგმა შესაბამისი ტრენინგები/ვორქშოფები.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ 2022-2023 აკადემიურ წელს შესაბამისად განხორციელდა შემდეგი სხვადასხვა ტიპის აქტივობა უნივერსიტეტის

აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით:

1. 2022 წლის 15 დეკემბერს ევროპის უნივერსიტეტის და ქუთაისის უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართა მეორე საერთაშორისო კონფერენცია "განათლება, ტექნოლოგიები და ინოვაცია". კონფერენციაზე მთავარ მომხსენებლად მოწვეულნი იყვნენ საერთაშორისო დონის ექსპერტები განათლების დარგში: ევროკომისიის ერთობლივი კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი ანასტასია ეკონომუ და ჰალის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) ხელოვნების, კულტურისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, დოქტორი დარენ მანდი. კონფერენციის მონაწილეები წარმოადგენდნენ 6 ქვეყანას: საქართველო, დიდი ბრიტანეთი, კანადა, საფრანგეთი, აშშ, ბაჰრეინი. დეტალური ინფორმაცია (კონფერენციის პროგრამა, ფოტო გალერეა, აბსტრაქტების კრებული, ა.შ.) იხილეთ კონფერენციის ოფიციალურ ვებგვერდზე: http://iceti.eu.edu.ge/.

2. 2022 წლის აგვისტო - 2023 წლის ივლისის პერიოდში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან შემდეგი ინფორმაცია გაზიარდა:

   - SRSNFG 2022 კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად https://rustaveli.org.ge/geo/mimdinare-konkursebi/fondi-atskhadebs-akhalgazrda-metsniertatvis-stipendiis-mosapoveblad-konkurss

   - SRNSFG 2022 გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები https://rustaveli.org.ge/geo/mimdinare-konkursebi/fondi-atskhadebs-gamokenebiti-kvlevebisatvis-sakhelmtsifo-sametsniero-grantebis-2022-tslis-konkurss

   - SRNSFG 2022 სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობ სამეცნიერო კვლევით საგრანტო კონკურსი https://rustaveli.org.ge/geo/mimdinare-konkursebi/fondi-atskhadebs-2022-tslis-sakhelmtsifo-enis-datsvisa-da-ganvitarebis-khelshemtskobi-sametsniero-kvleviti-sagranto-konkurss

   - SRNSFG 2022 საგრანტო კონკურსი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის https://rustaveli.org.ge/geo/mimdinare-konkursebi/fondi-atskhadebs-2022-tslis-sakhelmtsifo-sagranto-konkurs-saqartveloshi-da-sazghvargaret-arsebuli-qartuli-materialuri-da-sulieri-memkvidreobis-sametsniero-kvlevisatvis

   - Elsevier-ის ვორქშოპები მკვლევრებისთვის https://www.elsevier.com/

   - Georg Forster Research Fellowship 2022-2023 https://www.humboldt-foundation.de/en/apply/sponsorship-programmes/georg-forster-research-fellowship

- NRC Research Associateship Programs https://sites.nationalacademies.org/PGA/RAP/PGA_046398
- რუმინეთის მთავრობის სასტიპენდიო პროგრამა მკვლევრებისთვის "Eugen Ionescu" https://www.auf.org/nouvelles/appels-a-candidatures/bourses-de-recherche-doctorale-et-postdoctorale-eugen-ionescu-appel-candidatures-2022-2/
- FOSTER - უფასო ონლაინ კურსები მკვლევრებისთვის https://www.fosteropenscience.eu/courses
- II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "განათლება, ტექნოლოგიები და ინოვაცია" (ICETI 2022) http://www.iceti.eu.edu.ge/
- მოწვევა ღონისძიებაზე "წლის საუკეთესო მიღწევა" https://bit.ly/3zxw6Le
- SRNSFG 2022 მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი https://rustaveli.org.ge/geo/siakhleebi/fondi-atskhadebs-metsnierebis-teqnologiebis-injineriisa-da-matematikis-STEM-mimartulebit-interdistsiplinuri-kvlevebis-2022-tslis-sakhelmtsifo-sametsniero-sagranto-konkurss
- მოწვევა OPENJOURNALS.GE - ს პრეზენტაციაზე http://openjournals.ge/
- ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) საინფორმაციო დღე https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSfQhKZ1HZXLAWA-f8yufCx_2Tl4TuT5JHRlCn1kFmGo83eEsg/viewform?usp=sf_link
- „ჰორიზონტი ევროპა“ საინფორმაციო დღეები (Horizon Europe Info Days) - 6 -16 დეკემბერი, 2022 https://research-and-innovation.ec.europa.eu/events/horizon-europe-info-days_en
- განათლების პოლიტიკისა და ინოვაციების მეორე კონფერენცია https://apa.sdg4education2030.org/call-abstracts-kix-eap-education-policy-and-innovation-conference-epic-2023
- ავსტრიის სახელმწიფო სასტიპენდიო და საგრანტო პროგრამები https://oead.at/?id=1597; https://grants.at/en/
- EOSC Future - Pan-European digital assets supporting research communities – Benefits & opportunities (5-6 December, 2022) https://eoscfuture.eu/eventsfuture/webinar-pan-european-digital-assets-supporting-research-communities-benefits-opportunities/
- აბსტრაქტების მიღება - International Conference "Competitiveness model of innovative development of Ukraine’s Economy" (Ukraine)

- ITEC: Indian Technical and Economic Cooperation programme https://www.itecgoi.in/index
- III International Scientific and Practical Conference "Residency in Family Medicine: Achievements, Problems and Prospects"
- კავკასიის უნივერსიტეტის მერვე წლიური სამეცნიერო კონფერენცია https://cu.edu.ge/events/cu-conference-science
- პოლონეთის რესპუბლიკის ლეინ კირკლენდის სასტიპენდიო და კვლევითი პროგრამები 2023 https://kirkland.edu.pl/en/scholarship-competition/?fbclid=IwAR10tVnakmPMlkEFxyIdvSxl8fn4_LGA6ublZKPg55eKw6nGL55oHtApjwM
- ფონდი Imminent-ის საგრანტო კონკურსი https://bjr40cfq60x.typeform.com/to/xv9zLltA
- IBRO/IBE-UNESCO Science of Learning Fellowships https://ibro.org/ibe-unesco-science-of-learning-fellowships/
- SRSNFG 2023 საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი https://rustaveli.org.ge/geo/mimdinare-konkursebi/fondi-atskhadebs-2023-tslis-saqartvelos-sazghvrispira-regionebis-shemstsavleli-sametsniero-kvleviti-proeqtebis-khelshetskobisa-da-saertashoriso-sametsniero-ghonisdziebebis-sagranto-konkurss
- SRSNFG 2023 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი https://rustaveli.org.ge/geo/mimdinare-konkursebi/fondi-atskhadebs-2023-tslis-saqartvelos-okupirebuli-teritoriebis-shemstsavleli-sametsniero-kvleviti-proeqtebis-khelshetskobisa-da-saertashoriso-sametsniero-ghonisdziebebis-sagranto-konkurss
- SRSNFG 2023 კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი https://rustaveli.org.ge/geo/mimdinare-konkursebi/fondi-atskhadebs-2023-tslis-kavkasiologiis-mimartulebit-sametsniero-kvleviti-proeqtebis-khelshetskobisa-da-saertashoriso-sametsniero-ghonisdziebebis-sagranto-konkurss
- SRSNFG 2023 ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი https://rustaveli.org.ge/geo/mimdinare-konkursebi/fondi-atskhadebs-fundamenturi-kvlevebisatvis-sakhelmtsifo-sametsniero-grantebis-2023-tslis-konkurss

- ვებინარი „ლიტერატურის ძიება ScienceDirect-ში + Mendeley – გზამკვლევი დამწყებთათვის“ https://www.elsevier.com/en-xm/events/webinars/elsevier-training-and-demo-webinars/georgia
- Individual Fellowships 2023 - The Center for Eastern European Studies (CEES) https://www.cees.uzh.ch/de/Fellowship-Program/Current-Call.html
- ELSEVIER-ის ვებინარები მკვლევარებისთვის https://elsevier.zoom.us/webinar/register/WN_YnuAOn_yRSSmkNggx4ZOCg
- საერთაშორისო კონფერენცია “E-Government. Challenges for digital public services in the EU”
- სლოვაკეთის სახელმწიფოს სასტიპენდიო პროგრამები 2023-2024 http://www.scholarships.sk/
- VolkswagenStiftung - საერთაშორისო ვორქშოპებისა და საზაფხულო სკოლების კონკურსი https://www.volkswagenstiftung.de/en/funding/funding-offer/perspectives-wealth-re-production-wealth
- Interreg NEXT Black Sea Basin Grant Competition 2023 https://blacksea-cbc.net/interreg-next-bsb-2021-2027/calls-for-proposals/first-call-for-proposals
- Silk Roads Youth Research Grant 2023/აბრეშუმის გზის ახალგაზრდული კვლევის გრანტი 2023 https://en.unesco.org/silkroad/youthgrant-applicant-guidelines
- APA - Bruce and Jane Walsh Grant 2023 https://apf.apa.org/funding/walsh-grant/
- STEG Small Research Grants 2023 https://steg.cepr.org/call-for-proposals/sixth-call-proposals-steg-small-research-grants
- ვებინარი "ხელოვნური ინტელექტი და აკადემიური კეთილსინდისიერება" http://links.timeshighereducationemail.com/els/v2/xq90QkAjRZt2/SUVrSXNpVTQwS3g4d0hOUmJNN1Jjdng1SmMzM0EwUU1IQTlQelRGcVZRczdoa0Rqb2dNQ0xReC83Q1dweHZRWVhiQVNMM0UyK0YxZjVsbzcxV0FkcEVzeUl1dkYwdU5uUFVUMEtGTnV1ZlUvZ1M5bGFmQmN4UT09S0/

3. 2022 წლის 15-18 ნოემბერს უნივერსიტეტში არსებული „კვლევის დაფინანსების წესის" და „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმების" წესის გასაცნობად განხორციელდა ონლაინ სამუშაო შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

4. 2023 წლის 2 თებერვალს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის განხორციელდა ონლაინ ვორქშოფი თემაზე „ღია მეცნიერების პრინციპები“, რომელსაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე, ევროპოს

უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, გიგა ხოსიტაშვილი უძღვებოდა. ვორქშოფის ხაგრძლივობა - 3 საათი. სამუშაო ენა - ქართული. ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატები. ჩატარდა კმაყოფილების კვლევა.

5. 2023 წლის 16 თებერვალი - 23 მარტის პერიოდში აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდება ონლაინ ტრენინგი „სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავება და ანალიზი R-ის გარემოში", რომელსაც უძღვება CRRC-ის დირექტორი და კარლტონის უნივერსიტეტის (ოტავა, კანადა) შტატგარეშე მკვლევარ-პროფესორი, დავით სიჭინავა. ტრენინგის ხანგრძლივობა შეადგენდა 20 საათს. სამუშაო ენა - ქართული. ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატები. ჩატარდა კმაყოფილების კვლევა.

6. 2023 წლის 19 აპრილს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ონლაინ ვორქშოფი „აკადემიური თავისუფლება", რომელსაც უძღვებოდა ევროპული სტუდენტების გაერთიანების ექსპერტი აკადმეიური თავისუფლების მიმართულებით, ირის კიზიმოგლუ. სამუშაო შეხვედრას ჯამში 16 აკადემიური და მოწვეული პერსონალი დაესწრო. სამუშაო ენა - ინგლისური. ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატები. ჩატარდა კმაყოფილების კვლევა.

7. 2023 წლის 10 ივნისს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ონლაინ ვორქშოფი „მენტორობა და სამეცნიერო ხელმძღავენლობა", რომელსაც უძღვებოდა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ლექტორი, იურისტი, შპს „წარმატების ჰაბი"-ს დამფუძნებელი, პერსონალური და პროფესიული განვითარების მენტორი ქეთევან ჩომახაშვილი. სამუშაო ენა - ქართული. ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატები. ჩატარდა კმაყოფილების კვლევა.

8. 2023 წლის 21 – 31 ივლისს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ონლაინ ვორქშოფი „კოლაბორაციული კვლევა", რომელსაც ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული ასისტენტ-პროფესორი ლექტორი, მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის მკვლევარი, ეკა კოხრეიძე უძღვებოდა. სამუშაო ენა - ქართული. ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატები. ჩატარდა კმაყოფილების კვლევა.

9. ცენტრი კონსულტაციას უწევს უნივერსიტეტის აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს პლაგიატის შემოწმების მიზნით ელექტრონული პლატფორმის: https://www.turnitin.com/ გამოყენების საკითხებზე.

გამოკითხვის შედეგების, შედეგების ანალიზისა და რეაგირებების შესახებ დეტალებისთვის იხ. დანართი #18 - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ პერსონალის გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ანგარიში პერსონალის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ჩატარებული ღონისძიებების შესახებ.

3.2.2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პროფესიული განვითარებისა და აკადემიური საქმიანობის მიხედვით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება პერსონალის შეფასების ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად ასევე ხორციელდება მათი აკადემიური საქმიანობის მიხედვით, რაც გულისხმობს პერსონალის შეფასებას სტუდენტის, დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის, საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებისა და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერების მიერ. აღნიშნული ადმინისტრაციული პერსონალი აფასებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მათთან თანამშრომლობის, აკადემიური პროცესის სათანადოდ წარმართვის საკითხებს წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით, ხოლო სტუდენტები, ასევე წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით, აფასებენ სასწვლო კურსის წარმართვის პროცესში ლექტორით კმაყოფილების საკითხს, მათ მიერ გამოყენებულ სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, ლექტორის მიერ ლექციის წარმართვის, ახსნის, ცოდნის გადაცემის უნარებს და ა.შ. გამოკითხვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემას: https://eunsis.eun.edu.ge/ და ელექტრონულ პლატფორმას: https://www.surveymonkey.com/. შეფასების შედეგები ჯამდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და დგება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული და წლიური რეიტინგი ფაკულტეტების მიხედვით. აკადემიური პერსონალის საბოლოო შეფასებებში განსაზღვრული პროცენტული წილი ეთმობა პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგებს (ზემოაღწერილი პროცედურის შესაბამისად) და პროფესიული განვითარების შეფასების შედეგებს, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში, მხოლოდ პროფესიული განვითარების შეფასების შედეგებს. პროფესიული განვითარების შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებულია შესაბამისი ფორმა, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული განვითარების შესაძლო აქტივობებს, თითოეულ აქტივობას განესაზღვრება შესაბამისი ქულა, აქტივობის მასშტაბებისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე. შესაძლებელია პერსონალის მიერ ისეთი აქტივობის მითითებაც, რომელიც არ არის განსაზღვრული ანგარიშის ფორმით. ასეთი აქტივობის ქულა განისაზღვრება კომისიური წესით. ანგარიშებს აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან გამოითხოვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სამსახურის ინიცირებით და რექტორის მიერ დამტკიცებული კომისიის მიერ კი ხდება პერსონალისგან მიღებული ანგარიშების გაანალიზება და საბოლოო შედეგების განსაზღვრა. ხდება შეფასების შედეგების გათვალისწინება პერსონალის წლიური რეიტინგის დადგენაში.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების საბოლოო შედეგები გამოიყენება პერსონალის წახალისების მიზნით, კერძოდ სამი საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის თითოეულ ფაკულტეტზე განსაზღვრულია ფულადი ჯილდოები. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება და

აკადემიური საქმიანობა შეფასდა 2022-2023 აკადემიური წლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრის ბოლოს, დაჯამებულია წლიური შეფასების შედეგებიც.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის 2022-2023 აკადემიური წლის შეფასების შედეგები მეტწილად დადებითია და შემდეგნაირად გამოიყურება:



აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების საბოლოო შედეგები გამოიყენება შემდეგნაირად:

1. შეფასების შედეგები გაეგზავნათ პროგრამის ხელმძღვანელებსა და დეკანებს შესწავლისა და რეაგირებისთვის. ფაკულტეტის დეკანი რეაგირების ანგარიშს წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს რეაგირების პროცესების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით.

დეკანების მიერ წარმოდგენილია 2022-2023 აკადემიური წლის შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები. ანგარიშში აღწერილია გამოვლენილი საყურადღებო შედეგების გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, უკვე განხორციელებული აქტივობები (მაგ. კომუნიკაცია ლექტორებთან, ინდივიდუალური შეხვედრები, კომუნიკაცია სტუდენტებთან, სააუდიტორო საქმიანობის შეფასება - ლექციაზე დასწრება, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ ორგანიზებულ შესაბამის ტრენინგ-მოდულებზე დასწრების შეთავაზება და ა.შ.), ასევე, სამომავლო რეაგირების გეგმა (დეტალებისთვის იხ. დანართი #5 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები).

2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის წლიური შეფასების შედეგების რანჟირების საფუძველზე, თითოეულ ფაკულტეტზე სამი საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, წახალისების მიზნით, გადაეცემა ფულადი ჯილდო (აკადემიური პერსონალი: I ადგილი - 1500 ლარი, II ადგილი - 1000 ლარი, III ადგილი - 500 ლარი; მოწვეული პერსონალი: I ადგილი - 1000 ლარი, II - ადგილი - 700 ლარი, III ადგილი - 400 ლარი). ფინანსური ჯილდო არ გაიცემა იმ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე,

რომელიც შესაბამისი აკადემიური წლის რომელიმე სემესტრში არ შეფასდა სტუდენტის მიერ, რითიც დაწესებულება ხაზს უსვამს შეფასების პროცესში სტუდენტის მონაწილეობის მნიშვნელობას. ფინანსური ჯილდო ასევე არ გაიცემა იმ შემთხვევაში თუ პერსონალის საბოლოო წლიური შეფასება 4 ქულაზე ნაკლებია.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, 2022-2023 აკადემიური წლის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით დაჯილდოვდა საუკეთესო შედეგების მქონე 6 აკადემიური პერსონალი და 7 მოწვეული პერსონალი. ფაკულტეტების მიხედვით დაჯილდოვებული პერსონალის რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება: მედიცინის ფაკულტეტის საუკეთესო შედეგების მქონე 3 აკადემიური და 3 მოწვეული პერსონალი; სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის საუკეთესო შედეგების მქონე 3 აკადემიური და 3 მოწვეული პერსონალი და სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის საუკეთესო შედეგის მქონე 1 მოწვეული პერსონალი. სულ დაჯილდოვდა ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი 13 აკადემიური და მოწვეული პერსონალი.



2022-2023 აკადემიური წლის შეფასების შედეგების მიხედვით პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაჯილდოვების თანხამ ჯამში შეადგინა 11 200 ლარი.

ფაკულტეტების მიხედვით დაჯილდოვების თანხები შემდეგნაირად ნაწილდება: სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პერსონალის დაჯილდოვების თანხამ შეადგინდა 5 100 ლარი: აკადემიური პერსონალი - 3 000 ლარი და მოწვეული პერსონალი - 2 100 ლარი; მედიცინის ფაკულტეტის პერსონალის დაჯილდოვების თანხა განისაზღვრა ასევე 5 100 ლარით: აკადემიური პერსონალი - 3 000 ლარი და მოწვეული პერსონალი - 2 100 ლარი, ხოლო სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის პერსონალის დაჯილდოვების თანხამ შეადგინა 1000 ლარი (მოწვეული პერსონალი).



შენიშვნა: როგორც უკვე აღინიშნა, ფინანსური ჯილდო არ გაიცემა იმ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე, რომელიც შესაბამისი აკადემიური წლის რომელიმე სემესტრში არ შეფასდა სტუდენტის მიერ, რითიც დაწესებულება ხაზს უსვამს შეფასების პროცესში სტუდენტის მონაწილეობის მნიშვნელობას. ფინანსური ჯილდო ასევე არ გაიცემა იმ შემთხვევაში თუ პერსონალის საბოლოო წლიური შეფასება 4 ქულაზე ნაკლებია. რეიტინგში მაღალი შეფასების მქონე პერსონალის რაოდენობასთან შედარებით ნაკლები და ამასთანავე, წესით განსაზღვრულისგან ნაკლები რაოდენობის პერსონალის დაჯილდოვება განაპირობა სწორედ აღნიშნულმა მიზეზებმა.

2022-2023 აკადემიური წლის შეფასების შედეგები ევროპის უნივერისტეტის მიერ განთავდა უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და შესაბამისად აღნიშნული ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია: სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სარეიტინგო სია: https://eu.edu.ge/ge/annual-ranking-faculty-law-humanities-and-social-sciences, მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სარეიტინგო სია: https://eu.edu.ge/ge/annual-rating-faculty-medicine, სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის პერსონალის სარეიტინგო სია: https://eu.edu.ge/ge/about-faculty-veterinary/saveterinaro-meditsinis-pakultetis-cliuri-reitingi. ინფორმაციის საჯაროობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შეხედულებით ზრდის როგორც სტუდენტთა მოტივაციას მიიღონ აქტიური მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ კვლევებსა და გამოკითხვის პროცესში, ასევე, ზრდის პერსონალის მოტივაციას გააუმჯობესონ სტუდენტებისა და ადმინისტრაციის კმაყოფილება და შეფასების შედეგები.

3.2.3. ნაშრომის ხელმძღვანელების შეფასება სტუდენტების მიერ. 2020-2021 აკადემიური წლიდან ხრისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, კერძოდ კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელოს დაემატა სტუდენტთა გამოკითხვა საბაკალავრო და

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების შეფასების მიზნით. აღნიშნული გამოკითხვის მიზანია შეფასედეს სტუდენტების მიერ მათი ხელმძღვანელთან მუშაობა რამდენიმე მიმართულებით: ხელმძღვანელის მიერ სილაბუსით განსაზღვრული საკონტაქტო საათების შესრულება, ნაშრომის სილაბუსის, მიზნების, სწავლის შედეგების, ნაშრომის შეფასების სისტემის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება, ნაშრომის შესრულების დაგეგმვის, ნაშრომის სტრუქტურის მომზადების პროცესში, ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების განსაზღვრის პროცესში დახმარება, ნაშრომის შესრულებისთვის აუცილებელი მასალების მოძიების გზების შესახებ მიმართულებების მიცემა, სამეცნიერო ელქტრონული ბაზების ხელმისაწვდომობისა და მათი საშუალებით მასალების მოძიების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, შესრულებული სამუშაოს შესახებ რეგულარული უკუკავშირის მიწოდება, ხელმძღვანელისგან მიღებული კონსულტაციების, განმარტებების, მიმართულებების, დავალებების, შესრულებულ დავალებებზე მიღებული შენიშვნების, განმარტებების, უკუკავშირის მნიშვნელობა ნაშრომის შესრულებისა და დახვეწის პროცესში, ხელმძღვანელის მხრიდან აკადემიური კეთილსინდისიერების, წყაროს მითითების, პლაგიატის საკითხებზე ყურადღების გამახვილება. სტუდენტი ამასთანავე აფასებს ხელმძღვანელთან მუშაობით ზოგად კმაყოფილებას და აქვს შესაძლებლობა გამოთქვას დამატებითი მოსაზრებები და კომენტარები. გამოკითხვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ელექტრონულ პლატფორმას: https://www.surveymonkey.com/. 2022-2023 აკადემიურ წელს ევროპის უნივერსიტეტში აღნიშნულ შეფასების პროცესში მონაწილეობა მიიღო საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა, შესაბამისად შეფასდნენ საბაკალავარო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები. მოხდა მიღებული შეფასების შედეგების გაანალიზება და ფაკულტეტის დეკანისთვის გაზიარება.



შეფასების შედეგები დადებითია, თუმცა გამოკვეთილი საყურადღებო საკითხების საპასუხოდ განხორციელდა გარკვეული რეაგირებები, რომლის შესახებ ინფორმაციაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მიეწოდა დეკანის მიერ რეაგირების ანგარიშის სახით

(დეტალებისთვის იხ. დანართი #6 - ნაშრომის ხელმძღვანელების შეფასება, შედეგების ანალიზი, შედეგებზე რეაგირების ანგარიში).

3.2.3. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება ასევე ხორციელდება სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით. შეფასების პროცესი რეგულირდება ევროპის უნივერსიტეტის სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურების (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №85 ბრძანებით) შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით შეფასება ხორციელდება რამდენიმე შემთხვევაში, მათ შორის, პერსონალის მიერ უნივერსიტეტში პედაგოგიური საქმიანობის პირველად განხორციელების შემთხვევაში, სტუდენტთა გამოკითხვის საფუძვლეზე საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში, წინა დაკვირვების საფუძველზე საყურადღებო საკითხების დაფიქსირების შემთხვევაში. შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის, დარგის ან მომიჯნავე დარგის სპეციალისტის, პროგრამის ხელმძღვანელის, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის წარმომადგენლის ჩართულობით. შეფასება ხორციელდება თითოეული შემფასებლის მიერ ინდივიდუალურად. შეფასების დაჯამებული შედეგები და უკუკავშირი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ეგზავნება აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს ინდივიდუალურად. შეფასების უმნიშვნელოვანესი მიზანია კოლეგებს შორის არსებული საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება, ამასთან, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. შეფასების შედეგები ასევე ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელსა და დეკანს საჭიროების შემთხვევაში რეაგირებისთვის. დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელები აანალიზებენ შეფასების შედეგებს, განსაზღვრავენ პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. სჭირეობის შემთხვევაში ფაკულტეტი თანამშრომლობს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრთან პროფესიული განვითარების მიზნით შესაბამისი ტრენინგების ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით. საყურადღებო საკითხების იდენტიფიცირების შემთხვევაში შესაძლოა დაიგეგმოს განმეორებითი შეფასება. სააუდიტორო საქმიანობის აღნიშნული შეფასება ევროპის უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით განხორციელდა 2022-2023 აკადემიურ წელს. სულ განხორციელდა 56 სააუდიტორო მუშაობის შეფასება. მათგან ყველა შემთხვევაში შეფასება განხორციელდა ევროპის უნივერსიტეტში პედაგოგიური საქმიანობის პირველად განხორციელების მიზეზით. 2022-2023 აკადემიური წლის შეფასებების შედეგად დასწრების საფუძველზე გამოიკვეთა განმეორებით დასწრების საჭიროება რამდენიმე პერსონალთან: მედიცინის ფაკულტეტზე 5 შემთხვევა, სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე 1 შემთხვევა, ხოლო სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე განხორციელებული შეფასებების საფუძველზე განმეორებით დასწრების საჭიროება არ გამოვლენილა. სააუდიტორო მუშაობის შეფასებების რაოდენობა ფაკულტეტების მიხედვით,

დასწრების მიზეზებისა და დამდგარი შედეგების გათვალისწინებით შემდეგნაირად გამოიყურება:



საუდიტორო მუშაობის შეფასებებისა და რეაგირებების პროცესში აქტიურადაა ჩართული სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ხელმძღვანელი, სწავლების პროცესში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების შეფასების ანდა შეფასების პროცესში გამოკვეთილი საუკეთესო პრაქტიკაზე დაკვირვების, გამოვლენის, გათვალისწინების მიზნით. შეფასების შეჯამებული ანგარიშები გაზიარებულია შესაბამისი ფაკულტეტის დეკანთან და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან საჭიროების შემთხვევაში რეაგირებებისთვის. 2022-2023 აკადემიური წლის შეფასებების საფუძველზე განხორციელდა პერსონალისთვის ტრენინგ-მოდულების „სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში“, „შეფასების თანამადროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში“ შეთავაზება სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ, პერსონალმა ხშირ შემთხვევაში ისარგებლა აღნიშნული შეთავაზებით (დეტალებისთვის იხ. დანართი #7 - საუდიტორო მუშაობის შეფასების ანგარიშები, გაცემული უკუკავშირები, შეფასების შემაჯამებელი ანგარიშები და რეაგირების ანგარიშები).

ზოგადად ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ აქტიურად მიმდინარეობს სწავლების, შეფასების მეთოდებთან დაკავშირებული ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება. პერსონალისთვის აღნიშნული ტრენინგ-მოდულების რეგულარული შეთავაზება მიმდინარეობს როგორც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული სხვადასხვა კვლევებისა თუ შეფასებების საფუძველზე, ისე თავად ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი პერსონალის საჭიროებების შესაბამისად. 2022-2023 აკადემიურ წელს აღნიშნული ცენტრის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების

განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის შეთავაზებული იყო 6 სხვადასხვა მიმართულების ტრენინგ-მოდული, კერძოდ:

1. სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა - ტრენინგ-მოდულის მიზანია ტრენინგის მონაწილეთა ცოდნის გაღრმავება სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო კურსის ეფექტიანი დაგეგმვის პრინციპებში; მონაწილეებისთვის სასწავლო კურსის ეფექტიანი დაგეგმვის თანამედროვე მიდგომებისა და ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ასევე, ზოგადი და საუნივერსიტეტო აკრედიტაციის სტანდარტების გაცნობა; მონაწილეებისთვის სასწავლო კურსის მიზნების, შედეგების, შინაარსისა და მეთოდების სილაბუსში სწორად განსაზღვრის დემონსტრირება და მონაწილეთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაძლიერება.

2. შეფასების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში - ტრენინგ-მოდულის მიზანია უნივერსიტეტში შეფასების მეთოდების გაუმჯობესება და თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების გზით; მონაწილეებისთვის შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების საჭიროებისა და მნიშვნელობის გაცნობა; მონაწილეებისთვის შეფასების ძირითადი მიდგომების, ეროვნული სტანდარტების, შეფასების პრინციპებისა და ძირითადი კრიტერიუმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; მონაწილეებისთვის შეფასების თანამედროვე მეთოდების უნარ-ჩვევების განვითარებაში დახამრება.

3. სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში - ტრენინგ-მოდულის მიზანია მონაწილეებს გააცნოს სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები და აქტიური სწავლებისთვის საჭირო ინსტრუმენტები; უნივერსიტეტში სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების გზით; მონაწილეებისთვის სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ ცოდნის გაღრმავება; მონაწილეებისთვის სასწავლო კურსის მიზნებსა და შედეგებზე ორიენტირებული სწავლის მეთოდების სწორად განსაზღვრის დემონსტრირება და მსმენელთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაძლიერება.

4. დისტანციური პლატფორმების ეფექტური გამოყენება სწავლების პროცესში - ტრენინგ-მოდულის მიზანია მსმენელებს გააცნოს ის უახლესი ელექტრონული საშუალებები, რომლებიც გამოიყენება შერეული სწავლების დროს, პირისპირ და ონლაინ სწავლებათა ძირითადი მახასიათებლების გათვალისწინებით წინასწარ შერჩეული ელ-პლატფორმების, ონლაინ კურსებისა თუ აპლიკაციების გამოყენების უპირატესობათა წარმოჩენა და მათი სასწავლო კურსებში იმპლიმენტირება.

5. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები უმაღლეს განათლებაში - ტრენინგ-მოდული ორიენტირებულია პლაგიატის ამომცნობი პროგრამის: https://www.turnitin.com/ ეფექტიან გამოყენებაზე სწავლებისა და შეფასების პროცესში.
6. სასწავლო კურსები შერეული სწავლების ფორმატში - ტრენინგ-მოდული ითვალისწინებს ისეთი სხვადასხვა ინოვაციური მეთოდების ერთობლიობის გაცნობას, რომელიც გამოიყენება როგორც დისტანციური, ასევე პირისპირ სწავლების დროს, როგორიც არის მაგალითად „flipped classroom“, „outside-in blanding learning”, “self-directed blanding learning” და სხვა.

ტრენინგ-მოდულების აღნიშნული მიმართულებების შერჩევა განაპირობა უმაღლეს საგანმანათლებლო პროცესში სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების განვითარების ტენდენციებმა და ციფრული ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების აუცილებლობამ. როგორც უკვე აღინიშნა, შეთავაზებული ტრენინგ-მოდულების შეფასებისა და ამასთანავე პერსონალის საჭიროებების კვლევის მიზნით სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი ატარებს პერსონალის ყოველწლიურ გამოკითხვას. კვლევა ტრენინგ-ცენტრის საქმიანობის შეფასების, განვლილი ტრენინგების შეფასებისა და მათ შესახებ რეკომენდაციის, ასევე ტრენინგ-მოდულების ახალი თემატიკის შემოთავაზების საშუალებას იძლევა. გამოკითხვა ჩატარდა 2022-2023 აკადემიურ წელსაც. გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა მიიღო ევროპის უნივერსიტეტის 74-მა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, მათგან 66 (89%) ესწრებოდა ცენტრის მიერ გასულ აკადემიურ წელს ჩატარებულ ტრენინგ-მოდულებს, შესაბამისად, მათი შეფასება განსაკუთრებით ღირებული იყო არსებული ტრენინგ-მოდულების მოდიფიცირებისა თუ კვლავ შეთავაზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გამოკითხვის შედეგები გაანალიზდა, ანალიზის შედეგების მიხედვით პერსონალი დადებითად აფასებს შეთავაზებულ ზემოაღნიშნულ 6 ტრენინგ-მოდულს:



შესაბამისად, ტრენინგ-ცენტრი კვლავ აგრძელებს დასახელებული ტრენინგ-მოდულების რეგულარულ შეთავაზებას ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის. აღსანიშნავია, რომ ტრენინგინ-მოდული სახელწოდებით სასწავლო კურსები შერეული სწავლების ფორმატში 2020-2021 აკადემიურ წელს შემუშავდა სწორედ აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭიროებების კვლევის საფუძველზე, ხოლო ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე ტრენინგ-მოდული სახელოწდებით შეფასების თანამედროვე მეთოდები, მედიცინის ფაკულტეტის შესაბამის პერსონალს მიეწოდება მოდიფიცირებული ფორმატით საუდიტორო სივრცეში, სადაც აქცენტი კეთდება პრაქტიკულ კომპონენტზე. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ტრენინგ-ცენტრი გეგმავს, შეიმუშაოს ახალი ტრენინგ-მოდული სწავლებისა და შეფასების პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ.

2022-2023 აკადემიურ წელს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ ჩატარებულ ტრენინგებს ჯამში დაესწრო ევროპის უნივერსიტეტის 180 აკადემიური და მოწვეული პერსონალი (დეტალებისთვის იხ. დანართი #18 - პერსონალის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ ანგარიშები, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ანგარიში ჩატრებული ტრენინგების შესახებ). ფაკულტეტების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადების მონაცემები შემდეგნაირად ნაწილდება: 2022-2023 აკადემიურ წელს ზემოაღნიშნულ ტრენინგ-მოდულებში გადამზადდა სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკუტეტის 25 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მედიცინის ფაკულტეტის - 143 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ხოლო სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის - 12 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ რაოდენობებში პერსონალი შესაძლებელია მეორდებოდეს, ერთი და იგივე პერსონალის რამდენიმე მოდულზე დასწრებიდან გამომდინარე.

2022-2023 აკადემიური წლის განმავლობაში ტრენინგ-მოდულების მიხედვით პერსონალის გადამზადება ევროპის უნივერსიტეტში მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით შემდეგნაირად გამოიყურება:



ტრენინგის დასახელება	დამსწრე პერსონალის რაოდენობა
სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა	16
სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში	139
სასწავლო კურსები შერეული სწავლების ფორმატში	3
აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები უმაღლეს განათლებაში	22

გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფაკულტეტებისა და ტრენინგ-მოდულების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის განაწილება ტრენინგ-მოდულების მიხედვით:



ტრენინგის დასახელება	დამსწრე პერსონალის რაოდენობა
სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა	6
სასწავლო კურსები შერეული სწავლების ფორმატში	3
აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები უმაღლეს განათლებაში	16

მედიცინის ფაკულტეტის გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ტრენინგ-მოდულების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:



ტრენინგის დასახელება	დამსწრე პერსონალის რაოდენობა
სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა	10
სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში	133

სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის გადამზადებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ტრენინგ-მოდულების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:



ტრენინგის დასახელება	დამსწრე პერსონალის რაოდენობა
სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში	6
აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები უმაღლეს განათლებაში	6

3.3. სასწავლო პროცესის შეფასება

სასწავლო პროცესის გამართულად ფუნქციონირების შეფასება უზრუნველყოფილია რამდენიმე მიმართულებით:

3.3.1. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის და მონიტორინგის მეთოდლოგია. უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №82 ბრძანებით). მეთოდოლოგიის მიხედვით ფასდება საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსი (აუდიტორიების რაოდენობა და გამტარუნარიანობა

საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ჩასატარებელი საკონტაქტო საათების მიხედვით), ადამიანური რესურსი (როგორც პროგრამის ადმინისტრირების პროცესში ჩართული, ასევე, პროგრამის განმახორციელებელი პეროსონალი, მეთოდოლოგიით დადგენილი ნიშნულების მიხედვით), ამასთანავე, ფასდება უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსი (ბიბლიოთეკაში არსებული ადგილებისა და სტუდენტის მიერ ბიბლიოთეკაში საშუალოდ გატარებული დროის გათვალისწინებით), პრაქტიკის ბაზების გამტარუნარიანობა (ობიექტების/კლინიკების რაოდენობის და ხელშეკრულებებით განსაზღვრული სტუდენტთა ერთდროულად მისაღები მაქსიმალური რაოდენობების გათვალისწინებით), შესაბამისი საგანმნათლებლო პროგრამის (დიპლომირებული მედიკოსის და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო და საბაზო/საშუალო საფეხურის ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამების) შემთხვევაში ფასდება ასევე ლაბორატორიების გამტარუნარიანობა (ლაბორატორიების რაოდენობების, მათი შესაძლო საათობრივი დატვირთვისა და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ლაბორატორიაში ჩასატარებელი საათების გათვალისწინებით), დიპლომირებული მედიკოსის და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანალებლო პროგრამების შემთხვევაში კი ფასდება ასევე სიმულაციური ცენტრის გამტარუნარიანობა (ცენტრში არსებული სიმულაციური ოთახების რაოდენობის, მათი შესაძლო საათობრივი დატვირთვისა და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სიმულაციურ ცენტრში ჩასატარებელი საათების გათვალისწინებით). მეთოდოლოგიით განსაზღვრული მოთხოვნების, დადგენილი სამიზნე ნიშნულების და თითოეული რესურსის შეფასების მეთოდების შესახებ ინფორმაცია დეტალურადაა აღწერილი ზემოაღნიშნულ მეთოდოლოგიურ დოკუმენტში.

აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის რესურსის შეფასების საფუძველზე, გამოითვლება თითოეული პროგრამის მიხედვით სტუდენტთა ის რაოდენობა, რომლის ხარისხიანად და ეფექტიანად მომსახურებასაც შეძლებს უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. მეთოდოლოგიის თანახმად დადგენილი რაოდენობები, სხვა მონაცემებთან ერთად (როგორიცაა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა, სასწავლო წელს დამამთავრებელი სტუდენტების რაოდენობა) მხედველობაში მიიღება უნივერისტეტის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდებით / საერთო სამაგისტრო გამოცდებით მისაღები აბიტურიენტების / მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე მისაღები კანდიდატებისთვის ადგილების გამოცხადების, გარე მობილობით მისაღები სტუდენტებისთვის ადგილების გამოცხადების, ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირთა ჩარიცხვის შესახებ თანხმობის გაცემის შემთხვევებში, რათა მოხდეს უნივერსიტეტისთვის განსაზღვრული ზღვრული რაოდენობების მონიტორინგი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მექანიზმების ფარგლებში ასევე, შემუშავებულია და მოქმედებს სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 მარტის №91 ბრძანებით). პროცედურა ითვალსწინებს სტუდენტთა რაოდენობის მონიტორინგს ადგილების გამოცხადების ზემოაღნიშნული შემთხვევების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ამდენად, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით ევროპის უნივერსიტეტში განისაზღვრება სტუდენტთა ის რაოდენობა, რომლებიც პროგრამის რესურსების გათვალისწინებით შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნენ ხარისხიანი განათლებით, ხოლო სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა და პროცედურით გათვალისწინებული მექანიზმები უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში მეთოდლოგიით განსაზღული რაოდენობების შენარჩუნებასა და მონიტორინგს.

უნივერსიტეტის სტუდენტთა არსებული ზღვრული რაოდენობა (5 330 სტუდენტი) გამოთვლილია სწორედ აღნიშნული მეთოდლოგიის მიხედვით. ხოლო 2022-2023 აკადემიური წლის მიმდინარეობისას ერთიანი ეროვნული გამოცდებით / საერთო სამაგისტრო გამოცდებით მისაღები აბიტურიენტებისთვის ადგილების გამოცხადების, მობილობით ადგილების გამოცხადების, ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირთა ჩარიცხვის შესახებ თანხმობების გაცემის შემთხვევებში, უნივერსიტეტი ხელმძღვანელობდა სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურებით და დოკუმენტით განსაზღვრული ფორმის გამოყენებით ახდენდა სტუდენტთა რაოდენობის კონტროლს (დეტალებისთვის იხ. დანართი #21 - სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრა და მონიტორინგი: სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის და სტუდენტთა რაოდენობის მონიტორინგის ცხრილები).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს 2022-2023 აკადემიურ წელს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში შესული ცვლილებები, რაც უკავშირდება შესაბამისი პროგრამების შემთხვევაში უნივერსიტეტში არსებული ლაბორატორიებისა და სიმულაციური ცენტრის გამტარუნარიანობის შეფასებას, კერძოდ, მეთოდოლოგიას დაემატა აღნიშნული რესურსების შეფასება. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო პროცესში გამოყენებული ლაბორატორიებისა და სიმულაციური ცენტრის რესურსის და გამტარუნაროანობის შეფასება განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად ჩაითვალა აღნიშნული რესურსებით სასწავლო პროცესის სათანადოდ უზრუნველყოფის შესაძლებლობების წინასწარ გადამოწმების/შეფასებისა და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიანად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

ზემოაღნიშნული ცვლილებების ფარგლებში მეთოდოლოგიას ასევე დაემატა პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობის შეფასება და დაზუსტდა კლინიკების გამტარუნარიანობის შეფასების მიდგომებიც. მეთოდოლოგია აერთიანებს პრაქტიკის ბაზებზე მისაღები

სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობებისა და პრაქტიკის ობიექტების რაოდენობების გათვალისწინებით პროგრამაზე მისაღები სტუდენტების პრაქტიკის კომპონენტით უზრუნველყოფის შეფასებას, ხოლო დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, თითოეული კლინიკური სასწავლო კურსის განხორციელებისთვის საჭირო კლინიკებით სტუდენტების უზრუნველყოფის შეფასებას, პარტნიორი კლინიკის რაოდენობებისა და კლინიკაში დასაქმებული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რესურსის გათვალისწინებით. აღნიშნული ცვლილებებიც, დაზუსტებაც ჩაითვალა განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტებით უზრუნველყოფის შესაძლებლობების წინასწარ გადამოწმების/შეფასებისა და შესაბამისად, პროგრამების ხარისხიანად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

აღსანიშანვია, რომ 2022-2023 აკადემიურ წელს ევროპის უნივერსიტეტმა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა გაიზარდა სწორედ განახლებული მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად, კერძოდ, მეთოდოლოგიურ დოკუმენტში შესული ცვლილებების შესაბამისად მოხდა რესურსების ხელახლა შეფასება, ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის (5 330 სტუდენტის) გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შეფასებების საფუძველზე გამოიკვეთა რესურსებთან დაკავშირებული გარკვეული გასაუმჯობესებელი მხარეები, რის საფუძველზეც განხორციელდა შესაბამისი რეაგირებები, მაგალითად, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის დამატება, მატერიალური რესურსების გაუმჯობესება (აუდიტორიების, ლაბორატორიების, სიმუციური ოთახების, საბიბლიოთეკო სივრცის დამატებით მოწყობა), შესაბამის პარტნიორებთან, კერძოდ, პრაქტიკის ობიექტებთან, კლინიკებთან ხელშეკრულებების დამატება და ა.შ.). მოცემულ მომენტში რათქმაუნდა დასტურდება სათანადო რესურსებისა და არსებული რესურსებით სტუდენტთა სათანადოდ მომსახურების შესაძლებლობის არსებობა ზემოაღნიშნული განახლებული მეთოდოლოგიის შესაბამისად (დეტალებისთვის იხ. დანართი #20 - სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრა: სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის ცხრილი).

3.3.2. ზოგადი კმაყოფილების კვლევები: სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვა. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაფასებლად ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში ტარდება კმაყოფილების კვლევები, კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა, სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევა. გამოკითხვის პროცესები, როგორც უკვე აღინიშნა რეგულირდება კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელოს (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №95 ბრძანებით) შესაბამისად. აკადემიური და მოწვეული პერსონალი აღნიშნული გამოკითხვის შედეგად აფასებს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, უნივერსიტეტის მხრიდან მათი პროფესიული განვითარების

ხელშეწყობას, მართვის სტილს, ანაზღაურების საკითხებს და ა.შ. სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა კი ემსახურება სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღებას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა, სასწავლო პროცესი, უნივერსიტეტის ინფრასტუქტურა, პროცედურები, სტუდენტური სერვისები და სხვა. ზემოაღნიშნული გამოკითხვების უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემას: https://eunsis.eun.edu.ge/.

ზემოაღნიშნული კვლევები ევროპის უნივერსიტეტში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა 2022-2023 აკადემიურ წელსაც.

2022-2023 აკადემიურ წელს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა გამოკითხულ სტუდენტთა საერთო ჯამში უნივერსიტეტით მეტწილად კმაყოფილება, უნივერსიტეტით ზოგადი კმაყოფილება საერთო ჯამში შეფასდა დადებითად:

სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას“, სამართლის განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგოების ფაკულტეტის სტუდენტთა შეფასება გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 3.6 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხულ სტუდენტთა 21% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას უმაღლესი 5 ქულით, 28% - 4 ქულით, 41% - 3 ქულით, 3% - 2 ქულით, ხოლო 7% - 1 ქულით:



	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა	5 ქულა	საშუალო შეფასება
უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება	7%	3%	41%	28%	21%	3.6 ქულა

მედიცინის ფაკულტეტი

შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას“, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთა შეფასება გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 3.4 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხულ სტუდენტთა 14% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას უმაღლესი 5 ქულით, 36% - 4 ქულით, 34% - 3 ქულით, 9% - 2 ქულით, ხოლო 7% - 1 ქულით:



	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა	5 ქულა	საშუალო შეფასება
უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება	7%	9%	34%	36%	14%	3.4 ქულა

სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი

შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას“, სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთა შეფასება გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 3.7 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხულ სტუდენტთა 15% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას უმაღლესი 5 ქულით, 46% - 4 ქულით, 26% - 3 ქულით, 5% - 2 ქულით, ხოლო 8% - 1 ქულით:



	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა	5 ქულა	საშუალო შეფასება
უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება	8%	5%	26%	46%	15%	3.7 ქულა

სტუდენტთა კმაყოფილების დადგენის მიზნით შემუშავებული კითხვარი აგებულია ისე, რომ გამოკითხვის პროცესში შესაძლებელია დამატებითი კომნეტარებისა და განმარტებების, მოსაზრებებისა და რჩევების დაფიქსირება რესპონდენტთა მხრიდან, რათა შესაძლებელი იყოს უნივერსიტეტის მიერ შედეგების სათანადო ანალიზი, შესაბამისი დასკვნების გაკეთება და რეაგირებები შედეგების გაუმჯობესების მიზნით, რითიც რიგ შემთხვევებში ისარგებლა გამოკითხული სტუდენტების ნაწილმა.

2022-2023 აკადემიურ წელს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კმაყოფილების კვლევის მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად იკვეთება პერსოანლის განვითარების ხელშეწყობის მხრივ და უნივერსიტეტთან თანამშრომლობით გამოკითხული პერსონალის კმაყოფილება:

სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

„უნივერსიტეტში არსებული კვლევისა და განვითარების მხარდაჭერის სისტემის“ შეფასება გამოკითხვის პროცესში მონაწილე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.3 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 59% აფასებს უნივერსიტეტის მიერ ხელშეწყობას უმაღლესი 5 ქულით, 11% - 4 ქულით, 7% - 3 ქულით, 4% - 1 ქულით, ხოლო რესპონდენტთა დანარჩენმა 19% - მა არ უპასუხა დასმულ შეკითხვას. შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას“, რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან

არის საშუალოდ 4.4 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 75% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას უმაღლესი 5 ქულით, 7% - 1 ქულით, ხოლო რესპონდენტთა 18% - მა არ უპასუხა დასმულ შეკითხვას:



	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა	5 ქულა	მიჭირს პასუხის გაცემა	საშუალო შეფასება
უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე	4%	0%	7%	11%	59%	19%	4.3 ქულა

	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა	5 ქულა	მიჭირს პასუხის გაცემა	საშუალო შეფასება
უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება	7%	0%	0%	0%	75%	18%	4.4 ქულა

მედიცინის ფაკულტეტი

„უნივერსიტეტში არსებული კვლევისა და განვითარების მხარდაჭერის სისტემის“ შეფასება გამოკითხვის პროცესში მონაწილე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.4 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 66% აფასებს უნივერსიტეტის მიერ ხელშეწყობას უმაღლესი 5 ქულით, 7.5% - 4 ქულით, 5.5% - 3 ქულით, 1% - 1 ქულით, ხოლო რესპონდენტთა დანარჩენმა 20% - მა არ უპასუხა დასმულ შეკითხვას. შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით

უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას“, რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.6 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 79% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას უმაღლესი 5 ქულით, 1% - 1 ქულით, ხოლო რესპონდენტთა 20% - მა არ უპასუხა დასმულ შეკითხვას:



	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა	5 ქულა	მიჭირს პასუხის გაცემა	საშუალო შეფასება
უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე	1%	0%	5.5%	7.5%	66%	20%	4.4 ქულა

	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა	5 ქულა	მიჭირს პასუხის გაცემა	საშუალო შეფასება
უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება	1%	0%	0%	0%	79%	20%	4.6 ქულა

სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი

„უნივერსიტეტში არსებული კვლევისა და განვითარების მხარდაჭერის სისტემის“ შეფასება გამოკითხვის პროცესში მონაწილე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გამოკითხვის შედეგების მიხედვით უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.9 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 89% აფასებს უნივერსიტეტის მიერ ხელშეწყობას უმაღლესი 5 ქულით, ხოლო 11% - 4 ქულით. შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან

თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას“, რესპონდენტთა შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.6 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: გამოკითხული პერსონალის 90% აფასებს უნივერსიტეტით კმაყოფილებას უმაღლესი 5 ქულით, ხოლო 10% - 1 ქულით:



	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა	5 ქულა	მიჭირს პასუხის გაცემა	საშუალო შეფასება
უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე	0%	0%	0%	11%	89%	0%	4.9 ქულა

	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა	5 ქულა	მიჭირს პასუხის გაცემა	საშუალო შეფასება
უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება	10%	0%	0%	0%	90%	0%	4.6 ქულა

პერსონალის კმაყოფილების დადგენის მიზნით შემუშავებული კითხვარი ამ შემთხვევაშიც აგებულია ისე, რომ გამოკითხვის პროცესში შესაძლებელია დამატებითი კომნეტარებისა და განმარტებების, მოსაზრებებისა და რჩევების დაფიქსირება რესპონდენტთა მხრიდან, რათა შესაძლებელი იყოს უნივერსიტეტის მიერ შედეგების სათანადო ანალიზი, შესაბამისი დასკვნების გაკეთება და რეაგირებები შედეგების გაუმჯობესების მიზნით, რითიც რიგ შემთხვევებში ისარგებლა გამოკითხული პერსონალის ნაწილმა.

გამოკითხვის შედეგები გაცილებით მრავალმხრივი, დეტალური და მოცულობითია, როგორც სტუდენტის, ისე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შემთხვევაში.

შეფასების გაანალიზებული შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჯგუფდება სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების მიხედვით. თითოეულ სტრუქტურულ ერთეულსა და სამსახურს (ფაკულტეტის ადმინისტრაციას, ბიბლიოთეკას, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრს, შესყიდვებისა და მეტერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრს, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრს, საგამოცდო ცენტრს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს და ა.შ.) ეგზავნება გამოკითხვის შედეგების ანალიზი და საყურადღებო საკითხები, სიღრმისეული შესწავლისა და რეაგირებისთვის. სტრუქტურული ერთეულები ყველა საჭირო რგოლთან თანამშრომლობით ახდენენ საყურადღებო საკითხებზე რეაგირებას და მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით გარკვეული ნაბიჯების დაგეგმვასა და განხორციელებას. რეაგირების ანგარიშები უკვე განხორციელებული ან დაგეგმილი აქტივობების შესახებ ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ანგარიშგებისა და შეფასების მიზნით. აღნიშნული კვლევები ევროპის უნივერსიტეტში ხორციელდება ყოველწლიურად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული გამოკითხვების შედეგად 2022-2023 აკადემიურ წელს გამოიკვეთა გარკვეული საყურადღებო საკითხები, რომელთა გაზიარებაც მოხდა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან/პირებთან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. სტრუქტურული ერთეულების მიერ საპასუხოდ განხორციელებულია არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა, რეაგირება, რომელთა შესახებ ანგარიშიც გაზიარებული და დადებითად შეფასებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ (დეტალებისთვის იხ. დანართი #9 - პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის და სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები, შედეგების ანალიზი და საყურადღებო საკითხებზე რეაგირების ანგარიშები).

3.3.3. სტუდენტების კმაყოფილების კვლევა მათთან შეხვედრების ჩატარების გზით. 2022-2023 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში ხარისხის უზრუნველოფის სამსახურმა განახორციელა სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევა მათთან შეხვედრებისა და შეხვედრებზე კონკრეტული საკითხების განხილვის გზითაც. შეხვედრების სერია განხორციელდა მეტწილად პირისპირ შეხვედრების გზით, რიგ შემთხვევაში კი ონლაინ რეჟიმში, ელექტრონული პლატფორმის (google meet) გამოყენებით. შეხვედრები განხორციელდა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ჯგუფებთან. შეევედრებზე მოწვეული იყო შეხვედრაში მონაწილეობის მსურველი ყველა სტუდენტი.

შეხვედრის ფარგლებში, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს მიეწოდა ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მათი კომუნიკაციის შესაძლებლობების შესახებ, მოკლედ ეცნობათ შიდა სამართლებრივი აქტებით დარეგულირებული სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები, ამასთანავე, მიეწოდათ ინფორმაცია აღნიშნული დოკუმენტების ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომობის შესახებ,

განემარტათ თუ რა ტიპის ინფორმაციას შეიძლება გაეცნონ დოკუმენტებით, რომელიც უკავშირდება უნივერსიტეტში მათ უფლებებსა და ვალდებულებებს.

შეხვედრების მიზანს ასევე წარმოადგენდა სტუდენტების მხრიდან, საგანმანათლებლო პროგრამების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, სასწავლო და საგამოცდო პროცესების, მატერიალური და ტექნიკური ბაზის, ინფრასტრუქტურის ზოგადი შეფასება. შეხვედრები ასევე ემსახურებოდა სტუდენტებისთვის ინფორმაციის გაზიარების მიზანს იმის შესახებ თუ რა რეაგირებები განხორციელდა და რა ნაბიჯები გადაიდგა უნივერსიტეტის მიერ სტუდენტების მხრიდან წინა პერიოდში დაფიქსირებული რეკომენდაციების, კომენტარებისა და მოსაზრებების საპასუხოდ. სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ თავისუფლად დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით და დაესვათ შეკითხვები.

შეჯამდა და გაანალიზდა შეხვედრების შედეგები. გამოიყო სტუდენტთა მხრიდან დაფიქსირებული როგორც დადებითი შეფასებები, ასევე, საყურადღებო საკითხები. შეხვედრების შედეგების ანალიზი გაიგზავნა ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და ყველა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან, რომელთან დაკავშირებითაც გამოითქვა გარკვეული საყურადღებო საკითხები. ფაკულტეტებსა და სტრუქტურულ ერთეულებს ეთხოვათ რეგირების ნაბიჯების დაგეგმვა, განხორციელება და რეაგირების ანგარიშების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის მიწოდება ანგარიშგებისა და შეფასებებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოხდა ფაკულტეტებისა და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ შედეგების გათვალისწინებისა და რეაგირებების შესახებ დეტალური უკუკავშირის გაგზავნა სტუდენტებისთვის, რაც ემსახურება სტუდნეტთა მოტივაციის გაზრდას მომავალში აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამსახურის მიერ ჩატარებულ გამოკითხვებში, მათთვის რეგირებების რეალური შედეგების დემონსტრირების გზით (იხ. დანართი #10 - სტუდენტებთან შეხვედრების შემაჯამებელი ანგარიშები, შეფასების შედეგებზე სტრუქტურული ერთეულების რეაგირების ანგარიშები).

3.3.4. საგამოცდო პროცესების შეფასება სტუდენტების მიერ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით ხდება სტუდენტების მიერ საგამოცდო პროცესების შეფასებაც. აღნიშნული მიზნით ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა შუალედური და დასკვნითი გამოცდების დასრულების შემდეგ. გამოკითხვის პროცესში სტუდენტები აფასებენ საგამოცდო პროცესების ორგანიზების საკითხებს, საგამოცდო საკითხების სილაბუსის შინაარსთან და სილაბუსით განსაზღვრულ საგამოცდო დავალებებთან შესაბამისობას, გამოცდების მსვლელობისას საჭირო ინსტრუქციებით სტუდენტის უზრუნველყოფის, ასევე, გამოცდის დამკვირვებელთა ორგანიზებულობის საკითხებს. აღნიშნული საშუალებას აძლევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეაფასოს ზოგადად საგამოცდო პროცესების მიმდინარეობა და ორგანიზება, სტუდენტების აღნიშული პროცესებით კმაყოფილება, ამასთან, მოახდინოს შესაძლო გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და

უზრუნველყოს მათი გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობა. გამოკითხვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემას: https://eunsis.eun.edu.ge/ და ელექტრონულ პლატფორმას: https://www.surveymonkey.com/.

2022-2023 აკადემიურ წელს ჩატარებული შუალედური და დასკვნითი გამოცდების, მათ შორის ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდებისა (OSPE) და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდების (OSCE) ორგანიზება და მიმდინარეობა შეფასდა ორივე ფაკულტეტის სტუდენტების მიერ, ოსპისა და ოსკის გამოცდების შემთხვევაში კი საგამოცდო პროცესები შეფასდა ასევე გამომცდელების მიერაც. საგამოცდო პროცესების ორგანიზება და მიმდინარეობა ძირითადად დადებითად იქნა შეფასებული სტუდენტების მიერ: შეკითხვაზე „საერთო ჯამში გამოცდები იყო კარგად ორგანიზებული“, გამოკითხული სტუდენტების უმეტესობა დადებითად პასუხობს, კერძოდ, აღნიშნული შეკითხვის შეფასება სამივე ფაკულტეტის სტუდენტების მიერ შუალედური და დაკსვნითი გამოცდების შემთხვევაში უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 3.9 ქულა. შეფასების შედეგები ფაკულტეტების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად: სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი - საშუალოდ 4.2 ქულა, მედიცინის ფაკულტეტი - საშუალოდ 3.2 ქულა, ხოლო სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი - საშუალოდ 4.3 ქულა. შეფასების შედეგები შუალედური და დასკვნითი გამოცდების მიხედვით თითოეულ ფაკულტეტზე შემდეგნაირად ნაწილდება:

სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი



მედიცინის ფაკულტეტი



მედიცინის ფაკულტეტის შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, საგამოცდო პროცესები, კერძოდ კი ოსპისა და ოსკის გამოცდების ორგანიზებითა და მიმდინარეობით კმაყოფილება შეფასდა როგორც სტუდენტების ისე გამომცდელების მიერ. შეფასების შედეგები დადებითია და შემდეგნაირად გამოიყურება:





სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი



მიღებული შედეგების ანალიზი, ანალიზის შედეგად გამოვლენილი საყურადღებო საკითხები შინაარსის მიხედვით ეგზავნება საგამოცდო ცენტრს, ფაკულტეტს და ოსკის გამოცდების შემთხვევაში სიმულაციურ ცენტრს რეაგირებისთვის. საგამოცდო ცენტრი, ფაკულტეტისა და სიმულაციური ცენტრის თანამშრომლები სტუდენტთა კმაყოფილების გაზრდისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელებული სამუშაოებისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ანგარიშს აწვდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს განხორციელებული ნაბიჯების შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით. 2022-2023 აკადემიური წლის შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზებისა და მიმდინარეობის შეფასების მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად რიგ შემთხვევებში გამოვლენილია კონკრეტული საყურადღებო საკითხები, რომელთა გაუმჯობესების მიმართულებით გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები აკადემიური წლის მიმდინარეობისას, როგორც საგამოცდო ცენტრის, ისე ფაკულტეტისა და სიმულაციური ცენტრის მიერ, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ შედეგების გაუმჯობესების მიზნით მუდმივად

გრძელდება მუშაობა ყველა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მხრიდან. უკვე განხორციელებული რეაგირებებისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ანგარიში ფაკულტეტის დეკანის, საგამოცდო ცენტრისა და სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეფასების მიზნით. აღსანიშნავია ასევე ის გარემოებაც, რომ რიგ შემთხვევებში არ გამოკვეთილა რეაგირების საჭიროებები (დეტალებისთვის იხ. დანართი #13 - საგამოცდო პროცესების შეფასების შედეგები, შედეგების ანალიზი, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შუალედური და დასკვნითი გამოცდების დასრულების შემდეგ საგამოცდო ცენტრისგან გამოითხოვს ანგარიშს გამოცდების მიმდინარეობის დროს სტუდენტთა გამოცდებიდან მოხსნის, მოხსნის მიზეზების, საგამოცდო შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების, სააპელაციო განაცხადების დაკმაყოფილების/არ დაკმაყოფილების, ასევე, სააპელაციო განაცხადების დაკმაყოფილების/არ დაკმაყოფილების მიზეზების შესახებ. საგამოცდო ცენტრი დანართების სახით წარმოადგენს სტუდენტთა სააპელაციო განაცხადების განხილვის, განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების დამადასტურებელ ოქმებს. ანგარიში ემსახურება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული პროცესების რეგულირებისა და სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინების საკითხების შეფასებას. 2022-2023 აკადემიურ წელს საგამოცდო ცენტრის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის წარდგენილი ანგარიშების თანახმად დაფიქსირებულია დასაბუთებული მიზეზით სტუდენტთა გამოცდიდან მოხსნის შემხთხვევები, დაფიქსირებულია ასევე სტუდენტთა სააპელაციო განაცხადებით მიმართვის შემთხვევები, არის სტუდენტთა მოთხოვნების დასაბუთებულად დაკმაყოფილებისა და დასაბუთებულად უარყოფის შემთხვევები.

საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის ზემოაღნიშნული ანგარიშების მიხედვით აპელაციის შემთხვევების რაოდენობა და აპელაციის მოთხოვნების დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების შემთხვევები შემდეგნაირად ნაწილდება 2021-2022 აკადემიურ წელს ჩატარებულ შუალედურ, დასკვნით და დამატებით გამოცდებს შორის: 2021-2022 აკადემიურ წელს შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების შედეგების გასაჩივრების ჯამში 27 შემთხვევა დაფიქსირდა საგამოცდო ცენტრის მიერ. სააპელაციო კომისიამ დააკმაყოფილა გასაჩივრების 11 შემთხვევა, აქედან 3 შემთხვევაში აღმოჩენილ იქნა შეფასებისას დაშვებული ტექნიკური ტიპის შეცდომები, ხოლო 8 შემთხვევაში სააპელაციო განაცხადი დაკმაყოფილდა სააპელაციო კომისიის მიერ ნაშრომის შინაარსობრივად შეფასების შედეგად. 2022-2023 აკადემიურ წელს კი შეფასების შედეგების გასაჩივრების ჯამში 12 შემთხვევა დაფიქსირდა, მათგან სააპელაციო კომისიის მიერ დაკმაყოფილდა გასაჩივრების 2 შემთხვევა, აქედან 1 შემთხვევაში აღმოჩენილ იქნა შეფასებისას დაშვებული ტექნიკური ტიპის შეცდომები, ხოლო 1 შემთხვევაში სააპელაციო განაცხადი დაკმაყოფილდა სააპელაციო კომისიის მიერ ნაშრომის შინაარსობრივად შეფასების შედეგად:



შენიშვნა: საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის ანგარიშისა და კომისიის წარმოდგენილი ოქმების მიხედვით აპელაციის მოთხოვნის არ დაკმაყოფილების შემთხვევები უკავშირდება შემდეგ გარემოებას: შეფასებები გადამოწმდა კომისიური წესით, თუმცა კომისიამ არ ჩათვალა აპელაციის დაკმაყოფილება და შეფასების გაზრდა მიზანშეწონილად, რადგან ნაშრომი არ იძლეოდა შეფასების გაზრდის საფუძველს.

ზემოაღნიშნული მონაცემები ადასტურებს, გასაჩივრებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტში არსებული მექანიზმების სტუდენტების მიერ ცოდნასა და გამოყენებას, მონაცემებით ასევე დასტურდება გასაჩივრების შემთხვევებზე ობიექტური რეაგირება. აღსანიშანვია ასევე გასაჩივრების შემთხვევების შემცირების ტენდენცია. ამდენად, 2022-2023 აკადემიურ წელს ზემოაღნიშნული შეფასებების შედეგად საყურადღებო საკითხები არ გამოვლენილა და შესაბამისად, არ დამდგარა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან რაიმე ტიპის რეაგირების მოთხოვნის საჭიროება (იხ. დანართი #14 - საგამოცდო ცენტრის ანგარიშები ნაშრომების შეფასებიდან მოხსნისა და აპელაციის შემთხვევების შესახებ).

3.3.5. პრაქტიკის კომპონენტის შეფასება სტუდენტების მიერ. პრაქტიკის კომპონენტის შეფასება ხორციელდება სტუდენტების მიერ პრაქტიკის კომპონენტის დასრულების შემდეგ. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის კომპონენტის შეფასება ემსახურება პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში მიღებული ცოდნითა და უნარებით სტუდენტის კმაყოფილების კვლევას და ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას. კვლევის შედეგად სტუდენტის მიერ ფასდება უნივერსიტეტისა და პრაქტიკის ობიექტის მიერ გაწეული საორგანიზაციო საკითხები, პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ პრაქტიკის მიმდინარეობის

ზედამხედველობა, მენტორის მიერ პრაქტიკის პროცესის ზედამხედველობა, მენტორისგან საჭირო ინსტრუქციების მიღება, პრაქტიკის ფარგლებში ცოდნისა და უნარების მიღების უზრუნველყოფაში მენტორის დახმარება, პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტის მიერ მიღებული ძირითადი სწავლის სფეროსთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები, სილაბუსით განსაზღვრული საქმიანობის და საკონტაქტო საათების შესრულების უზრუნველყოფა მენტორის მიერ. კვლევის შედეგად სტუდენტის მიერ ასევე სახელდება და ფასდება პრაქტიკის სილაბუსით დადგენილი ცოდნისა და უნარების გამომუშავების ხელისშემშლელი მიზეზები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დიპლომირებული მედიკოსისა და სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება ხორციელდება სტუდენტების მიერ კლინიკური სასწავლო კურსების დასრულების შემდეგ. სტუდენტის მიერ კლინიკისა და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება ემსახურება კლინიკური სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნითა და უნარებით სტუდენტის კმაყოფილების კვლევას და ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის კლინკური სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას. კვლევის შედეგად სტუდენტის მიერ ფასდება პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) მიერ გაწეული საორგანიზაციო საკითხები, სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის საჭირო კლინიკის აღჭურვილობა, კლინიკური სასწავლო კურსების ფარგლენში სტუდენტის მიერ მიღებული ძირითადი სწავლის სფეროსთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები, კლინიკური სასწავლო კურსის ფარგლებში შეძენილი ცოდნისა და უნარების ლექტორის ზედამხედველობის ქვეშ პაციენტზე/მანეკენზე დემონსტრირების საშუალებით სტუდენტის უზრუნველყოფა, სილაბუსით განსაზღვრული დროის შესრულების უზრუნველყოფა ლექტორის მიერ. კვლევის შედეგად სტუდენტის მიერ ასევე სახელდება და ფასდება კლინიკური სასწავლო კურსების სილაბუსით დადგენილი ცოდნისა და უნარების გამომუშავების ხელისშემშლელი მიზეზები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნული გამოკითხვის პროცესების უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ელექტრონულ პლატფორმას: https://www.surveymonkey.com/.

2022-2023 აკადემიურ წელს პრაქტიკის კომპონენტის შეფასება სტუდენტების მიერ განხორციელდა ორივე ფაკულტეტზე, სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების და მედიცინის ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში.

სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული პრაქტიკის კომპონენტისა

და პრაქტიკის ობიექტების შეფასების შედეგები ცალსახად დადებითია: შეკითხვაზე „გთხოვთ, შეაფასოთ რამდენად კმაყოფილი ხართ ზოგადად საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით“, გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით არის საშუალოდ 4.9 ქულა. ასევე დადებითი შეფასებები ფიქსირდება შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით: „გთხოვთ, შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული ცოდნა, რაც პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით შეიძინეთ“ და „გთხოვთ შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული უნარები, რაც პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით შეიძინეთ“. პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით შეძენილი ცოდნა გამოკითხვის პროცესში მონაწილე სტუდენტების მიერ 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით საშუალოდ 4.9 ქულით შეფასდა, ხოლო, პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით გამომუშავებული უნარები 5 ქულიდან ასევე ორივე სემესტრის შედეგებით საშუალოდ 4.9 ქულით შეფასდა:



მედიცინის ფაკულტეტი

მედიცინის ფაკულტეტზე მოქმედი სტომატოლოგიისა და დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული კლინიკური სასწავლო კურსებისა და კლინიკის შეფასების შედეგები ასევე მეტწილად დადებითია: შეკითხვაზე „რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის საჭირო კლინიკების აღჭურვილობით (პროექტორი, კომპიუტერი, სასწავლო მულაჟები)“, გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით არის საშუალოდ 3.9 ქულა. კლინიკური სასწავლო კურსების განხორციელებასთან დაკავშირებით, კლინიკების მიერ გაწეული ორგანიზაციული საკითხებით კმაყოფილების შეფასების ორივე სემესტრის შედეგები უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 3.4 ქულა. ასევე დადებითი შეფასებები ფიქსირდება შემდეგ მნიშვნელოვან

საკითხებთან დაკავშირებით: „გთხოვთ, შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული ცოდნა, რაც კლინიკური სასწავლო კურსების ფაგლებში შეიძინეთ“ და „გთხოვთ შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული უნარები, რაც კლინიკური სასწავლო კურსების ფაგლებში შეიძინეთ“. კლინიკური სასწავლო კურსებით შეძენილი ცოდნა გამოკითხვის პროცესში მონაწილე სტუდენტების მიერ 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით საშუალოდ 3.7 ქულით შეფასდა, ხოლო, კლინიკური სასწავლო კურსებით გამომუშავებული უნარები 5 ქულიდან კვლავ ორივე სემესტრის შედეგებით საშუალოდ 3.3 ქულით შეფასდა:



მედიცინის ფაკულტეტზე მოქმედი ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პრაქტიკის კომპონენტისა და პრაქტიკის ობიექტების შეფასების შედეგები ცალსახად დადებითია: შეკითხვაზე „გთხოვთ, შეაფასოთ რამდენად კმაყოფილი ხართ ზოგადად საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით“, გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით არის საშუალოდ 4.8 ქულა. ასევე დადებითი შეფასებები ფიქსირდება შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით: „გთხოვთ, შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული ცოდნა, რაც პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით შეიძინეთ“ და „გთხოვთ შეაფასოთ ძირითად სწავლის სფეროსთან (სპეციალობასთან) დაკავშირებული უნარები, რაც პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით შეიძინეთ“. პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით შეძენილი ცოდნა გამოკითხვის პროცესში მონაწილე სტუდენტების მიერ 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით საშუალოდ 4.9 ქულით შეფასდა, ხოლო, პრაქტიკის კომპონენტის შესრულებით გამომუშავებული უნარები 5 ქულიდან ასევე ორივე სემესტრის შედეგებით საშუალოდ 4.6 ქულით შეფასდა:



შენიშვნა: ვინაიდან სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 2022-2023 აკადემიურ წელს ირიცხებოდა მხოლოდ პირველი და მეორე სემესტრის სტუდენტები და აღნიშნული სემესტრები პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით არ ითვალისწინებდა პრაქტიკის კომპონენტის სტუდენტების მიერ შესრულებას, სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე პრაქტიკის კომპონენტისა და პრაქტიკის ობიექტების შეფასება 2022-2023 აკადემიურ წელს არ განხორციელებულა.

შეფასების შედეგების მიხედვით, 2022-2023 აკადემიური წლის გამოკითხვის შედეგად საყურადღებო საკითხებიც გამოვლინდა და შესაბამისად, მოხდა შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საყურადღებო საკითხების ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის გაზიარება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოხდა რეაგირების შესახებ ანგარიშის გამოთხოვა საყურადღებო საკითხებზე შესაბამისი მხარეების მიერ განხორციელებული რეაგირებების ანდა საპასუხო მოსაზრებების შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით. ფაკულტეტის მხრიდან გაზიარებულია აღნიშნული რეაგირებების ანგარიშები, სადაც აღწერილია როგორც უკვე განხორციელებული ქმედებები ასევე, სამომავლოდ დაგეგმილი რეაგირების საკითხები და საპასუხო მოსაზრებები (იხ. დანართი #8 - პრაქტიკის კომპონენტის შეფასების შედეგები, შედეგების ანალიზი და რეაგირების ანგარიშები).

3.3.6. საერთაშორისო აკადემიური მობილობის შეფასება სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ. სტუდენტების მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება ხორციელდება პროგრამის მონაწილე სტუდენტების მიერ მობილობიდან დაბრუნების შემდეგ. გამოკითხვის მიზანია მოხდეს სტუდენტების მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით კმაყოფილების შეფასება, კერძოდ, გამგზავნი და მასპინძელი უნივერსიტეტების მიერ გაწეული ორგანიზაციული საკითხებით კმაყოფილების, საერთაშორისო აკადემიური

მობილობის პროგრამაში მონაწილეობის ძირითადი ინტერესების, პროგრამაში მონაწილეობით მიღებული ცოდნისა და გამოცდილების, სხვა ტიპის შედეგების შეფასება. გამოკითხვა ასევე ემსახურება მობილობის პროგრამაში მონაწილეობისას, გამგზავნ და მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი დადებითი ან უარყოფითი შეფასებების დაფიქსირებას.

პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება ხორციელდება პროგრამის მონაწილე პერსონალის მიერ ასევე მობილობიდან დაბრუნების შემდეგ. გამოკითხვის მიზანია მოხდეს პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით კმაყოფილების შეფასება, კერძოდ, გამგზავნი და მასპინძელი უნივერსიტეტების მიერ გაწეული ორგანიზაციული საკითხებით კმაყოფილების, საერთაშორისო აკადემიურ მობილობის პროგრამაში მონაწილეობის ძირითადი ინტერესების, პროგრამაში მონაწილეობით კვალიფიკაციისა და გამოცდილების ამაღლების, სხვა ტიპის შედეგების, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების სასწავლო პროცესში გამოყენების შეფასება. გამოკითხვა ემსახურება მობილობის პროგრამაში მონაწილეობისას, გამგზავნ და მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი დადებითი ან უარყოფითი შეფასებების დაფიქსირებას.

ზემოაღნიშნული გამოკითხვის პროცესების უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ელექტრონულ პლატფორმას: https://www.surveymonkey.com/.

2022-2023 აკადემიურ წელს საერთაშორისო აკადემიური მობილობით ისარგებლა ევროპის უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტმა, რომლის გამოკითხვაც განხორციელდა ზემოაღნიშნული საკითხების შეფასების მიზნით. გამოკითხვის შედეგები დადებითია: შეკითხვაზე „რამდენად კმაყოფილი ხართ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით“ გამოკითხული სტუდენტების შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით საშუალოდ 4.5 ქულაა, ხოლო შეკითხვაზე „გთხოვთ შეაფასოთ ცოდნა და გამოცდილება რაც გაცვლით პროგრამაში მონაწილეობით შეიძინეთ“, გამოკითხული სტუდენტის შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან ორივე სემესტრის შედეგებით არის საშუალოდ 4.8 ქულა. ასევე დადებითად შეფასდა სტუდენტის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობით სარგებლობის ფარგლებში მიღებული ისეთი შედეგები, როგორიცაა, საერთაშორისო კონტაქტების დამყარება, დამატებითი პრაქტიკული უნარების განვითარება, კარიერული შესაძლებლბების გაუმჯობესება, უცხო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება და ა.შ. აღნიშნული საკითხები საერთაშორისო მობილობის მონაწილე სტუდენტის მიერ უმაღლესი 5 ქულიდან კვლავ ორივე სემესტრის შედეგებით შეფასდა საშუალოდ 4.5 ან მეტი ქულით. საერთაშორისო აკადემიური მობილობით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები სემესტრებს შორის შედეგნაირად ნაწილდება:



2022-2023 აკადემიურ წელს საერთაშორისო აკადემიური მობილობით ისარგებლა ევროპის უნივერსიტეტის მედიცნის და სამართლის პერსონალმაც, რომლის გამოკითხვაც განხორციელდა ზემოაღნიშნული საკითხების შეფასების მიზნით. გამოკითხვის შედეგები ამ შემთხვევაშიც დადებითია: შეკითხვაზე „რამდენად კმაყოფილი ხართ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით“ გამოკითხული პერსონალის შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან მაქსიმალური 5 ქულაა, ასევე დადებითად შეფასდა პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობით სარგებლობის ფარგლებში მიღებული ისეთი შედეგები, როგორიცაა, კვალიფიკაციის ამაღლება (სწავლების, კვლევითი და ა.შ. უნარების გაუმჯობესება), მიღებული ცოდნისა და გამოცდილების სასწავლო პროცესში გამოყენება, პროფესიურლი კონტაქტების დამყარება და ა.შ. აღნიშნული საკითხები საერთაშორისო მობილობის მონაწილე პერსონალის მიერ უმაღლესი 5 ქულიდან შეფასდა 4 ან მაქსიმალური 5 ქულით:



2022-2023 აკადემიურ წელს საერთაშორისო მობილობით ასევე ისარგებლა ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციულმა პერსონალმაც. გამოკითხვის შედეგები ამ შემთხვევაშიც დადებითია: შეკითხვაზე „რამდენად კმაყოფილი ხართ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით“, გამოკითხული პერსონალის შეფასება შეფასების შედეგების მიხედვით მაქსიმალური 5 ქულიდან უმაღლესი 5 ქულაა, ასევე დადებითად შეფასდა პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობით სარგებლობის ფარგლებში მიღებული ისეთი შედეგები, როგორიცაა, გამოცდილების მიღება, კვალიფიკაციის ამაღლება და სხვადასხვა უნარის გაუმჯობესება, პროფესიურლი კონტაქტების დამყარება, სამუშაო პროცესთან დაკავშირებული კარგი პრაქტიკების შესწავლა, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების სამუშაო პროცესში გამოყენება და ა.შ. აღნიშნული საკითხები საერთაშორისო მობილობის მონაწილე ადმინისტრაციული პერსონალის მიერ 2022-2023 აკადემიური წლის ორივე სემესტრის შეფასების შედეგების მიხედვით მაქსიმალური 5 ქულიდან შეფასდა საშუალოდ 4.0 ან მეტი ქულით. საერთაშორისო მობილობით ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები შედეგნაირად ნაწილდება:



2022-2023 აკადემიურ წელს ჩატარებული გამოკითხვისა და შეფასების შედეგების მიხედვით მნიშვნელოვანი საყურადღებო საკითხი პროგრამის განმახორცილებელი ანდა ადმინისტრაცული პერსონალის მხრიდან არ დაფიქსირებულა და შესაბამისად, არ დამდგარა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რეაგირების მოთხოვნის საჭიროება. შეფასების შედეგები გასაცნობად გაეგზავნა შესაბამის სამსახურს. გამოვლინდა გარკვეული საყურადღებო საკითხები სტუდენტების შეფასებების ანალიზის საფუძველზე, შეფასების აღნიშნული შედეგები რეაგირებების მიზნით გაეგზავნა საერთაშორისო ურთერთბების სამსახურს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მიღებულია რეაგირების ანგარიში, სადაც აღწერილია გამოვლენილი საყურადღებო საკითხების საპასუხოდ განხორციელებული

ქმედებები, ასევე, სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობები (იხ. დანართი #12 - საერთაშორისო აკადემიური მობილობის შეფასების შედეგები და შედეგების ანალიზი).

3.3.7. მობილობით გადასული და მობილობით გადმოსული სტუდენტების გამოკითხვა. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში ტარდება მობილობით ევროპის უნივერსიტეტიდან გადასული და ევროპის უნივერსიტეტში გადმოსული სტუდენტების გამოკითხვა ყოველი მობილობის დროს, ევროპის უნივერსიტეტიდან სტუდენტთა სხვა უნივერსიტეტში გადასვლისა და ევროპის უნივერსიტეტში გადმოსვლის მიზეზების მოკვლევის მიზნით. მობილობის მონაწილე სტუდენტების კმაყოფილების კვლევის მიზნით უნივერსიტეტში გამოიყენება ელექტრონული პლატფორმა: https://www.surveymonkey.com/. აღნიშნული გამოკითხვა ევროპის უნივერსიტეტში ჩატარდა 2022-2023 აკადემიურ წელსაც. გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა მიიღო ევროპის უნივერსიტეტიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასულმა 12-მა სტუდენტმა. წარმოგიდგენთ ევროპის უნივერსიტეტიდან გადასვლის მაღალი (10%-ზე მეტი) პროცენტული მაჩვენებლების მქონე მიზეზების შეჯამებას. გამოკითხვის შედეგების თანახმად, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის მიზეზად სტუდენტების მხრიდან დასახელდა რამდენიმე საკითხი: რესპონდენტთა 50% სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის მიზეზად ასახელებს მობილობით არჩეული უნივერსიტეტის ადგილმდებარეობას, 33% - მობილობით არჩეულ უნივერსიტეტში ისეთი საგანმანათლებლო პროგრამის არსებობას, რომელიც არ არის ევროპის უნივერსიტეტში და რომელზეც მას სურდა სწავლა. გამოკითხულთა 17%-ის მიერ გადასვლის მიზეზად სახელდება ის ფაქტი რომ არჩეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მათი აზრით უფრო მარტივია სწავლა, ანდა ის ფაქტი, რომ ეროვნული გამოცდების დროს ვერ მოხვდა არჩეულ უნივერსიტეტში, რესპონდენტთა ასევე 17% სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის მიზეზად ასახელებს უკეთესი სტუდენტური ცხოვრების შესაძლებლობებს.

გამოკითხვის შედეგად იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც მობილობის მონაწილე სტუდენტების მიერ სახელდება ევროპის უნივერსიტეტის ძლიერ მხარედ: საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა თანამედროვე მოთხოვნებთან (პროგრამის შინაარსი, სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდები, სასწავლო ლიტერატურა და ა.შ.), უნივერსიტეტში არსებული სასწავლო გარემო (პერსონალთან კომუნიკაცია, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო და ა.შ.), კვალიფიციური პერსონალი, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობები, სტუდენტური ცხოვრება, ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლის საფასური და გადახდის პირობები, სახელდება ასევე კარიერული განვითარებისა და კვლევით პროექტებში სტუდენტთა ჩართულობის შესაძლებლობები. ამასთანავე გამოკითხვისა და შეფასებების შედეგად გამოვლინდა რამდენიმე საყურადღებო საკითხიც, კერძოდ, გამოკითხვის პროცესში მონაწილე სტუდენტების მიერ დასახელებული გადასვლის მიზეზები, თუმცა, აღსანიშნავია, რომ

გამოკითხულთა მიერ დაფიქსირებული გადასვლის გარკვეული მიზეზები, რესპონდენტთა ნაწილის მიერ გამოკითხვის პროცესში ამასთანავე სახელდება როგორც უნივერსიტეტის ძლიერი მხარე. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ზემოღნიშნული ძლიერი მხარეები, როგორც უკვე აღინიშნა, დასახელებულია მობილობით გადამსვლელი სტუდენტების მიერ, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ღირებულებას სძენს შეფასებებს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ გამოკითხვის შედეგები გაზიარებულ იქნა ფაკულტეტთან და წარმოდგენილია ფაკულტეტის პოზიციები დასახელბულ საკითხებთან დაკავშირებით.

კითხვარი იძლეოდა რესპონდენტების მხრიდან დამატებითი კომენტარებისა და განმარტებების დაფიქსირების შესაძლებლობას, დამატებითი საყურადღებო საკითხების, ან დასახელებულ საყურადღებო საკითხებთან დაკავშირებით დამატებითი განმარტებების გამოვლენის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ კითხვარი იძლევა რესპონდენტის მიერ გადასვლის რამდენიმე მიზეზის მონიშვნის შესაძლებლობას. ევროპის უნივერსიტეტიდან მობილობით გადასვლის მიზეზები რესპონდენტთა შორის შემდეგნაირად ნაწილდება:



გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა მიიღო სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ევროპის უნივერსიტეტში გადმოსულმა 32-მა სტუდენტმა. წარმოგიდგენთ უნივერსიტეტში გადმოსვლის მაღალი (20%-ზე მეტი) პროცენტული მაჩვენებლების მქონე მიზეზების შეჯამებას. მობილობით გადმოსული სტუდენტების გამოკითხვის შედეგად იკვეთება, რომ ევროპის უნივერსიტეტში მათი გადმოსვლა განპირობებული იყო რამდენიმე მიზეზით: ევროპის უნივერსიტეტში ისეთი საგამანათლებლო პროგრამის არსებობა, რომელზეც სწავლობდა სტუდენტი (კრედიტების თავსებადობა), ევროპის უნივერსიტეტის მიერ მოქნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეთავაზება, სწავლება-სწავლის და

შეფასების მეთოდები, სასწავლო ლიტერატურა და ა.შ.), უნივერსიტეტში არსებული სასწავლო გარემო (პერსონალთან კომუნიკაცია, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო და ა.შ.), ევროპის უნივერსიტეტის პროგრამის კვალიფიციური პერსონალის მიერ განხორციელება, გაცვლითი პროგრამებში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობები, კარიერული განვითარების შესაძლებლობები, ეროპის უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა/მატერიალური ბაზა, ევროპის უნივერსიტეტში უფრო ხარისხიან განათლების მიღების შესაძლებლობები, კვლევით საქმიანობაში სტუდენტთა ჩართულობის ხელშეწყობა, ევროპის უნივერსიტეტში არსებული სტუდენტური ცხოვრება, უნივერსიტეტში უფრო ადვილად სწავლის შესაძლებლობები. გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული საყურადღებო საკითხებიც, მაგალითად, ევროპის უნივერსიტეტში გადმოსვლის მიზეზად უფრო მარტივად სწავლის დასახელება. თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროპის უნივერსიტეტში გადმომსვლელთა დიდი ნაწილი (38%) გადმოსვლის მიზეზად ევროპის უნივერსიტეტში უფრო ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას ასახელებს, ასევე დიდი ნაწილის (47%) მიერ გადმოსვლის მიზეზად დასახელებულია ევროპის უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან მეტად შესაბამისობა.

აღსანიშნავია, რომ კითხვარი იძლევა რესპონდენტის მიერ გადმოსვლის რამდენიმე მიზეზის მონიშვნის შესაძლებლობას. ევროპის უნივერსიტეტში მობილობით გადმოსვლის მიზეზები რესპონდენტთა შორის შემდეგნაირად ნაწილდება:



ამდენად, გამოკითხვის შედეგად მიღებული შეფასებები ძირითადად დადებითია, თუმცა ბუნებრივია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოხდა შეფასების მიღებული შედეგების გაანალიზება და ანალიზის შედეგებით გამოვლენილი გარკვეული საყურადღებო

საკითხების შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან გაგზავნა გაცნობისა და რეაგირებების მიზნით. სტრუქტურული ერთეულების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გაზიარებულია განხორციელებული რეაგირებებისა თუ დაგეგმილი საპასუხო აქტივობების/საპასუხო მოსაზრებების შესახებ ინფორმაცია შესაბამისი ანგარიშის საშუალებით ანგარიშგებისა და შეფასებების მიზნით (დეტალებისთვის იხ. დანართი #11 - მობილობის მონაწილე სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და რეაგირების ანგარიშები).

თავი 4. კვლევა

კვლევითი საქმიანობის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების კიდევ ერთი მიმართულებაა და გულისხმობს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებასა და ანალიზს.

4.1. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასება

კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრთან. ცენტრის მიერ ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისგან სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის გამოთხოვა. პერსონალის შეფასების წესის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის შესაძლო სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები და თითოეული აქტივობისთვის განკუთვნილია შეფასება. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში აკადემიური პერსონალის მიერ ივსება ყოველწლიურად და აქტივობების განხორციელების მტკიცებულებებთან ერთად წარედგინება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრს. აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ დადასტურებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ანგარიშები მიეწოდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთნ ერთად ახდენს შედეგების გაანალიზებას და აკადემიური პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირებას, ასევე, სამომავლო აქტივობების დაგეგმვასა და ორგანიზებას აკადემიური პეროსნალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით.

ზემოაღნიშნული წესი თითოეული აკადემიური პოზიციის შემთხვევაში განსაზღვრავს მინიმალურ მოთხოვნებს (მინიმალური ქულების მოცულობას). დადგენილი მინიმალური მოთხოვნების და კმაყოფილების შემთხვევაში უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი იღებს წესით დადგენილი მოცულობის ანაზღაურებას, რაც უნივერსიტეტის მხრიდან მათი

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსურ მხარდაჭერად განიხილება. აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება აღნიშნული წესით ევროპის უნივერსიტეტში განხორციელდა 2022-2023 აკადმემიური წლის ბოლოს (განხორციელებული შეფასებების, მიღებული შედეგებისა და ცენტრის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით აგანხორციელებული აქტივობების შესახებ დეტალებისთვის იხ. წინამდებარე ანგარიშის 3.2.1. პუნქტი - აკადემიური პერსონალის შეფასება განხორციელებული სამცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიხედვით).

4.2. პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის შეფასება საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის გზით

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის საჭიროებების დადგენისა და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ცენტრის ხელმძღვანელისგან გამოითხოვს ანგარიშს საერთაშორისო საგრანტო კონკურსში, ადგილობრივ საგრანტო კონკურსში, საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსში ევროპის უნივერსიტეტის პერსონალის მონაწილეობის შესახებ. ანგარიშის მიხედვით ფასდება საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მიმართულებით აკადემიური პერსონალის აქტივობა. შესაძლოა გაიცეს რეკომენდაციები აღნიშნული მიმართულებით ცენტრის მხრიდან ინფორმაციის მეტად გაზიარებასთან, შესაბამისი კონსულტაციების გაწევასთან ან/და აქტივობების მეტად ინტენსიურად დაგეგმვასთან დაკავშირებით (იხ. დანართი #16 - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვენელის ანგარიში უნივერსიტეტის პერსონალის საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის შესახებ). 2022-2023 აკადემიურ წელს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად:

1. სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის მიერ შეტანილ იქნა ერთი და მედიცინის ფაკულტეტის მიერ ასევე ერთი განაცხადი საერთაშორისო საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით:

#	ფაკულტეტი	საგრანტო განაცხადის დასახელება/თემატიკა	ფონდი/ ორგანიზაცია, სადაც წარდგენილ იქნა საგრანტო განაცხადი	გაიარა შესარჩევი ეტაპი	სტატუსი
1	მედიცინის ფაკულტეტი	CCP Synergy – Networking Civil Societies”	IFA-CCP-Grant - გერმანიის მცირე საგრანტო კონკურსი	არ ითვალისწინებდა შესარჩევ ეტაპს	არ დაფინანსდა
2	სამართლის, განათლების, ბიზნესისა და	პრაქტიკული გზამკვლევი იურისტებისთვის	USAID Rule of Law Program in Georgia	არა	არ დაფინანსდა

	ტექნოლოგიების ფაკულტეტი				

2. სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის მიერ შეტანილ იქნა სამი განაცხადი, მედიცინის ფაკულტეტის მიერ ხუთი განაცხადი, ხოლო სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის მიერ ერთი განაცხადი ადგილობრივ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით:

#	ფაკულტეტი	საგრანტო განაცხადის დასახელება/თემატიკა	ფონდი/ ორგანიზაცია, სადაც წარდგენილ იქნა საგრანტო განაცხადი	გაიარა შესარჩევი ეტაპი	სტატუსი
1	სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი	სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისათვის კიბერ უსაფრთხოებასთან და ბულინგთან დაკავშირებული რისკების შესახებ ცნობიერების ამაღლება	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი - მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი	დიახ	დაფინანსდა
2		იურიდიული ციფრული კონსულტანტი ხელოვნული ინტელექტის ტრანსფორმაციის ეპოქაში	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი - ფუნდამენტური კვლევებისათვის	დიახ	არ დაფინანსდა
3		სამართლებრივ ურთიერთობებში არასრულწლოვანთა მონაწილეობის სპეციფიკური თავისებურებები	იუსტიციის სამინისტრო	დიახ	არ დაფინანსდა
1	მედიცინის ფაკულტეტი	ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის მიერ დაარსებული „სამეცნიერო ჟურნალ-კლუბი“	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2023 წლის მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი	დიახ	არ დაფინანსდა
2		აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ტუბერკულოზის მქონე პაციენტების დაავადების	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ოკუპირებული ტერიტორიების	დიახ	არ დაფინანსდა

		მიმდინარეობა და გამოსავლები	შემსწავლელი სამეცნიერო კონკურსი		
3		თბილისსა და კახეთში 10-12-ე კლასის მოსწავლეებში პირველადი დახმარების პრაქტიკული სწავლება-შეფასების ანალიზი	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების კონკურსი	დიახ	არ დაფინანსდა
4		მოზარდებში კარიესისა და კბილების ეროზიული დაზიანებები გავრცელებისა დამათზე ენერგეტიკული სასმელების მომხმარებისა და პროფესიული ფტორირების გავლენების შესწავლა	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების კონკურსი	დიახ	არ დაფინანსდა
5		სწავლა-სწავლება უმაღლესი განათლების საფეხურზე	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ საგრანტო კონკურსი	დიახ	დაფინანსდა
1	სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი	„მიკოტოქსინების ადსორბენტული ნანოკომპოზიტები ლიგნინის ფუძეზე: მათი პრეპარატული ფორმების მიღება და ტოქსინების ინჰიბირების პროცესის კვლევა“	სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	დიახ	არ დაფინანსდა

3. სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ მოხდა განაცხადის შეტანა ევროპის უნივერსიტეტის აღნიშნული ფაკულტეტის მიერ გამოცხადებულ შიდა საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით:

#	ფაკულტეტი	საგრანტო განაცხადის დასახელება/თემატიკა	ფონდი/ ორგანიზაცია, სადაც წარდგენილ იქნა გრანტი	გაიარა შესარჩევი ეტაპი	სტატუსი
1	სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი	სამოქალაქო სამართლის მეთოდოლოგიური პრობლემები	ევროპის უნივერსიტეტი (შიდა გრანტი)	დიახ	დაფინანსდა

4. მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ მოხდა განაცხადის შეტანა საერთაშორისო ინდივიუალურ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით:

#	ფაკულტეტი	საგრანტო განაცხადის დასახელება/თემატიკა	ფონდი/ ორგანიზაცია, სადაც წარდგენილ იქნა გრანტი	გაიარა შესარჩევი ეტაპი	სტატუსი
1	მედიცინის ფაკულტეტი	საქართველოს მკვლევართა მობილობის პროგრამა	ევროკავშირი საქართველოსთვის DAAD	დიახ	დაფინანსდა
2		ADVANCE-TB	COST Actions	დიახ	დაფინანსდა

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული ანგარიშის თანახმად სახეზეა ფაკულტეტების მხრიდან საკმაო აქტიურობა, ადგილობრივ თუ საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მიზნით. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ცენტრის მიერ როგორც ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, ისე ზოგადად, საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის დროს, საგრანტო განაცხადის მომზადების ეტაპზე მიმდინარეობს ინტენსიური თანამშრომლობა და კონკულტაციები შესაბამის მხარეებთან, განაცხადის ავტორებთან, მათი მხარდაჭერის, უფრო კონკრეტულად კი საგრანტო განაცხადების გამართვისა და სრულფასოვნად მომზადების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე არის საგრანტო პროექტების დაფინანსების შემთხვევები, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის დროს. 2022-2023 აკადემიურ წელს დაფინანსდა ადგილობრივ და საერტაშორისო საგრანტო კონკურსში მონაწილე ხუთი საგრანტო პროექტი, რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული შედეგია წინა წლებთან შედარებით.

ევროპის უნივერსიტეტის პერსონალის მიერ შეტანილი საგრანტო პროექტების განაცხადებისა და მათი დაფინანსების შესახებ მონაცემები შემდეგნარიად გამოიყურება:





4.3. საგრანტო პროექტების მიმდინარეობისა და შედეგების მნიშვნელობის შეფასება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ

დაფინანსებული საგრანტო პროექტების მიმდინარეობის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ შეფასებისა და უნივერსიტეტისთვის პროექტის შედეგების მნიშვნელობის გაანალიზების მიზნით ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებულია საგრანტო პროექტების მიმდინარეობის შეფასების კვარტალური ანაგრიშის ფორმა. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ გაანალიზებულია 2022-2023 აკადემიურ წელს მიმდინარე და დასრულებული საუნივერსიტეტო პროექტის შედეგები და შეფასებულია პროექტის შედეგების მნიშვნელობა უნივერსიტეტისთვის. აღნიშნული შეფასება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ განხორციელდა საგრანტო პროექტების მიმდინარეობის/დასრულების შესახებ ფაკულტეტისგან მიღებული ანგარიშების საფუძველზე. აღნიშნული ანაგრიშები საშუალებას იძლევა შეფასდეს პროექტების სამეცნიერო პროდუქტიულობა, მაგალითად, მოხდა თუ არა პროექტის ფარგლებში პუბლიკაციების

გამოქვეყნება, ან სხვა რაიმე სახის პროდუქტის, შედეგის მიღება, მოხდა თუ არა პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგების გავრცელება სხვადასხვა ღონისძიებების საშუალებით. ანგარიში ასევე იძლევა საშუალებას შეფასდეს პროექტის ძირითადი მიღწევები, პროექტის პრაქტიკული ღირებულება ან/და შედეგების საგანმანათლებლო პროცესებში გამოყენების გეგმა (დეტალებისთვის იხ. დანართი #17 - კვლევითი საგრანტო პროექტის მიმდინერეობის ანგარიშები). 2022-2023 აკადემიურ წელს მიმდინარე და დასრულებული შიდა საუნივერსიტეტო პროექტის შედეგები წარმოდგენილი ანგარიშების შეფასების მიხედვით შემდეგია:

საგრანტო პროექტი „ქართული კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა ციფრული ეკონომიკის ეპოქაში“. პროექტის ხანგრძლივობა: 2 წელი (48 თვე). პროექტის ბიუჯეტი: 117400 ლარი. სტატუსი: მიმდინარე. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: ევროპის უნივერსიტეტის სამართლის, განათლების ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, იოსებ კელენჯერიძე.

კვლევის ამოცანას წარმოადგენს ციფრული ეკონომიკის ეპოქაში, კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის ეფექტური აღსრულებისათვის ხელისშემშლელი საკითხების გამოკვეთა, მათი შესწავლა და საუკეთესო პრაქტიკისა და აკადემიური ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე, წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად რეკომენდაციების მომზადება, რათა მოხდეს კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის ეფექტური აღსრულება ციფრული ეკონომიკის ეპოქაში. აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკისა და ინოვაციების განვითარების, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნას, თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვას, თავისუფალი ვაჭრობას და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარებას.

რაც შეეხება კვლევითი პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების / კვლევის შედეგებისა და პროექტის ძირითადი მიღწევების შეჯამებას, პროექტი მიმდინარეა და საბოლოო შედეგების ჩამოყალიბება მოხდება პროექტის დასრულების პერიოდისთვის. თუმცა მოცემული მომენტისთვის კვლევის შინაარსის მიხედვით მოძიებული აკადემოური ლიტერატურის და სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე დაიწერა სამეცნიერო ნაშრომი: „საქართველოს კონკურენციის სამართალი ციფრულ ეპოქაში - ქართული პრაქტიკა და არსებული გამოწვევები“, სადაც მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ტექნოლოგიური ეპოქის ძირითადი ბიზნეს მოდელებს და კონკურენციის პოლიტიკის მთავარ ტექნოლოგიურ გამოწვევებს: DOI: https://doi.org/10.36475/10.2.15.

კვლევას გააჩნია შემდეგი მნიშვნელობა და ღირებულებები: კვლევის შედეგად შექმნილი ლიტერატურა კონკურენციის სამართალში შესაძლებელია აქტიურად იქნეს გამოყენებული სასწავლო პროცესში, ამასთანავე, კვლევას გააჩნია პრაქტიკული ღირებულებაც: საერთაშორისო პრაქტიკული ქეისების განხილვის შესახებ პროექტის ფარგლებში შექმნილი

სახელმძვანელო შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მოსამართლეების, მოქმედი იურისტების მიერ პრაქტიკაში ანალოგიური შემთხვევების შესწავლის დროს. უფრო დეტალურად, კვლევითი პროექტის მთავარი პროდუქტია კვლევითი დოკუმენტის მომზადება, რომელიც, ერთი მხრივ, შექმნის სამეცნიერო სიახლეს, ქართული კონკურენციის პოლიტიკის ციფრულ ეკონომიკის კონტექსტში გააზრების კუთხით, ხოლო, მეორე მხრივ, იქნება გამოყენებული სასწვლო მიზნებისათვის, როგორც კონკურენციის სამართლის თუ ციფრული ეკონომიკის საკითხების სახელმძანელო. პრაქტიკული კუთხით სახელმძღვანელოს შექმნა ხელს შეუწყობს, რათა საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს პარლამენტის, მთავრობის და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაიაზრონ ტექნოლოგიური მიღწვებით განპირობებული გამოწვევები კონკურენციის სფეროში და მოახდინონ შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება რათა უზრუნველყოფილ იქნას საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის და სამართლის ადაპტირება ციფრული ეკონომიკით შექმნილ რეალობასთან. გრძელვადიან პერსპექტივაში, აღნიშნული დოკუმენტი, ერთი მხრივ, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო უწყებებისთვის იქნება გზამკვლევი ონლაინ ბაზრებზე კონკურენციის წესების შესაძლო დარღვევის ფაქტების შესწავლის პროცესში, მეორე მხრივ, ციფრულ ბაზარზე მოქმედი ბიზნესსუბიექტებისთვის იქნება პრაქტიკაზე დაფუძნებული სახელმძღვანელო. კვლევა, მნიშვნელოვანია ქართული კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაციის კუთხითაც და ამ მხრივ, რელევანტურია, როგორც ქართული სამართლის ევროპულ სამართალთან (EU acquis) დინამიკური აპროქსიმაციის კუთხით, აგრეთვე უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში, ზოგადად, საქართველოს ევროპულ ოჯახში ინტეგრაციის კუთხითაც.

საგრანტო პროექტი „სწავლა-სწავლება უმაღლესი განათლების საფეხურზე“. პროექტის ხანგრძლივობა: 6 თვე. პროექტის ბიუჯეტი: 3 764 ლარი. სტატუსი: დასრულებული. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: ევროპის უნივერსტიეტის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, გიორგი გერგაული. პროექტის განხორციელებაში ჩართული იყო ასევე ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სხვა აკადემიური პერსონალიც.

პროექტის ძირითად მიზანი იყო დარგში პირველი ქართულენოვანი თეორიული გზამკვლევის შექმნა, რომელიც უმაღლესი განათლების საფეხურზე სასწავლო პროცესის დამგეგმავ და განმახორციელებელ პირებს შესაძლებლობას მისცემს ეფექტიანად წარმართონ სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებული აქტივობები.

რაც შეეხება კვლევითი პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების / შედეგებისა და პროექტის ძირითადი მიღწევების შეჯამებას, პროექტის ფარგლებში მომზადდა მონოგრაფია: სწავლა-სწავლება უმაღლესი განათლების საფეხურზე: https://www.eu.edu.ge/ge/research/research-support-center. აქამდე არსებულ ლიტერატურაში ვხვდებით ინფორმაციას სწავლის შეფასების მეთოდების, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და სისტემური დაგეგმვის მიმართულებით. პროექტის ფარგლებში შექმნილი

მონოგრაფია კი, აერთიანებს ზემოთ მოცემულ საკითხებს მეტად პრაქტიკულ ჭრილში და უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესის ჰოლისტური აღქმის შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, მასში განხილულია უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებული პარადიგმის ცვლილება სწავლის ტრადიციული მიდგომიდან თანამედროვე მიდგომამდე, გაანალიზებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია (2022-2030) და განხილულია სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემების მაგალითი. გარდა აღნიშნულისა, შემოთავაზებული თეორიული გზამკვლები მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა სწავლაზე ორიენტირებული სწავლა, სტუდენტის მოტივაციური ფაქტორები, შეფასების მეთოდები და ტიპები, სწავლა-სწავლების ეფექტიანი მეთოდები და სტრატეგიები, დასაქმებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი და ეთიკური ქცევის საკითხები როგორც სტუდენტის, ასევე აკადემიური პერსონალის პერსპექტივიდან.

პროექტის შედეგების სათანადოდ გავრცელების მიზნით შექმნილი მონოგრაფია მატერიალური სახით გადაეცა საქართველოს 50 სახელმწიფო და კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, ეროვნულ სამეცნიერო და საპარლამენტო ბიბლიოთეკას, ასევე ელექტრონული ფორმატი ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომია ევროპის უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. მონოგრაფია მატერიალური სახით ასევე დაურიგდა მონოგრაფიის საჯარო პრეზენტაციებზე დამსწრე აუდიტორიას.

პროექტის შედეგების გავრცელების მიზნით ევროპის უნივერსიტეტის ეგიდით 2023 წლის 30 ივნისს გაიმართა მონოგრაფიის პირველი საჯარო პრეზენტაცია. პრეზენტაციას ესწრებოდნენ სხვადასხვა უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელები, რექტორები და ვიცე-რექტორები, ასევე, სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების განათლების და/ან ფსიქოლოგიის ფაკულტეტების დეკანები და მომიჯნავე სფეროს პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი: https://www.eu.edu.ge/ge/news/2092-sastumro-redisonshi-evropis-universitetis-apilirebuli-asistent-propesorebis-cignis?fbclid=IwAR2ZMdNSDAIMUa9REfai-5qLKDsl-wAFIYFEDs1HsYl6CIjo5ZQ18L8sBiM. ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ მაღალი დაინტერესებისა და მომართვის გამო მონოგრაფიის მეორე საჯარო პრეზენტაცია გაიმართა 2023 წლის 12 ივნისს საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. პრეზენტაციას ესწრებოდნენ სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე პროგრამის ხელმძღვანელები, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის წარმომადგენლები და ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტები: https://www.eu.edu.ge/ge/news/2109-erovnul-sametsniero-bibliotekashi-evropis-universitetis-apilirebuli-asistent-propesorebis.

თეორიული გზამკვლევის საბეჭდი ვერსიის მომზადების შემდეგ, იმისათვის, რომ შემქნილი ნაშრომი გავრცელებული საერთაშორისო სამეცნიერო ბიბლიოთეკების საძიებო სისტემაში,

უზრუნველყოფილია მისთვის ISBN-სა და DOI-ს მინიჭება. ნაშრომის ელექტრონული ვერსია გაუზიარდა აა(ი)პ ასოციაცია მეცნიერებისათვის და განთავსდა საერთაშორისო საძიებო სისტემაში.

პროექტს გააჩნია განსაკუთრებული ღირებულება სწავლების თვალსაზრისით. მისი შედეგები საინტერესო და ღირებული იქნება სასწავლო პროცესში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის. შემოთავაზებულ სამეცნიერო ნაშრომში დაინტერესებულ პირებს, კერძოდ, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს სთავაზობს უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ თეორიულ მიმოხილვასა და პრაქტიკულ გზებს. თეორიული გზამკვლევის გაცნობა უმაღლესი განათლების საფეხურზე საგანმანათლებლო პროგრამების შემქმენელებსა და აკადემიურ პერსონალს დაეხმარება სწავლა-სწავლების პროცესში გაითვალისწინოს სტუდენტების მოტივაციასთან დაკავშირებული ფაქტორები; ორიენტირებული იყოს სწავლის შედეგზე და პროცესზე; გამოიყენოს შეფასების მრავალფეროვანი და სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდები; ამასთანავე, აკადემიური თავისუფლების პერსპექტივიდან იზრუნოს სტუდენტის ეთიკური ქცევის წახალისებაზე და თავად იყოს ეთიკური ქცევის განხორციელების მოდელი.

მონოგრაფიაში მოცემული შინაარსის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხცა დისციპლინის შესაბამისი პროგრამის განხორციელების პროცესში როგორც სავალდებულო სასწავლო პირველი ქართულენოვანი ლიტერატურა, რომელიც შეეხება სწავლა-სწავლების პროცესებს უმაღლესი განათლების საფეხურზე და ინტეგრირდება როგორც ფსიქოლოგიის პროგრამაში, ასევე განათლების მეცნიერებისა და ადმინისტრირების კურსებში. დაგეგმილია მონოგრაფიის გარკვეული თავების ინტეგრირება ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსში „განათლების ფსიქოლოგია“. აღსანიშნავია, რომ ნაშრომის საჯარო პრეზენტაციაზე დასწრე აუდიტორიამ აღნიშნა ლიტერატურის სხვა სასწავლო კურსში ინტეგრირების შესაძლებლობები, მათ შორის განათლების ადმინისტრირების პროგრამებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევას გააჩნია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ღირებულება სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული პირებისათვის.

4.4. პლაგიატის შემთხვევების შეფასება

ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებულია დოკუმენტი „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები“ (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 მარტის №63 ბრძანებით), რომელიც ემსახურება უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ობიექტურად განხორციელების უზრუნველყოფას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დამკვიდრებას, ასევე, ხელს უწყობს უნივერსიტეტში სამეცნიერო და აკადემიური

საქმიანობისა და პასუხისმგებლობის დონის, საუნივერსიტეტო საზოგადოებაში უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლებას, მაღალი აკადემიური სტანდარტების დანერგვისათვის ქცევის ნორმების რეგულირებასა და პასუხისმგებლობის ფორმების დამკვიდრებას. დოკუმენტის მოთხოვნები ვრცელდება უნივერსიტეტში დასაქმებულ აკადემიურ, მოწვეულ და სამეცნიერო პერსონალზე, ასევე, უნივერსიტეტის სტუდენტებზე და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებსა და გამოცემებში ჩართულ პირებზე.

პლაგიატის აღმოჩენისა და ამ კუთხით ნაშრომების შეფასების მიზნით ევროპის უნივერსიტეტში გამოყენებულია ელექტრონული პროგრამა: https://www.turnitin.com/. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების მიხედვით პროგრამა გამოიყენება არამხოლოდ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შემოწმების მიზნით, არამედ ფართოდ გამოიყენება სასწავლო პროცესში ყველა ისეთი წერითი დავალების (ესსე, რეფერატი, პროექტი და ა.შ.) შესამოწმებლად, სადაც სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი ითხოვს დავალებაში გამოყენებული მასალისა და წყაროების მითითებას. სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი ვალდებულია წერით დავალებებში პლაგიატის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში ავტომატურად გაანულოს დავალების ქულა, ხოლო საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებში პლაგიატის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში ნაშრომი ხელმძღვანელის მიერ უბრუნდება სტუდენტს გადასამუშავებლად.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში შემუშავებულია სტუდენტთა წერილობითი ნამუშევრების პლაგიატის პროგრამაში გადამოწმებისა და რეაგირების ანგარიში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს ფაკულტეტებისგან გამოითხოვს შევსებულ ანგარიშს, საგანმანათლებლო პროგრამების ფარლებში ზემოაღწერილი რეგულაციების შესრულების შეფასების მიზნით. ანგარიშის შევსება და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის მიწოდება ფაკულტეტის მხრიდან განხორციელდა 2022-2023 აკადემიური წლის ორივე სემესტრის ბოლოს. ნამუშევრების პლაგიატის პროგრამაში გადამოწმების მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება სემესტრების მიხედვით:



ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით არის სტუდენტის მხრიდან ნაშრომის განულების გასაჩივრების ერთი შემთხვევა, რომელიც განხილულ იქნა კომისიური წესით, თუმცა ძალაში დარჩა ნაშრომის განულების საკითხი, რადგან დადასტურდა ნაშრომში პლაგიატის ნიშნების არსებობა.

შევსებული ანგარიშების შეფასების საფუძველზე დადასტურდა ფაკულტეტის მხრიდან საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში აღნიშნული მიმართულებით არსებული რეგულაციების შესრულება. ნაშრომები/წერითი დავალებები შემოწმებულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში (სადაც აღნიშნულის საჭიროება და შესაძლებლობაა). პლაგიატის ნიშნებზე შემოწმებულია საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომებიც/პროექტებიც და სასწავლო კურსების ფარგლებში სხვადასხვა ტიპის წერითი დავალებები, მათ შორის, ესსე, კვლევითი პროექტები, რეფერატები. ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების შეფასების საფუძველზე საყურადღებო საკითხები არ გამოვლენილა, შესაბსამისად, არ დამდგარა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან რეაგირებების მოთხოვნის საჭიროება (დეტალებისთვის იხ. დანართი #15 - სტუდენტთა წერილობითი ნამუშევრების პლაგიატის პროგრამაში გადამოწმებისა და რეაგირების ანგარიშები).

თავი 5. მართვის პროცესები

მართვის პროცესების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების კიდევ ერთი მიმართულებაა და ითვალისწინებს ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევას და ამ კუთხით უნივერსიტეტის მართვის პროცესების ეფექტიანობის შეფასებას. გამოკითხვის პროცესი, როგორც უკვე აღინიშნა რეგულირდება კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელოს (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №95 ბრძანებით) შესაბამისად. აღნიშნული გამოკითხვის შედეგად ხდება სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, თითოეული

თანამშრომლის მხრიდან ხდება სტრუქტურული ერთეულების, სამსახურების, რომელსაც ისინი განეკუთვნებიან, ფუნქციებისა და მიზნების შეფასება, ადმინისტრაციული პერსონალი ასახელებს ფაქტორებს, რაც გაზრდიდა მათი ფუნქციების შესრულების ეფექტიანობას. ამასთანავე, სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ხდება მოსაზრებების, რჩევებისა და რეკომენდაციების გაზიარება ადმინისტრაციული თანამშრომლების მიერ. მართვის პროცესების შეფასება საშუალებას იძლევა შეფასდეს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების, სამსახურების მუშაობის ეფექტიანობა, გამოიკვეთოს აღნიშნულთან დაკავშირებული საყურადღებო საკითხები და გასაუმჯობესებელი მხარეები. გამოკითხვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ელექტრონულ პლატფორმას: https://www.surveymonkey.com/. მიღებული შედეგების გაანალიზების შედეგად შესაძლოა შემუშავდეს რეკომენდაციები კონკრეტული სამსახურებისა და სტრუქტურული ერთეულების მისამართით, მათ შორის მმართველი რგოლის მისამართითაც მიღებული შედეგების გაუმჯობესებისა და სამსახურების/სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები ეგზავნება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს/სამსახურებს და პირებს შესწავლისა და რეაგირებისთვის. აღნიშნული გამოკითხვა ევროპის უნივერსიტეტში ჩატარდა 2022-2023 აკადემიური წლის ბოლოს, მოხდა შედეგების გაანალიზება. გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა მიიღო ევროპის უნივერსიტეტის 60-მა ადმინისტრაციულმა პერსონალმა. ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა საერთო ჯამში უნივერსიტეტთან თანამშრომლობით მათი მეტწილად კმაყოფილება: შეკითხვაზე „საერთო ჯამში რა ქულით შეაფასებდით უნივერსიტეტთან თანამშრომლობით თქვენს ზოგად კმაყოფილებას“, ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება უმაღლესი 5 ქულიდან არის საშუალოდ 4.5 ქულა. შეფასების შედეგები უფრო დეტალურად შემდეგნაირად გამოიყურება: პერსონალის 62% მაქსიმალური 5 ქულით აფასებს უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგად კმაყოფილებას, 30% - 4 ქულით, 6.5% - 3 ქულით, ხოლო 1.5% (1 თანამშრომელი) - 1 ქულით:



	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა	5 ქულა	საშუალო შეფასება
უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ზოგადი კმაყოფილება	1.5%	0.0%	6.5%	30%	62%	4.5 ქულა

გამოკითხვის შედეგად ადმინისტრაციული პერსონალის მიერ სახელდება მნიშვნელოვანი დადებითი შეფასებები და უნივერსიტეტის მართვასთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკის არაერთი ძლიერი მხარე: გუნდური მუშაობა, სიახლეებით დაინტერესება, წამოჭრილ საკითხებზე მყისიერი რეაგირება, საქმისადმი დამიკიდებულება, არსებული სამუშაო გარემო და პირობები, შედეგებზე ორიენტირებულობა, ეფექტიანი კომუნიკაცია თანამშრომლებთან, თანამშრომლობითი გარემო, ჯანსაღი დამოკიდებულებები თანამშრომლებთან, თანამშრომელთა წინსვლის ხელშეწობა, ურთიერთპატივისცემა, და ა.შ.

კითხვარი იძლევა კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით დამატებითი რეკომენდაციების, მოსაზრებებისა და კომენტარების გაზიარების შესაძლებლობას, რათა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების/პირების მხრიდან შესაძლებელი ყოფილიყო სათანადო რეაგირებები მართვის ეფექტიანობის და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების გაზრდის მიზნით. პერსონალმა უმეტეს შემხთხვევაში ისარგებლა აღნიშნული შესაძლებლობებით.

შეფასების შედეგად გამოიკვეთა გარკვეული საყურადღებო საკითხებიც, მათ შორის: სამუშაო გრაფიკი, თავისუფალი დროის სიმცირე, კომუნიკაციის ნაკლებობა, არასწორი საკადრო პოლიტიკა და ა.შ.

გასული აკადემიური წლის ანალოგიური გამოკითხვის შედეგების საფუძველზე განხორციელდა არაერთი რეაგირება, მათ შორის დამკვიდრდა სამსახურების რეგულარული შეხვედრების, მნიშვნელოვანი საკითხების ერთად განხილვის, ერთობლივი მსჯელობისა და

მოსაზრებების გაზიარების პრაქტიკა, რაც შესაძლებელია იყოს მიღებული შედეგების ერთ-ერთი მიზეზი.

2022-2023 აკადემიური წლის გამოკითხვის შედეგები და ანალიზი გაეგზავნა ევროპის უნივერსიტეტის მენეჯმენტს, სამსახურებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდა სამსახურებთან ინდივიდუალური შეხვედრებიც, სადაც დეტალურად იქნა განხილული საყურადღებო საკითხები. გამოკვეთილ საყურადღებო საკითხებთან დაკავშირებული სამსახურებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან მიეცათ ინსტრუქცია რეაგირების ანგარიშის მომზადებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის წარდგენის შესახებ. რეაგირების ანგარიშების საშუალებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეფასებებისთვის წარედგინა დეტალური ინფორმაცია გამოვლენილი საყურადღებო შემთხვევების საპასუხოდ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ანდა პირების (ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური, შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტები, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, ფინანსური სამსახური, საქმისწარმოების სამსახური, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური, და ა.შ.) მხრიდან განხორციელებული რეაგირებებისა და დაგეგმილი რეაგირებების შესახებ, ანგარიშების საშუალებით ასევე წარმოდგენილია დასაბუთებული ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა შემთხვევებზე არ ჩაითვალა რეაგირება საჭიროდ (დეტალებისთვის იხ. დანართი #19 - მართვის პროცესების შეფასება, შეფასების შედეგების ანალიზი, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები).

შეფასების შედეგებზე რეაგირების შესახებ დეტალური უკუკავშირი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაგზავნილ იქნა ადმინისტრაციულ პერსონალთან.

თავი 6. შეფასების შედეგების გამოყენება

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული შეფასების შედეგების ეფექტიანად გამოყენების მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს განხორციელებული შეფასების შედეგების ანალიზს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები რეაგირებისთვის წარედგინება შესაბამის სამსახურსა და სტრუქტურულ ერთეულს. მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით სტრუქტურული ერთეულების მხრიდან იგეგმება და ხორციელდება გარკვეული რეაგირებები, განხორციელებული და დაგეგმილი ნაბიჯები რეაგირების ანგარიშის სახით წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურს, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს უკვე განხორციელებული რეაგირება და მოხდეს დაგეგმილი ნაბიჯების შესრულების მონიტორინგი.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული შეფასების პროცედურები რეგულარულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება. განმეორებითი შეფასებები იძლევა გამოყენებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების, მათი დახვეწისა და გუმჯობესების შესაძლებლობას. განხორციელებული გამოკითხვის შედეგების შეფასებისა და ანალიზისა საფუძველზე 2022-2023 აკადემიურ წელს გარკვეული ცვლილებები შევიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებულ არაერთ კითხვარში, მაგალითად, დაიხვეწა და განახლდა საგანმანათლებლო პროგრამების წლიური განვითარების ანგარიშის ფორმა, კერძოდ, დაემატა ველები, რომლითაც შესაძლებელია მიეთითოს და შეფასდეს გარე შეფასებების (აკრეტიდაციის/ავტორიზაციის) პროცესში მიღებული რეკომენდაციების საფუძელზე განხორციელებული ცვლილებები. ასევე, დაკვირვების საფუძველზე, პროცესების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გაერთიანდა საგანმანათლებლო პროგრამების პირდაპირი და არაპირდაპირი გზით შეფასების განხორციელების მიზნით შემუშვებული კურსდამთავრებულების კითხვარი და ა.შ. პროცესების ზოგადი დაკვირვებისა და მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების საფუძველზე, გამოიკვეთა ახალი კითხვარის დამატების საჭიროება, გარკვეული მნიშვნელოვანი საკითხების შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს დაემატა ახალი კითხვარი, კერძოდ, ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობის პროცესებში მონაწილეობით კმაყოფილების კითხვარი. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზნების ეფექტიანობის გაზრდის მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებში მნიშვნელოვანია აღინიშნოს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტში (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №82 ბრძანებით) შესული ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებები უკავშირდება შესაბამისი პროგრამების შემთხვევაში უნივერსიტეტში არსებული ლაბორატორიებისა და სიმულაციური ცენტრის გამტარუნარიანობის შეფასებას, კერძოდ, მეთოდოლოგიას დაემატა აღნიშნული რესურსების შეფასება. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო პროცესში გამოყენებული ლაბორატორიებისა და სიმულაციური ცენტრის რესურსის და გამტარუნაროანობის შეფასება განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად ჩაითვალა აღნიშნული რესურსებით სასწავლო პროცესის სათანადოდ უზრუნველყოფის შესაძლებლობების წინასწარ გადამოწმების/შეფასებისა და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიანად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით. განხორციელებული ცვლილებების ფარგლებში მეთოდოლოგიას ასევე დაემატა პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობის შეფასება და დაზუსტდა კლინიკების გამტარუნარიანობის შეფასების მიდგომებიც. მეთოდოლოგია აერთიანებს პრაქტიკის ბაზებზე მისაღები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობებისა და პრაქტიკის ობიექტების რაოდენობების გათვალისწინებით პროგრამაზე მისაღები

სტუდენტების პრაქტიკის კომპონენტით უზრუნველყოფის შეფასებას, ხოლო დიპლომირებული მედიკოსისა და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, თითოეული კლინიკური სასწავლო კურსის განხორციელებისთვის საჭირო კლინიკებით სტუდენტების უზრუნველყოფის შეფასებას, პარტნიორი კლინიკის რაოდენობებისა და კლინიკაში დასაქმებული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რესურსის გათვალისწინებით. აღნიშნული ცვლილებებიც, დაზუსტებაც ჩაითვალა განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტებით უზრუნველყოფის შესაძლებლობების წინასწარ გადამოწმების/შეფასებისა და შესაბამისად, პროგრამების ხარისხიანად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

2022-2023 აკადემიურ წელს განხორციელებული შეფასებების საფუძველზე გამოკვეთილი საყურადღებო საკითხები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაზიარდა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან, სამსახურებთან, პირებთან. მიღებულია მათი მხრიდან განხორციელებული რეაგირებების შესახებ ანგარიშები, ასევე, ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა რეაგირებებია დაგეგმილი სამომავლოდ გარკვეულ საყურადღებო საკითხებთან დაკავშირებით, რომლის განხორცილებაც ვერ მოხდა მოკლე დროში, ანგარიშის წარმოდგენის პერიოდში. ანგარიშით განსაზღვრულია აღნიშნული დაგეგმილი რეაგირებების განხორციელების ვადები. რეაგირების ანგარიშებში ასევე წარმოდგენილია გამოვლენილ საყურადღებო საკითხებთან დაკავშირებული პოზიციები, თუკი რეაგირება არ ჩაითვალა საჭიროდ ან მიზანშეწონილად.

2022-2023 აკადემიურ წელს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული შეფასების შედეგების საფუძველზე გამოვლენილ საყურადღებო საკითხებზე სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული რეაგირებებია:

გამოკითხვის ტიპი	გამოკითხვის ჩატარების პერიოდი	გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეები, რომელზეც განხორციელდა რეაგირება	რეაგირებების მიზნით განხორციელებული აქტივობები	განხორციელებულ აქტივობებზე პასუხისმგებელი პირი / სტრუქტურული ერთეული
საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება	2022-2023 აკ. წლის შემოდგომის სემესტრი	2022-2023 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში ჩატარებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის	გამოკვეთილ საკითხებთან დაკავშირებით, შედეგების გასაუმჯობესებლად ჩატარდა გარკვეული სამუშაოები. კერძოდ, ინდივიდუალური ონლაინ შეხვედრები ჩატარდა ყველა იმ ლექტორთან, რომლებთანაც გამოვლინდა საყურადღებო კომენტარი ან სტუდენტების შეფასება იყო 4-ზე დაბალი,	მედიცინის ფაკულტეტი

		შეფასებისას გამოვლინდა რამდენიმე საყურაღებო საკითხი კონკრეტულ ლექტორებთან დაკავშირებით.	წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით შეხვედრებს ესწრებოდნენ ფაკულტეტის დეკანი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის განვითარების სამსახურის მენეჯერი. უნდა აღინიშნოს, რომ ლექტორების მხრიდან დადებითად შეფასდა აღნიშნული შეხვედრები და დააფიქსირეს მზაობა თანამშრომლობაზე. შეხვედრებზე ლექტორებმა გააზიარეს თავიანთი მოსაზრებები სტუდენტების შეფასებებთან დაკავშირებით. ლექტორები, ვისთანაც დაფიქსირებული იყო კომენტარები ბაზაში ქულების დაგვიანებით ატვირთვასთან დაკავშირებით, უმეტესად ეთანხმებოდნენ აღნიშნულს და გაითვალისწინებენ მომავალში. რამდენადაც საკმაოდ ხშირად მეორდებოდა კომუნიკაციის პრობლემა, ყველა ლექტორთან ხაზი გაესვა ამ საკითხს, ეთხოვათ, რომ სტუდენტებს ხშირად მიაწოდონ უკუკავშირი, მათ შორის განმავითარებელი, აუხსნან კონკრეტული დაბალი შეფასების მიზეზი და ა.შ. ლექტორების მხრიდან აღინიშნა ის ფაქტიც, რომ სტუდენტის შეფასების დაბალი ქულა გამომდინარეობდა 1 ან 2 სტუდენტის შეფასების საფუძველზე, ხშირ შემთხვევაში არ იყო მითითებული კონკრეტული კომენტარიც, რაც ვერ ჩაითვლებოდა სასწავლო კურსის და ლექტორის ობიექტურ შეფასებად. ასევე, რამდენიმე ლექტორის მხრიდან გამოითქვა სილაბუსის და შეფასების სისტემის გადახედვის სურვილი, რის საფუძველზე პროგრამების და მიმართულებების მიხედვით ჩაინიშნა შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან. 2022-2023 აკად. წლის გაზაფხულის სემესტრის ბოლოს,	

			ფაკულტეტის დეკანთან და პროგრამის ხელმძღვანელთან დიპლომირებული მედიკოსის სხვადასხვა სემესტრების სტუდენტებთან შეხვედრისას სტუდენტების მიერ გამოითქვა კლინიკური და პროფესიული უნარების სასწავლო კურსების სტანდარტიზებული პრეზენტაციების გაზიარების სურვილი. 2023-2024 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრიდან კლინიკური და პროფესიული უნარების ყველა სასწავლო კურსის სტანდარტიზებული პრეზენტაცია ზიარდება სტუდენტებთან ჯგუფების მიხედვით, მათი სასწავლო კურსის შესაბამისად.	
საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება	2022-2023 აკ. წლის გაზაფხულის სემესტრი	2022-2023 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში ჩატარებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის შეფასებისას გამოვლინდა რამდენიმე საყურაღებო საკითხი კონკრეტულ ლექტორებთან დაკავშირებით.	ზემოთ მითითებული ინფორმაციიდან გამომდინარე, საყურადღებო საკითხების საპასუხოდ და შედეგების გასაუმჯობესებლად ჩატარდა გარკვეული სამუშაოები. კერძდ, ყველა იმ ლექტორთან, რომლებთანაც გამოვლინდა საყურადღებო კომენტარი და ასევე, იმ ლექტორებთან, რომლებთანაც სტუდენტების შეფასება იყო 4-ზე დაბალი, წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით ჩატარდა ინდივიდუალური ონლაინ შეხვედრები. შეხვედრებს ესწრებოდნენ ფაკულტეტის დეკანი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის განვითარების სამსახურის მენეჯერი. უნდა აღინიშნოს, რომ ლექტორების მხრიდან დადებითად შეფასდა აღნიშნული შეხვედრები და დააფიქსირეს მზაობა თანამშრომლობაზე. შეხვედრებზე ლექტორებმა გააზიარეს თავიანთი მოსაზრებები სტუდენტების შეფასებებთან დაკავშირებით.	მედიცინის ფაკულტეტი

			ლექტორები, ვისთანაც დაფიქსირებული იყო კომენტარები ბაზაში ქულების დაგვიანებით ატვირთვასთან დაკავშირებით, უმეტესად ეთანხმებოდნენ აღნიშნულს და გაითვალისწინებენ მომავალში. რამდენადაც საკმაოდ ხშირად მეორდებოდა კომუნიკაციის პრობლემა, ყველა ლექტორთან ხაზი გაესვა ამ საკითხს, ეთხოვათ, რომ სტუდენტებს ხშირად მიაწოდონ უკუკავშირი, მათ შორის განმავითარებელი, აუხსნან კონკრეტული დაბალი შეფასების მიზეზი და ა.შ. ლექტორების მხრიდან აღინიშნა ის ფაქტიც, რომ მათი აზრით ის სტუდენტები აფასებდნენ დაბალი ქულით, რომლებმაც სავარაუდოდ ვერ დაძლიეს სასწავლო კურსი. ასევე აღნიშნეს, რომ მსგავს შემთხვევაში სტუდენტს 1-2 ქულა მინიჭებული ჰქონდა კითხვარის თითქმის ყველა შეკითხვაზე. რამდენიმე ლექტორთან ხაზი გაესვა პრზენტაციების დახვეწის აუცილებლობას და სლაიდების რაოდენობის გადახედვას. ადმინისტრაციის მხრიდან ლექტორებს კიდევ ერთხელ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ მათ საშუალება აქვთ დარეგისტრირდნენ ევროპის უნივერსიტეტის სწავლების თანამედროვე მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ტრენინგზე. რამდენიმე სასწავლო კურსის განმახორციელებლის მიერ შემოთავაზებული იქნა სილაბუსში სახელმძღვანელოს ცვლილება, ასევე შეფასების სისტემის გადახედვა. პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობით დაიგეგმა შეხვედრები მიმართულებების მიხედვით.	

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება	2022-2023 აკადემიურ წლის გაზაფხულის სემესტრი	2022-2023 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში ჩატარებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის შეფასებისას გამოვლინდა რამდენიმე საყურაღებო საკითხი კონკრეტულ ლექტორებთან დაკავშირებით.	განხორციელებული შეფასებების საფუძველზე ფაკულტეტმა განახორციელა ინდივიდუალური შეხვედრები, გასაუბრებები ყველა დასახელებულ ლექტორთან, ვისთან დაკავშირებითაც გამოვლინდა საყურადღებო საკითხები: შეხვედრებისა და კომუნიკაციის საფუძველზე რიგ შემთხვევებში ვერ დადასტურდა სტუდენტების მიერ გამოკვეთილი საყურადღები საკითხების საფუძვლები, რიგ შემთხვევებში განხორციელდა ლექტორთან კონკრეტულ საკითხებზე კომუნიკაცია შედეგების გაუმჯობესების მიზნით, კომუნიკაციის შედეგად ლექტორის მხრიდან გამოითქვა მზადყოფნა შედეგების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. დაფიქსირდა ლექტორის ჩანაცვლების შემთხვევაც.	სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი
სტუდენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება	2022-2023 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი	ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთმა სტუდენტმა, გამოხატა მადლიერება საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და კომისიის სხვა წევრების მიმართ, თუმცა, ამასთანავე დააფიქსირა შემდეგი სახის რეკომენდაცია: „ჩემს კმაყოფილებას გაზრდიდა, შეფასების კომისიის წევრების სწორად შერჩევა“.	აღნიშნული შემთხვევის შესწავლის მიზნით, პირველ რიგში მოხდა სტუდენტთან კომუნიკაცია (შედგა სატელეფონო საუბარი), რათა დადგენილიყო სტუდენტის უკმაყოფილების მიზეზი, რადგან მისი კომენტარი საკმაოდ ბუნდოვანი იყო. რესპონდენტთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მისი უკმაყოფილება გამოიწვია კომისიის ერთ-ერთი წევრის მხრიდან მიღებულმა რეკომენდაციებმა მის საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით, რადგან მისი მოსაზრებით აღნიშნული რეკომენდაციები იყო არარელევანტური. სატელეფონო კომუნიკაციის შემდეგ განხორციელდა კომუნიკაცია კომისიის დანარჩენ წევრებთანაც, რომელთა მოსაზრებით, კომისიის წევრის მიერ გაცემული ყველა	სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

			რეკომენდაცია იყო რელევანტური, ღირებული და სამართლიანი, ამასთან რეკომენდაციის გაცემის ფორმა არ სცდებოდა აკადემიური სტილის ფორმატს. საბოლოოდ, ფაკულტეტის დეკანის მხრიდან კიდევ ერთხელ განხორციელდა რესპონდენტთან სატელეფონო კომუნიკაცია, რათა მისთვის გაეცნო კომისიის დანარჩენი წევრების მოსაზრებები, კურსდამთავრებულმა თავადაც დაადასტურა, რომ კომისიის წევრის მხრიდან მიღებული შენიშვნის ფორმა მისთვის არ ყოფილა მიუღებელი და ის არ სცდებოდა აკადემიური მიმართვის ფორმას (კომისიის წევრის მხრიდან უხეშ შენიშვნას, ან მიმართვის უხეშ ფორმას ადგილი არ ჰქონია). უნდა აღინიშნოს, რომ მეორე სატელეფონო საუბრის ბოლოს, რესპონდენტს დეტალურად გაეცნო ყველა კომისიის წევრის მოსაზრება და კიდევ ერთხელ განემარტა, რომ თითოეული კომისიის წევრის არა მხოლოდ უფლება, არამედ ვალდებულებაა, მისცეს სტუდენტს ნაშრომთან დაკავშირებით რელევანტური რჩევები და რეკომენდაციები. აღნიშნული ახსნა-განმარტების შემდეგ რესპონდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მისი პატივისცემა და კმაყოფილება თითოეული კომისიის წევრის მიმართ და დეკანს მადლობა გადაუხადა საკითხით დაინტერესებისთვისა და უკუკავშრისთვის.	
სააუდიტორიო მუშაობის შეფასება	2022-2023 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი	რამდენიმე სააუდიტორიო მუშაობაზე დასწრებისას გამოვლინდა სტუდენტების	აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 2022-2023 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრის დასაწყისში ლექტორებთან და სტუდენტებთან დაიგზავნა	მედიცინის ფაკულტეტი

		დაგვიანებული გამოცხადება ლექცია/სემინარებზე, რაც ხელს უშლის სასწავლო პროცესს	საინფორმაციო მეილები. ასევე, ლექტორებთან რეგულარული შეხვედრების დროს ხაზი გაესვა ლექცია/სემინარებზე დაგვიანების საკითხს.	
სააუდიტორიო მუშაობის შეფასება	2022-2023 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი	1. ერთ-ერთი მოწვეული ლექტორის სააუდიტორო მეცადინეობაზე დასწრების შედეგად (სასწავლო კურსი - კლინიკური და პროფესიული უნარები 4) გამოვლინდა საყურადღებო საკითხები. კერძოდ, ლექცია იყო ნაკლებად ინტერაქციული, სტუდენტები ნაკლებად აქტიურად იყვნენ ჩართულები სალექციო პროცესში და მხოლოდ რამდენჯერმე ჩაერთვნენ კითხვებით, რომელზე პასუხის გაცემასაც დროის მცირე მონაკვეთი დაეთმო. ახსნის ფარგლებში ნაკლებად იქნა გამოყენებული სიმულაციური ცენტრის სიმულატორები, რაც სტუდენტებს მასალის უკეთ გაგებაში დაეხმარებოდა. 2. ერთ-ერთი მოწვეული ლექტორის სააუდიტორო მეცადინეობაზე (სასწავლო კურსი - ორთოპედიული სტომატოლოგიის პროპედევტიკა II) დასწრების შედეგად გამოვლინდა საყურადღებო საკითხი.	1. სააუდიტორო მუშაობაზე დასწრების შემდგომ მალევე მოხდა ლექტორთან გასაუბრება სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელის მხრიდან. მიეწოდა ძირითადი ინფორმაცია ‘’კლინიკური და პროფესიული უნარების’’ სასწავლო კურსების სპეციფიკაზე, სიმულაციურ ცენტრში არსებულ რესურსებზე და გამოცდილებაზე. 2. პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან მოხდა ლექტორთან გასაუბრება და სილაბუსით განსაზღვრული თემატიკების დაზუსტება. დადასტურდა, რომ ლექტორი მიყვებოდა სილაბუსის თემატიკას და შესაბამის სასწავლო რესურსს. აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტების მხრიდან ამ სასწავლო კურსის შესახებ პრეტენზიები არ დაფიქსირებულა.	მედიცინის ფაკულტეტი

		კერძოდ, დამსწრეთა მოსაზრებით ლექტორის მიერ მიწოდებული მასალა და მოყვანილი მაგალითები, შესაძლოა რთულად გასაგები ყოფილიყო მე-4 სემესტრის სტუდენტებისათვის		
საუდიტორიო მუშაობის შეფასება	2022-2023 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთი სასწავლო კურსის (ბიზნესის სამართალი), განმახორციელებელ პერსონალთან, დასწრებისას გამოიკვეთა, რომ ლექტორი ახსნის პროცესში ნაწილობრივ აცდენილი იყო სილაბუსით განსაზღვრულ თემატიკას და ამასთან არ იყენებდა წინასწარ მომზადებულ სასწავლო რესურსებს.	ლექტორს მიეწოდა სათანადო უკუკავშირი, როგორც წერილობით, ისე ზეპირსიტყვიერად, რომელშიც დეტალურად იყო განმარტებული ლექციის მსვლელობისას გამოკვეთილი საყურადღებო საკითხები და გასაუმჯობესებელი მხარეები. გარდა წერილობითი უკუკავშირისა, პროგრამის ხელმძღვანელისა და დეკანის მხრიდან განხორციელდა ზეპირი კომუნიკაცია (ლექტორთან გასაუბრება), რომლის დროსაც კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა ლექციის პროცესში გამოკვეთილ გასაუმჯობესებელ მხარეებს და ლექტორს მიეცა შესაბამისი რეკომენდაციები. ლექტორის მიერ გამოითქვა მზაობა შედეგების გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობასთან დაკავშირებით.	სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი
სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება (დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამა)	2022-2023 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი	სტუდენტებმა გამოკითხვაში დააფიქსირეს სურვილი, რომ კონკრეტული საგნების შემთხვევაში (ნეფროლოგია, ქირურგია, კარდიოლოგია) კლინიკური კურაციის პერიოდში ლექტორებმა სრულად დაუთმონ სტუდენტებს სილაბუსით გათვალისწინებული	მოხდა კომუნიკაცია შესაბამისი სასწავლო კურსების ლექტორებთან პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან. მიეწოდათ ინფორმაცია სტუდენტების მიერ დაფიქსირებული საკითხების შესახებ. ლექტორების მხრიდან გამოითქვა მზაობა, რომ მოხდებოდა აღნიშნული საყურადღებო საკითხების გათვალისწინება გაზაფხულის სემესტრში.	მედიცინის ფაკულტეტი

		საკონტაქტო საათები და უფრო აქტიურად ჩართონ სტუდენტები პრაქტიკულ საქმიანობაში.		
სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება (დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი პროგრამები)	2022-2023 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი	1. ინგლისურენოვანი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტები აღნიშნავენ პაციენტის ნაკლებობას, რეიმანის კლინიკაში, პედიატრიის სასწავლოო კურსის გავლისას. 2. ინგლისურენოვანი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტები უროლოგიის ლექტორზე გამოთქვამენ უკმაყოფილებას, სწავლის პროცესში მასალის ახსნასთან დაკავშირებით. 3. სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტმა კლინიკა „ზეპელინთან“ დაკავშირებით დააფიქსირა, რომ პედაგოგი ადგილზე არ იყო და მეცადინეობა რამდენჯერმე დაგვიანებით დაიწყო.	1. მოხდა კომუნიკაცია შესაბამისი სასწავლოო კურსის ლექტორთან. აღინიშნა, რომ იმ პერიოდში, როცა აღნიშნულ ჯგუფს მოუწია პედიატრიის გავლა რეიმანის კლინიკაში პაციენტების მომართვიანობა იყო დაბალი, აქედან გამომდინარე მოხდა აღნიშნული ფაქტის დაფიქსირება სტუდენტებისგან. 2023-2024 სასწავლო წლისთვის შეიცვალა კლინიკა და პედიატრიის სასწავლო კურსის განხორციელება აღნიშნული ლექტორის მიერ ხდება ისეთ კლინიკაში, სადაც არის პედიატრიული პაციენტებისათვის სტაციონარული განყოფილება, რაც სტუდენტებს უფრო მეტ პაციენტთან ურთიერთობის საშუალებას მისცემს. 2. მოხდა კომუნიკაცია შესაბამისი კურსის ლექტორთან. იგი აღნიშნავს, რომ მაქსიმალურად ცდილობდა სტუდენტებისთვის მასალის ახსნას და ოპერაციებზე დასწრებას, თუმცა ზოგიერთი სტუდენტის მხრიდან არ მოხდა ამ შესაძლებლობების გამოყენება. 3. მოხდა დაკავშირება კლინიკა „ზეპელინის“ ადმინისტრაციასთან და უშუალოდ განმახორციელებელ პერსონალთან. იქნა მოთხოვნილი მეცადინეობის დაწყების და დასრულების დროის მკაცრი კონტროლი. რაზეც იქნა განმარტება მოცემული, რომ ნამდვილად მოხდა მეცადინეობის დაგვიანებით დაწყება რადგან ექიმს გაუგრძელდა პაციენტის მკურნალობა, მცირედი გართულების გამო და რომ	მედიცინის ფაკულტეტი

			დაგვიანებით მეცადინეობის დაწყებას სისტემური ხასიათი არ აქვს. თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში დაგვიანებული დრო ანაზღაურდა ლექტორის მიერ იმავე დღეს.	
აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა (მედიცინის ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	საბიბლიოთეკო რესურსები ძირითადად დადებითად ფასდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან. თითქმის ყველა პარამეტრში პასუხების „სრულად ვეთანხმები“ და „ვეთანხმები“ პროცენტული მაჩვენებელი არის საკმაოდ მაღალი. მხოლოდ ერთ ნაწილში - ბიბლიოთეკის თანამშრომელი აწვდის ინფორმაციას ბიბლიოთეკის რესურსების და სერვისების შესახებ, დაფიქსირდა რომ 1.3% უფრო არ ეთანხმება აღნიშნულს. ასევე დაფიქსირდა შემდეგი კომენტარები: „კარგი იქნება თუ გვექნება ატლასები ჰისტოლოგიის“ „კარგი იქნება ბიბლიოთეკაში მეტი სივრცე რომ იყოს პედაგოგებისთვისაც კომპიუტერული სივრცეც კარგი იქნება.“	საბიბლიოთეკო რესურსებისა და ელექტრონული სამეცნიერო ბაზების შესახებ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს მუდმივად მიეწოდებათ ინფორმაცია და ინსტრუქციები ბიბლიოთეკის თანამშრომლებისგან, შეხვედრებისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ინსტრუქციები განთავსებულია, როგორც უნივერსიტეტის ვერ-გვერდზე, ასევე სტუდენტურ ბაზაში. https://eu.edu.ge/ge/research/library; https://eu.edu.ge/ge/library ჰისტოლოგიის ატლასებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთკის ფონდში არსებულ ჰისტოლოგიის ატლასებს, 2022-2023 სასწავლო წლისთვის დაემატა ჰისტოლოგიის სახელმძღვანელოს მე-16 ახალი გამოცემა -Junqueira's Basic Histology: Text and Atlas - 14 ეგზემპლიარი. სამუშაო სივრცესთან დაკავშირებული კომენტარის საპასუხოდ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკა, 2023 წლის ოქტომბრიდან განახლებული სივრცით ახდენს სტუდენტთა მომსახურებას. კერძოდ, სარაჯიშვილის ქ. №17-ში არსებული კორპუსის ბიბლიოთეკაში ჯგუფური მუშაობისთვის ერთის ნაცვლად ახლა უკვე 4 სიცრცეა. ასევე, არის ღია სივრცე ოთხ კაციანი მაგიდებით, ერთ სივრცეში განთავსდა კომპიუტერები და 14-ის ნაცვლად, დაიდგა 20 კომპიუტერი. ჯამში,	ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

			სარაჯიშვილის კორპუსში არსებულ ბიბლითეკაში განთავსებულია 120 ადგილი, რომლით სარგებლობაც შესაძლებელია სტუდენტებისა და პერსონალისთვის ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით 10:00 საათიდან 23:00 საათამდე. გარდა სარაჯიშვილის კამპუსში არსებული ბიბლიოთეკისა, ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში 2023 წლის ნოემბრის თვეში, მოეწყო ახალი სასწავლო ფართი, მათ შორის ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია დამატებით 56 ადგილი 20 კომიუტერით. ბიბლიოთეკა მკითველს ემსახურება ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით 10:00 საათიდან 20:00 საათამდე.	
აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა (მედიცინის ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	ერთ-ერთმა ლექტორმა გამოთქვა სურვილი პროექტორის დაფების განახლების შესახებ.	აღიშნული საკითხის მოგვარების მიზნით, 2023-2024 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრის დაწყებამდე სრულად ჩანაცვლდა აუდიტორიებში პროექტორები სმარტ-დაფებით და დაფების განახლება და მარკერების შეძენა აღარ არის საჭირო.	ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური
აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა (მედიცინის ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	გამოკითხვის შედეგების შესაბამისად, აკადემიური და მოწვეული ლქტორების მხრიდან დაფიქსირდა შემდეგი სახის კომენტარები: „ვისურვებდი შესაძლებელი იყოს გამოცდების ელექტრონული ფორმატით ჩატარება“ „საგამოცდო ქულების დაგვიანებული ასახვა“	ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს აქტიური მუშობა, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ჩართულობით, საგამოცდო მოდულის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩაშენების მიმართულებით. საგამოცდო პროცესების ელექტრონულად წარმარვა უზრუნველყოფს დახურული ტიპის კითხვების ავტომატურად, გამოცდის დასრულებითანავე გასწორებასა და ბაზაში ასახვას, რაც თავისთავად დააჩქარებს საგამოცდო ქულების ბაზაში ასახვის საკითხსაც. რაც შეეხება ღია კითხვებს, მათი გასწორება მოხდება კვლავ აკადემიური პერსონალის მიერ, თუმცა,	საგამოცდო ცენტრი

			გასწორება ხდება ელექტრონულ სისტემაში (მათ შეუძლიათ სახლიდან იმუშაონ), რაც ასევე გულისხმობს შედეგების ბაზაში ავტომატურად ასახვას. აღნიშნული მნიშვნელოვნად დააჩქარებს საგამოცდო შედეგების ასახვის პროცესს და სტუდენტების მიერ შედეგების მოკლე ვადაში ნახვის შესაძლებლობას.	
აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა (მედიცინის ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	გამოკითხული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ნაწილი არ ფლობს საკმარის ინფორმაციას უნივერსიტეტში არსებული: 1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მექანიზმების 2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების და აფილირების პირობების 3. პლაგიატის ამომცნობი პროგრამის „Turnitin”-ის შესახებ.	2023-2024 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში (30 ოქტომბერი - 3 ნოემბერი) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ დაიგეგმება და განხორციელდება საინფორმაციო სახის შეხვედრები (ონლაინ ან ადგილზე) მედიცინის ფაკულტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან შემდეგი საკითხების განსახილველად: 1. უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მექანიზმები (კვლევის დაფინანსების წესი, სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის/სამეცნიერო პერსონალის კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესი, აფილირების წესი); 2. Turnitin-ის გამოყენება და შესაძლებლობები; 3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის საქმიანობა: 2023 წლის 30 ოქტომბერი - 3 ნოემბერს ჩატარებული შეხვედრები, ფოტოსურათები, გაგზავნილი შეტყობინებები.	სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი
აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა	2022-2023 აკადემიური წელი	1. ლექტორებმა გამოთქვეს სურვილი ბიბლიოთეკაში სამუშაო სივრცეების არსებობის შესახებ; 2. ლექტორები	1. მედიცინის ფაკულტეტზე ბიბლიოთეკა სრულებით განახლდა, ამჟამად, სარაჯიშვილის კორპუსში მეშვიდე სართულზე არსებული ბიბლიოთეკა მოიცავს 430 კვ.მ.	მედიცინის ფაკულტეტი

(მედიცინის ფაკულტეტი)		ითხოვენ კვლევების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას; 3. ლექტორმა გამოთქვა სურვილი პროექტორის დაფების განახლების შესახებ; 4. რამდენიმე ლექტორი აღნიშნავს რომ ისურვებდნენ სასწავლო ბაზაში სტუდენტის გვერდზე ატვირთული იყოს სტუდენტის ფოტო, ადვილად იდენტიფიცირების მიზნით; 5. ერთ-ერთი ლექტორის მიერ დაფიქსირდა გაზაფხულის სემესტრში (აპრილის ნაკადი) დატვირთვის გარეშე დარჩენის საკითხი. 6. ლექტორი აღნიშნავს რომ ისურვებდა მეტ შეხვედრას ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ინფორმაციის გაზიარების მიზნით; 7. ლექტორი აღნიშნავს რომ ისურვებდა სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტზე ჩატარდეს ტრენინგი, სადაც გაეცნობოდნენ უნივერსიტეტის შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს და სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას. 8. სასურველია, მოწვეულ პერსონალს ჰქონდეს	ფართობს, სადაც ერთდროულად 120 პირის მოთავსებაა შესაძლებელი. ასევე, მოეწყო სივრცეები ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისათვის; 2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის, ასევე უნივერსიტეტში არსებული ჰორაიზონის ოფისის მიერ პერსონალთან მუდმივად ზიარდება ინფორმაცია გამოცხადებული კვლევითი კონკურსების შესახებ. მაგ. ჰორაიზონი ევროპას მიერ გამოცხადებული კვლევითი გრანტების, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსების, ბრიუს და ჯეინ უოლშის სახელობის საგრანტო კონკურსის შესახებ და ა.შ. გარდა ამისა, ფაკულტეტზე მედიცინის მიმართულებით ჩამოყალიბდა დეპარტამენტები და დეპარტამენტის ხელმძღვანელის ერთ-ერთი ფუნქცია შესაბამისი მიმართულებით კვლევითი პოტენციალის გაძლიერებაა. ტარდება შეხვედრები როგორც აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალთან მიმართულებების მიხედვით: https://www.eu.edu.ge/ge/news/2311-evropis-universitetis- meditsinis-pakultetze-inpektsiuri-daavadebebis-departamenttan; https://www.eu.edu.ge/ge/news/2312-evropis-universitetis- meditsinis-pakultetze-meanoba-ginekologiis-departamenttan; https://eu.edu.ge/ge/news/2107-evropis-universitetis-vitse-prezidenti-tamar-zarginava-meditsinis-pakultetis?fbclid=IwAR1QsyybqNPzGNBRDVaiQ0QF2GI0wXJvwSBKg0WGDefTEW27jnMmVNpwawI. 3. 2023-2024 წლის შემოდგომის სემესტრის დაწყებამდე სრულად ჩანაცვლდა აუდიტორიებში	

		პროფესიული განვითარების გეგმა.	პროექტორები სმარტ-დაფებით; 4. 2023-2024 აკად. წლის შემოდგომის სემესტრში განახლდა სტუდენტების ფოტოების ატვირთვა ბაზაში სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერების მიერ. ბაზაში ფოტოების ატვირთვა ხდება ყოველი სემესტრის დასაწყისში, როდესაც ხდება ახალი სტუდენტების ჩარიცხვა პროგრამებზე და მათი ინფორმაციის შეტანა ბაზაში. აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებთან პერიოდულად იგზავნება შეტყობინება ელ.ფოსტის საშუალებით რომ გამოგზავნონ ფოტოები ბაზაში ასატვირთად; 5. აღნიშნული ლექტორი დაიტვირთა გაზაფხულის სემესტრშივე მაისის ნაკადზე. გარდა ამისა, აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე დაზუსტდა ცხრილის შემუშავების პროცესის დეტალები რომ მსგავსი შემთხვევები არ განმეორდეს. 6. 2023-2024 წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა ლექტორებთან ადმინისტრაციის სხვადასხვა წარმომადგენლის მონაწილეობით. კერძოდ, დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, დეკანის მოადგილესთან, სიმულაციური ცენტრის ხელმძვანელთან. შეხვედრებზე ლექტორებს მიეწოდათ ინფორმაცია სასწავლო პროცესის განხორციელების, აკადემიური კალენდრის ვადების, პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების, ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტების და ფაკულტეტზე დაგეგმილი აქტივობების შესახებ. ასევე რეგულარულად ტარდება შეხვედრები დეპარტამენტების ფარგლებში როგორც ადგილზე	

			ისე დისტანციურად; 7. სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტი შეხვდა სასწავლო კურსების განმახორციელებელ პერსონალს, სადაც მოხდა სხვადასხვა საკითხების განხილვა, როგორც პროგრამასთან ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. რამდენადაც აღნიშნულ შეხვედრებზე ყველა ლექტორი ვერ ახერხებს დასწრებას, შეხვედრის ჩატარების შემდეგ ლექტორებს მეილზე გაეგზავნათ ძირითადი დოკუმენტები გასაცნობად. 8. მოწვეულ პერსონალთან ზიარდება ინფორმაცია დაგეგმილი ტრენინგების შესახებ, რაშიც იღებენ მონაწილეობას. მაგ. 2022 წლის 16 სექტემბერს ესპანეთის სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტის პროფესორის, ევროპის უნივერსიტეტის კონსულტენტის/ტრენერის ARCE VASQUEZ VICTOR-ის მიერ ჩატარდა ონლაინ ტრენინგი თემაზე: ,,Assessment of clinical competence of medical students using the Objective Structured Clinical Examination (OSCE)''. ასევე, იმავე პროფესორის მიერ 2022 წლის ნოემბრის თვეში აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატრდა ტრენინგები "Novel methodologies for teaching and assessment of undergraduate medical students“ და "Applications of portfolios for teaching and assessment of undergraduate medical students“: https://eu.edu.ge/ge/news/1952-evropis-universitetshi-meditsinis-pakultetis-personalistvis-espaneli-propesoris. აკად. და მოწვეულ პერსონალთან მუდმივად ზიარდება ინფორმაცია გამოცხადებული კვლევითი საგრანტო კონკურსების შესახებ.	

აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა (მედიცინის ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	1. ლექტორებმა გამოთქვეს სურვილი აუდიტორიებში მარკერების შევსებასა და გამაშუქებელი პროექტორების დაფების დასუფთავებასთან დაკავშირებით 2. პერსონალმა გამოთქვა გაგრილების სისტემის გაუმჯობესების სურვილი.	1. აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად შეძენილ იქნა ელექტრონული დაფები, რამაც გამორიცხა დაფებისა და მარკერების შეძენა/განახლების საკითხი. 2. გაგრილების სისტემა მოწესრიგდა, გაკეთდა კომპეტენტური პირის დასკვნა მიმდინარე წლის აგვისტო-ნოემბრის მდგომარეობით, ორივე კორპუსისთვის.	შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური
სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა (მედიცინის ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	1. გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა, ძალიან კმაყოფილი, კმაყოფილი ან მეტ-წილად კმაყოფილია საბიბლიოთეკო რესურსებით. თუმცა, უკმაყოფილების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა გამოკითხულ სტუდენტთა 36%-ში, სამუშაო სივრცეებთან დაკავშირებით. 2. გამოკითხულ სტუდენტებში პრობლემურ საკითხებად იკვეთება - ინტერნეტის ხარისხი, სადაც სტუდენტების 29.2% უკმაყოფილო ან ძალიან უკმაყოფილოა ბიბლიოთეკაში ინტერნეტის ხარისხით.	1. სამუშაო სივრცესთან დაკავშირებული კომენტარის საპასუხოდ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკა, 2023 წლის ოქტომბრიდან განახლებული სივრცით ახდენს სტუდენტთა მომსახურებას. კერძოდ, სარაჯიშვილის ქ. №17-ში არსებული კორპუსის ბიბლიოთეკაში ჯგუფური მუშაობისთვის ერთის ნაცვლად ახლა უკვე 4 სიცრცეა. ასევე, არის ღია სივრცე ოთხ კაციანი მაგიდებით, ერთ სივრცეში განთავსდა კომპიუტერები და 14-ის ნაცვლად, დაიდგა 20 კომპიუტერი. ჯამში, სარაჯიშვილის კორპუსში არსებულ ბიბლითეკაში განთავსებულია 120 ადგილი, რომლით სარგებლობაც შესაძლებელია სტუდენტებისა და პერსონალისთვის ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით 10:00 საათიდან 23:00 საათამდე. გარდა სარაჯიშვილის კამპუსში არსებული ბიბლიოთეკისა, ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში 2023 წლის ნოემბრის თვეში, მოეწყო ახალი სასწავლო ფართი, მათ შორის ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია დამატებით 56 ადგილი 20 კომიუტერით. ბიბლიოთეკა მკითველს ემსახურება	ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

			ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით 10:00 საათიდან 20:00 საათამდე, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ საბიბლიოთეკო რესურსებით ისევე, როგორც გურამიშვილისა და სარაჯიშვილის კორპუსებში, რაც თავისთავად განტვირთავს აქამდე არსებულ საბიბლიოთეკო სივრცეებს. რაც შეეხება, ბიბლიოთეკაში ადგილის დაკავებას, ნივთების დატოვებას, საკითხზე მსჯელობის შემდეგ დაწესდა კონკრეტული რეგულაცია მსგავს შემთხვევებში. კერძოდ, თუ სტუდენტის ნივთები დატოვებული იქნება 15 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში, ბიბლიოთეკის თანამშრომელი ნივთებს შეინახავს განცალკევებით რათა სხვა სტუდენტებმა შეძლონ სივრცით სარგებლობა. 2. ინტერნეტის სიჩქარით უკმაყოფილების საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკის მხრიდან მოხდა ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ჩართვა საკითხის აღმოსაფხვრელად. როგორც სამსახურის ხელმძღვანელი აღნიშნავს, სამუშაოები უკვე დაწყებულია. ბიბლიოთეკისთვის შეძენილია 20 სრულიად ახალი კომპიუტერი და დამატებით დაყენდა 1 Wi-Fi როუტერი 2023-2024 აკადემიური წლისთვის.	
სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა (მედიცინის ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	სტუდენტების მხრიდან ძირითადად დაფიქსირდა ორი საყურადღებო კომენტარი: 1. კომპიუტერების რაოდენობის ნაკლებობა ბიბლიოთეკაში და არსებული ინტერნეტის ხარისხის	1. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბიბლიოთეკისთვის შეძენილია 20 სრულიად ახალი კომპიუტერი და დამატებით დაყენდა 1 Wi-Fi როუტერი 2023-2024 აკადემიური წლისთვის; ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებში განთავსებულია კომპიუტერები, ასევე აღჭურვილია პრინტერით, ასლის	ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური

		გაუმჯობესების სურვილი. 2. გამოცდების გაელექტრონულების სურვილი „ვისურვებდი შუალედური და ფინალური გამოცდები ტარდებოდეს ელექტორნულად“.	გადამღებით და სკანერის აპარატით, პროექტორით და პროექტორის დაფით, უზრუნველყოფილია უკაბელო ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა. 2. საგამოცდო ცენტრისათვის შეძენილია 200 კომპიუტერი და გამოცდები შესაბამისად ჩატარდება ელექტრონულად. ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს აქტიური მუშობა, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ჩართულობით, საგამოცდო მოდულის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩაშენების მიმართულებით.	
სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა (მედიცინის ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	სტუდენტების მხრიდან დაფიქსირდა რამდენიმე საყურადღებო საკითხი: გამოცდების ელექტრონული ფორმატით ჩატარების საკითხი საგამოცდო ქულების სასწავლო პროცესის მართის ელექტრონულ ბაზაში დროულად ასახვის საკითხი.	საგამოცდო ცენტრისათვის შეძენილია 200 კომპიუტერი და გამოცდები შესაბამისად ჩატარდება ელექტრონულად. ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს აქტიური მუშობა, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ჩართულობით, საგამოცდო მოდულის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩაშენების მიმართულებით. უნივერსიტეტის მიერ შემუშავდა და სასწავლო ბაზაში ჩაშენდა საგამოცდო მოდული. განხორციელდა პროგრამის პილოტირებაც. საგამოცდო პროცესების ელექტრონულად წარმარვა უზრუნველყოფს დახურული ტიპის კითხვებს ავტომატურად, გამოცდის დასრულებითანავე გასწორებასა და ბაზაში ასახვას, რაც შეეხება ღია კითხვებს, მათი გასწორება მოხდება კვლავ აკადემიური პერსონალის მიერ, თუმცა, გასწორება ხდება ელექტრონულ სისტემაში (ლექტორები შეძლებენ სახლიდან მუშაობას), რაც ასევე გულისხმობს შედეგების ბაზაში ავტომატურად ასახვას.	საგამოცდო ცენტრი

			აღნიშნული მნიშვნელოვნად დააჩქარებს საგამოცდო შედეგების ასახვის პროცესს და სტუდენტების მიერ შედეგების მოკლე ვადაში ნახვის შესაძლებლობას.	
სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა (მედიცინის ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	სტუდენტთა 33% აფიქსირებს, რომ არ ჰქონდა ინფორმაცია საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობების შესახებ.	2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში სტუდენტებთან დაგეგმილ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გაკეთდა აქცენტი, რომ აქტიურად შეამოწმონ ელექტრონული ფოსტა, თვალი ადევნონ უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელს, სადაც ანონსდება მიმდინარე კონკურსები სხვადასხვა მიმართულებით.	საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური
სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა (მედიცინის ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	ერთი სტუდენტი აღნიშნავს რომ OSCE -ის გამოცდაზე გამოყოფილი დრო არ არის საკმარისი დავალების შესასრულებლად.	უნდა აღინიშნოს, რომ დრო შეთანხმებულია ლექტორებთან, ოსკის კომიტეტთან და გათვლილია საშუალო მოსწრების სტუდეტზე. პრაქტიკამ აჩვენა, რომ კარგად მომზადებულ სტუდენტს 1-2 წუთი რჩებათ დავალების შესრულების შემდეგ. ყევლა პედაგოგს აქვთ მითითება პრაქტიკული სამუშაოები სტუდენტებს შეასრულებინონ ლიმიტირებულ დროში. უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის დაკვირვების, ანალიზის და სტუდენტების მიერ მიღებული შედეგების შესაბამისად კონკრეტულ სადგურზე გაიზარდა დრო, მაგ. ნაკერის დადების და ეკგ-ს გადაღების სადგურებზე.	სიმულაციური ცენტრი
სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა (მედიცინის ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა • დამატებითი ღონისძიებების ორგანიზებაში (სპორტული, შემოქმედებითი, გასართობი) – 21.9%	სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი პერიოდულად ატარებს დამატებით ღონისძიებებს სხვადასხვა მიმართულებით. ცენტრი სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა სახის სპორტულ, შემოქმედებით და გასართობ ღონისძიებებს. ინფორმაცია და შესაბამისი აქტივობის	სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი

		აფასებს საყურადღებოდ. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა • დამატებითი ღონისძიებების ორგანიზება (სპორტული, შემოქმედებითი, გასართობი) საყურადღებოა – 17.7%-სთვის, • სტუდენტური ინიციატივების წახალისებაც, საყურადღებოდ სახელდება სტუდენტების 17.7%-ის მიერ.	სარეგისტრაციო ბმული უზიარდებათ ელექტრონული ფოსტის საშაულებით. რაც შეეხება სტუდენტების ინიციატივების წახალისებას და სტუდენტურ კლუბებს, ცენტრი ყოველწლიურად აცხადებს სტუდენტური ინიციატივების კონკურსს და ახალი სტუდენტური კლუბების რეგისტრაციას. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ორივე მიმართულებით წარმოადგინონ შესაბამისი საპროექტო განაცხადი. აპლიკაციის ფორმა უნდა მოიცავდეს სოციალურ, კულტურულ, შემეცნებით, ინოვაციურ, კვლევით და ტექნოლოგიურ მიმართულებას. პროექტის მომზადების პროცესში, ცენტრისგან სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ სრული კონსულტაცია, როგორც პროექტის მომზადების საკითხზე, ასევე საპროექტო თემატიკის შესახებ.	
სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა (მედიცინის ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	1. დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამების სტუდენტები ითხოვენ დამატებით მოსასვენებელ სივრცეებს. 2. დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტებმა გამოთქვეს ინტერნეტის უფრო გამართულად მუშაობის სურვილი. 3. დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს	1. სარაჯიშვილის კორპუსში, 2023-2024 აკად. წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისისთვის ყველა სართულზე მოეწყო სტუდენტების მოსასვენებელი სივრცეები, რბილი ავეჯით. 2. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მიერ ზაფხულის პერიოდში მოხდა სარაჯიშვილის კორპუსში ინტერნეტის ქსელების გადამოწმება, ამოცვლა, შედეგად ინტერნეტზე წვდომის გაუმჯობესება. 3. უნივერსიტეტის მიერ მოხდა ე.წ. სმარტ დაფების შეძენა და სარაჯიშვილის კორპუსში პროექტორების და პროექტორის დაფების ჩანაცვლება სრულად. 4. შესაბამისი სამსახურის მიერ შემუშავებულია გეგმა, რომლის მიხედვითაც კონდიცირების სისტემა გადამოწმდება ყოველი	მედიცინის ფაკულტეტი

		პროექტორის დაფების გამოცვლის საჭიროება, მათზე არსებული სხვადასხვა წარწერების გამო. 4. დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტებმა გამოკითხვაში დააფიქსირეს კონდიცირების ჩართვის საკითხი. 5. დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი პროგრამის რამდენიმე სტუდენტი აფიქსირებს რომ ლექტორისგან არ ჰქონდათ ინფორმაცია დაგეგმილი ქვიზებისა და ზეპირი გამოკითხვების შესახებ. ასევე სტუდენტები ითხოვენ რომ მუდლში მითითებული იყოს ზეპირი გამოკითხვის და ქვიზის კონკრეტული თარიღი და კონკრეტული თემების დასახელებები იყოს მითითებული პრეზენტაციებზე და აღნიშნული დასახელებები დასტანდარტიზდეს. 6. დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტი უკმაყოფილებას გამოთქვამს გაცდენილი ლექციების კვირა დღეს აღდგენასთან დაკავშირებით. 7. დიპლომირებული მედიკოსის	წლის მაისის თვეში. რაც შეეხება კონკრეტულ შემთხვევას, ზაფხულის პერიოდში მედიცინის კორპუსში მუშაობდა ცენტრალური კონდიცირება. სავარაუდოდ, გაგრილების ჩართვა მოხდა კითხვარის ჩაშვების შემდგომ პერიოდში. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის ივლისის თვეში გაგრილების სისტემა შემოწმდა კომპეტენტური პირის მიერ და დაიწერა შესაბამისი დადებითი დასკვნა. 5. 2023-2024 წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში ლექტორებთან გეგმიურ შეხვედრებზე, დეკანისა და პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა სილაბუსის გაცნობის აუცილებლობას სტუდენტებისთვის პირველივე შეხვედრაზე, მათ შორის დეტალური ინფორმაციის მიწოდებას შეფასების სისტემის და პერიოდის შესახებ. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სილაბუსები სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ბაზაში. სილაბუსებში ქვიზები და გამოკითხვები მითითებულია კვირების მიხედვით. სტუდენტებთან დაგეგმილ მომდევნო შეხვედრებზე კვლავაც გაესმება ამ საკითხს ხაზი, რათა გამოვლინდეს კონკრეტული შემთხვევები და შესაძლებელი იყოს რეაგირება. ინტეგრირებული სასწავლო კურსების შემთხვევაში, ხშირად დაბნეულობას იწვევდა ის ფაქტი, თუ რომელი ქვესაგნის პრაქტიკულ საათზე და რომელ ლექტორთან დაწერდნენ სტუდენტები ქვიზს. მიმდინარე საშემოდგომო სემესტრიდან (2023-2024 აკადემიური წელი) ინტეგრირებულ სასწავლო კურსებში თითოეული ლექტორი ატარებს ქვიზს თავის საგანში,	

		ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტი გამოთქვამს სურვილს რომ წყლის აპარატები დაიდგას ყველა სართულზე. 8. დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამების სტუდენტები გამოთქვამენ სურვილს იყოს მეტი ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის სივრცეები ბიბლიოთეკაში. მაგიდებთან იყოს დენის წყარო, უკეთესი განათება. 9. დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი მედიკოსის პროგრამის სტუდენტი გამოთქვამს მოსაზრებას რომ საჭიროა ფაკულტეტისთვის მოწყობილობების განახლება და დამატება განსაკუთრებით ანატომიის პრაქტიკულებისთვის. 10. დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტები გამოთქვამენ უკმაყოფილებას კედლებზე სტუდენტების მიერ გაკეთებული წარწერების, ნახატების გამო, რაც აზიანებს უნივერსიტეტის ვიზუალს. 11. დიპლომირებული მედიკოსის	თარიღზე ინფორმირება ხდება წინასწარ. რაც შეეხება პრეზენტაციების დასტანდარტიზებას და დასათაურებას, დაწყებულია აღნიშნულ საკითხზე მუშაობა დეპარტამენტის ხელმძღვანელების ჩართულობით. აღნიშნული პროცესის დასრულების თარიღია 2023 წლის 20 დეკემბერი, სტანდარტიზებული პრეზენტაციების გამოყენება სრულად სასწავლო პროცესში დაგეგმილია 2023-2024 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრიდან. 6. კვირა დღეს აღდგენების ჩანიშვნა ხდებოდა მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში. შემოდგომის სემესტრის დასაწყისში ლექტორებს მიეწოდათ ინფორმაცია რომ, ლექცია/სემინარის გაცდენის შემთხვევაში აღდგენა ვერ ჩაინიშნებოდა კვირა დღეს. არამედ უნდა ჩაინიშნოს კვირის სხვა ნებისმიერ დღეს ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, რისთვისაც სავალდებულოა განცხადების დაწერა ლექტორის მხრიდან კონკრეტული თარიღების მითითებით. 7. მედიცინის კორპუსში წყლის აპარატები გამოიცვალა, დაემატა ისეთი დისპენსერები, რომლებიც არ საჭიროებენ წლის რეზერვუარის შევსებას და ახალი აპარატები განთავსდა ყველა სართულზე. 8. ზაფხულის პერიოდში მთლიანად განახლდა მედიცინის კორპუსის ბიბლიოთეკა, დაემატა ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის სივრცეები, შეიცვალა განათება, დაემატა დენის წყაროები ყველა მაგიდასთან. შესაძლებელია ჯგუფურად	

		ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტი აღნიშნავს რომ ისურვებდა უნივერსიტეტის ვებგვერდზე იყოს ასახული ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული სხვადასხვა კლუბების შესახებ. 12. დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტები მიუთითებენ საპირფარეშოების მოწესრიგების აუცილებლობაზე, საკეტების დაზიანებაზე. 13. ქართველმა სტუდენტებმა გამოთქვეს საერთაშორისო აკადემიური პერსონალის ლექციებზე დასწრების სურვილი. 14. დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამების სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი რომ დამატებით გამოყოფილიყო შეხვედრის დროები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან სხვადასხვა საჭიროებების, მოსაზრებების გაზიარების მიზნით. 15. სტუდენტები ითხოვენ წვდომას სხვადასხვა ვიდეო ლექციებზე.	მუშაობის სივრცეების წინასწარ დაჯავშნა მეილის საშუალებით. 9. შემოდგომის სემესტრის დასაწყისისთვის ფაკულტეტზე მოხდა სიმულაციური ოთახების, ლაბორატორიების, სასწავლო კაბინეტების რესურსების განახლება. კონკრეტულად ანატომიის მიმართულებით დამატებით მოხდა ანატომაჟის 4 ტაბლეტის შეკვეთა, რომლებიც ბიბლიოთეკაში განთავსდება. მოხდა კიდევ ერთი ანატომაჟის შესყიდვა. 10. სამწუხაროდ ზოგ შემთხვევაში ხდება სტუდენტების მხრიდან, დერეფნების, სასწავლო აუდიტორიების დაზიანება, კედლებზე სხვადასხვა ნახატების, წარწერების გაკეთება. შემოდგომის სემესტრის დაწყებამდე შეიღება კედლები და მოწესრიგდა/ჩანაცვლდა დაზიანებული ინვენტარი. მედიცინის ფაკულტეტზე გამოიყო ცალკე ადმინისტრაციული პერსონალი სამეურნეო საკითხების მიმართულებით, რომელიც სემესტრის დაწყებამდე ახდენს სასწავლო კორპუსის მატერიალურ-ტექნიკურ შემოწმებას და საჭირო სამუშაოების ჩატარებას. 11. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია უნივერსიტეტში რეგისტრირებული კლუბების ჩამონათვალი ქართულ და ინგლისურ ენაზე. გარდა ამისა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრმა ჩაატარა შეხვედრა სტუდენტებთან და გაეცნო მათი მხრიდან წამოსულ ინიციატივებს, სხვადასხვა სახის კლუბების ჩამოყალიბების თაობაზე: https://eu.edu.ge/ge/studenturi-tskhovreba-3 12. შემოდგომის სემესტრის	

		16. ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტები გამოთქვამენ უკმაყოფილებას სხვა სტუდენტების მიმართ, რომლებიც ბიბლიოთეკაში ტოვებენ პირად ნივთებს და იკავებენ სივრცეებს/ადგილებს დიდი ხნის განმავლობაში, ისე რომ არ იმყოფებიან ადგილზე. 17. სტუდენტი აღნიშნავს რომ რამდენადაც შუალედური გამოცდები იწყება მე-8 კვირას, გამოცდების ცხრილი სტუდენტებთან გაზიარებული უნდა იყოს მე-6 კვირას. 18. სტუდენტები ამახვილებენ ყურადღებას ექსტრაკურიკულური აქტივობების გაზრდაზე, სხვადასხვა სტუდენტური კლუბების დაარსებაზე.	დაწყებამდე მოხდა მედიცინის კორპუსის მატერიალურ - ტექნიკური რესურსების შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში, შეკეთება ან ჩანაცვლება. შეძენილია რკინის კარები, რომელთა დაყენებაც იგეგმება ყველა საპირფარეშოში გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე. 13. 2023-2024 აკად. წლის შემოდგომის სემესტრში, ოქტომბრის თვეში განხორციელდა საერთაშორისო აკად. პერსონალის - სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტის და ევროპის უნივერსიეტის პროფესორ ვიქტორ არჩეს მორიგი ვიზიტი ევროპის უნივერსიტეტში ფიზიოლოგიის მიმართულებით ლექცია-სემინარების ჩატარების მიზნით. ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებს გაეგზავნათ ინფორმაცია ელ. ფოსტაზე ლექციებზე დასწრების შესაძლებლობის შესახებ. რამდენიმე ქართულენოვანმა პროგრამის სტუდენტი დაესწრო ესპანელი პროფესორის ლექციას: https://eu.edu.ge/ge/news/2275-propesorma-viktor-manuel-vazkez-archem-evropis-universitetis-studentebistvis 14. 2023-2024 აკადემიური წლის პირველ სემესტრში, გარდა რეგულარული შეხვედრებისა, რომლებიც რამდენჯერმე ტარდება სემესტრის განმავლობაში, სტუდენტებისთვის შეთავაზებული იქნა რეგუარული შეხვედრები ფაკულტეტის დეკანთან ყოველი კვირის სამშაბათ და ხუთშაბათ დღეს https://www.facebook.com/photo/?fbid=364809642546666&set=a.234094238951541 15. ფაკულტეტმა მოლაპარაკება აწარმოა Amboss-ის წარმომადგენლებთან მათ	

			რესურსზე ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის წვდომის მოპოვების შესახებ. შედეგად ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებს და ლექტორებს 2024 წლის იანვრის თვის ბოლომდე აქვთ სრული წვდომა Amboss ის ყველა რესურსზე, მათ შორის ვიდეო მასალებზე. 16. აღნიშნული ინფორმაცია გაზიარებულია ბიბლიოთეკის სამსახურთანაც და საკითხზე მსჯელობის შემდეგ დაწესდა კონკრეტული რეგულაცია მსგავს შემთხვევებში. კერძოდ, თუ სტუდენტის ნივთები დატოვებული იქნება 15 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში, ბიბლიოთეკის თანამშრომელი ნივთებს შეინახავს განცალკევებით რათა სხვა სტუდენტებმა შეძლონ სივრცით სარგებლობა. 17. 2023-2024 წლის შემოდგომის სემესტრში საგამოცდო ცენტრის მხრიდან შუალეუდური გამოცდების ცხრილის გაზიარება მოხდა მე- 7 კვირაში.	
სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა (მედიცინის ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	1. სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამების სტუდენტი ითხოვს დამატებით მოსასვენებელ სივრცეებს. 2. სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტმა გამოთქვა ინტერნეტის უფრო გამართულად მუშაობის სურვილი. 3. სტომატოლოგიის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს	1. სარაჯიშვილის კორპუსში, 2023-2024 აკად. წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისისთვის ყველა სართულზე მოეწყო სტუდენტების მოსასვენებელი სივრცეები, რბილი ავეჯით. 2. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მიერ ზაფხულის პერიოდში მოხდა სარაჯიშვილის კორპუსში ინტერნეტის ქსელების გადამოწმება, ამოცვლა, შედეგად ინტერნეტზე წვდომის გაუმჯობესება. 3. უნივერსიტეტის მიერ მოხდა ე.წ. სმარტ დაფების შეძენა და სარაჯიშვილის კორპუსში პროექტორების და პროექტორის დაფების ჩანაცვლება სრულად. 4. შესაბამისი პასუხისმგებელი	მედიცინის ფაკულტეტი

		პროექტორის დაფების გამოცვლის საჭიროება, მათზე არსებული სხვადასხვა წარწერების გამო. 4. სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტებმა გამოკითხვაში დააფიქსირეს კონდეცირების ჩართვის საკითხი. 5. სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტი უკმაყოფილებას გამოთქვამს მეცადინეობების კვირა დღეს დანიშვნასთან დაკავშირებით. 6. სტომატოლოგიის ქართულენოვანი პროგრამების სტუდენტი გამოთქვამს სურვილს, რომ შეიცვალოს ბიბლიოთეკის ინტერიერი და იყოს მეტი ადგილი ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისთვის. ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტი აღნიშნავს რომ საჭიროა ადგილების და კომპიუტერების დამატება. 7. სტომატოლოგიის ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტი გამოთქვამს მოსაზრებას რომ საჭიროა ფაკულტეტისთვის	სამსახურის მიერ შემუშავდა გეგმა, რომლის მიხედვითაც კონდიცირების სისტემა გადამოწმდება ყოველი წლის მაისის თვეში. რაც შეეხება კონკრეტულ შემთხვევას, ზაფხულის პერიოდში მედიცინის კორპუსში მუშაობდა ცენტრალური კონდიცირება. სავარაუდოდ, გაგრილების ჩართვა მოხდა კითხვარის ჩაშვების შემდგომ პერიოდში. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის ივლისის თვეში გაგრილების სისტემა შემოწმდა კომპეტენტური პირის მიერ და დაიწერა შესაბამისი დადებითი დასკვნა. 5. კვირა დღეს აღდგენების ჩანიშვნა ხდებოდა მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში. შემოდგომის სემესტრის დასაწყისში ლექტორებს მიეწოდათ ინფორმაცია რომ, ლექცია/სემინარის გაცდენის შემთხვევაში აღდგენა ვერ ჩაინიშნებოდა კვირა დღეს. არამედ უნდა ჩაინიშნოს კვირის სხვა ნებისმიერ დღეს ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, რისთვისაც სავალდებულოა განცხადების დაწერა ლექტორის მხრიდან კონკრეტული თარიღების მითითებით. 6. ზაფხულის პერიოდში მთლიანად განახლდა მედიცინის კორპუსის ბიბლიოთეკა, დაემატა ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის სივრცეები, შეიცვალა განათება, დაემატა დენის წყაროები ყველა მაგიდასთან. შესაძლებელია ჯგუფურად მუშაობის სივრცეების წინასწარ დაჯავშნა მეილის საშუალებით. 7. შემოდგომის სემესტრის დასაწყისისთვის ფაკულტეტზე მოხდა სიმულაციური ოთახების, ლაბორატორიების, სასწავლო	

		მოწყობილობების და საშუალებების დამატება. 8. სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტი ისურვებდა სტომატოლოგიური ერთეულების და საუნივერსიტო სტომატოლოგიური კლინიკის არსებობას 9. სტუდენტი ითხოვს რომ წინასწარ გაზიარდეს შემდეგი აკად. წლის კალენდარი, არდადეგების მითითებით. 10. ქართულენოვანი სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტი აღნიშნავს რომ 102 ოთახში დგას უსიამოვნო სუნი. 11. სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტი ისურვებდა სხვადასხვა ვიდეო რესურსს, სხვადასხვა სასწავლო პლატფორმაზე წვდომას. 12. ასევე მუდლთან დაკავშირებით გამოითქვა სურვილი რომ ეტვირთებოდეთ ტესტები სავარჯიშოდ. 13. სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტი აღნიშნავს რომ შუალედური და დასკვნითი გამოცდების ცხრილი სტუდენტებთან	კაბინეტების რესურსების გადამოწმება, დაზიანებული ინვენტარის ახლით ჩანაცვლება და სახარჯი მასალებით შევსება. სტომატოლოგიის პროგრამის ცხრილით გათვალისწინებული ყოველი ლექტორისთვის და ჯგუფისთვის შეიქმნა ნაკრებები, ჯგუფზე გათვლილი მასალებით. 8. 2023-2024 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრისთვის დასრულდა სტომატოლოგიური კლინიკის მოწყობა. იგეგმება კლინიკის ამუშავება შემოდგომის სემესტრიდან. სიმულაციურ კაბინეტებში დაემატა პორტატული სტომატოლოგიური აპარატები. 9. 2023-2024 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში სტუდენტებთან გაზიარდა როგორც 2023-2024 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრის კალენდარი, ასევე 2024-25 აკად. წლის შემოდგომის სემესტრის კალენდარი. 10. სემესტრის დასაწყისში მოხდა სიმულაციური ოთახების ტექნიკური აღჭურვილობის შემოწმება და აუცილებლობის შემთხვევაში - შეკეთება. ამის შემდეგ ზემოაღნიშნული პრობლემა აღარ დაფიქსირებულა. 11. ფაკულტეტმა მოლაპარაკება აწარმოა Amboss-ის წარმომადგენლებთან მათ რესურსზე ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის წვდომის მოპოვების შესახებ. შედეგად ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებს და ლექტორებს 2024 წლის იანვრის თვის ბოლომდე აქვთ სრული წვდომა Amboss ის ყველა რესურსზე, მათ შორის ვიდეო მასალებზე. 12. 2024 წლის იანვრის თვის ბოლომდე ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკუტელტეტის ყველა	

		გაზიარებული უნდა იყოს 2 კვირით ადრე. 14. სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტი ითხოვს ჰქონდეთ უნივერსიტეტის ბრენდირებული ნივთები, ჰუდები, ქუდები ა.შ. 15. სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტები ითხოვენ რომ მუდლში მითითებული იყოს ზეპირი გამოკითხვის და ქვიზის კონკრეტული თარიღი. 16. სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტები ამახვილებენ ყურადღებას ექსტრაკურიკულური აქტივობების გაზრდაზე, სხვადასხვა სტუდენტური კლუბების დაარსებაზე.	სტუდენტს აქვს სრული წვდომა Amboss ის ყველა რესურსზე, მათ შორის იქ არსებული ტესტების ძალიან დიდ რაოდენობაზე. 13. 2023-2024 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში საგამოცდო ცენტრის მხრიდან შუალედური გამოცდების ცხრილის გაზიარება მოხდა მე- 7 კვირაში. 14. ევროპის უნივერსიტეტი ახლადჩარიცხულ სტუდენტს საჩუქრად გადასცემს ბრენდირებულ ნივთებს, მათ შორის ხალათს, კალამს, ჩანთას. 15. 2023-2024 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში ლექტორებთან გეგმიურ შეხვედრებზე, დეკანისა და პროგრამის ხელმძღვანელების მხრიდან კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა სილაბუსის გაცნობის აუცილებლობას სტუდენტებისთვის პირველივე შეხვედრაზე, მათ შორის დეტალური ინფორმაციის მიწოდებას შეფასების სისტემის და პერიოდის შესახებ. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სილაბუსები სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ბაზაში. სილაბუსებში ქვიზები და გამოკითხვები მითითებულია კვირების მიხედვით. სტუდენტებთან დაგეგმილ მომდევნო შეხვედრებზე კვლავაც გაესმება ამ საკითხს ხაზი, რათა გამოვლინდეს კონკრეტული შემთხვევები და შესაძლებელი იყოს რეაგირება. ინტეგრირებული სასწავლო კურსების შემთხვევაში, ხშირად დაბნეულობას იწვევდა ის ფაქტი, თუ რომელი ქვესაგნის პრაქტიკულ საათზე და რომელ ლექტორთან დაწერდნენ სტუდენტები ქვიზს. მიმდინარე საშემოდგომო სემესტრიდან (2023-2024 აკადემიური წელი) ინტეგრირებულ სასწავლო კურსებში თითოეული ლექტორი	

			ატარებს ქვიზს თავის საგანში, თარიღზე ინფორმირება ხდება წინასწარ. იმ შემთხვევაში ლექტორმა გამოკითხვა ან ქვიზი გადადო კონკრეტულ ჯგუფთან (მაგ. მომდევნო კვირაში დასვენების, ან სემინარის გაცდენის შემთხვევაში) ლექტორი ვალდებულია თავად აცნობოს ჯგუფს ამის შესახებ და მიწეროს გამოკითხვის/ქვიზის თარიღი ელ.ფოსტის ან მუდლის საშუალებით.. 16. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი ყოველწლიურად აცხადებს სტუდენტური ინიციატივების კონკურსს, სადაც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა წარმოადგინონ შესაბამისი საპროქტო განაცხადი სოციალური, კულტურული, შემეცნებითი, ინოვაციურუ კვლევითი და ტექნოლოგიური მიმართულებით. პროექტის მომზადების პროცესში, ცენტრისგან სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ სრული კონსულტაცია, როგორც პროექტის მომზადების საკითხზე, ასევე საპროექტო თემატიკის შესახებ. ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სტუდენტურ ცხოვრებაში და სთავაზობს სტუდენტებს, როგორც სპორტულ და გასართობ, ასევე გასვლით და შემეცნებით აქტივობებს. სტუდენტების ერთმანეთთან დაახლოების და მათი, საქართველოს შესახებ ცნობადობის ამაღლებისთვის, სტუდენტურმა თვითმმართველობამ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრთან ერთად წამოიწყო პროექტი „ვიცნობდეთ საქართველოს“, რომლის	

			ფარგლებშიც სტუდენტები იმყოფებოდნენ გასვლით ღონისძიებაზე მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტ ყაზბეგში. ჩატარდა როგორც შემეცნებითი ტური, ასევე მათი დაახლოების, დამეგობრების და უკეთ გაცნობისთვის სხვადასხვა სახის თამაშები და მინი აქტივობები. ფაკულტეტი კვლავაც გააგრძელებს თანამშრომლობას სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრთან სტუდენტებისათვის სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მიზნით, მათ შორის ეროვნული ფესტივალების. ასევე სტუდენტთა მომსახურების ცენტრის მიერ კვლავაც მოხდება სტუდენტებთან ინფორმაციის გაზიარება კლუბების დაარსების შესაძლებლობის და პროცედურის შესახებ.	
სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა (მედიცინის ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	1. გამოკითხულ სტუდენტთა 15% უმაყოფილოა, ხოლო 11.3% კი მეტ-ნაკლებად კმაყოფილი სტუდენტური მხარდამჭერი ღონისძიებებით კერძოდ, კარიერული განვითარების ღონისძიებებით. 2. სტუდენტები გამოთქვამენ სურვილს დამატებით სერვისებთან, კერძოდ კი „ფსიქოლოგიის პროგრამაზე გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით“. 3. ფსიქოლოგიის პროგრამის სტუდენტებმა გამოთქვეს ინტერნეტის უფრო გამართულად	1. 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას არჩევითი სასწავლო კურსის ჩამონათალში დაემატა სასწავლო კურსი „პროფესიული კარიერის დაგეგმვა“. აღნიშნულ კურსის არჩევის შესაძლებლობა სტუდენტებს ექნებათ 2023-2024 სასწავლო წლიდან, აღნიშნული სასწავლო კურსი ხელს შეუწყობს დასაქმების მიმართულებით არსებული შესაძლებლობების გაცნობას და ამ მიმართულებით საჭირო უნარების მეტად განვითარებას. გარდა ამისა უნივერსიტეტში არსებული სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის მიერ მუდმივად ზიარდება ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობების შესახებ და ტარდება შეხვედრები, ღონისძიებები რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ინფორმირების	მედიცინის ფაკულტეტი

		მუშაობის სურვილი 4. ფსიქოლოგიის პროგრამის სტუდენტებმა გამოკითხვაში დააფიქსირეს კონდეცირების ჩართვის საკითხი 5. ფსიქოლოგიის პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს პროექტორის დაფების გამოცვლის საჭიროება, მათზე არსებული სხვადასხვა წარწერების გამო 6. სტუდენტები ითხოვენ დამატებით მოსასვენებელ სივრცეებს. 7. სტუდენტები მიუთითებენ საპირფარეშოების მოწესრიგების აუცილებლობაზე, საკეტების დაზიანებაზე. 8. სტუდენტი გამოთქვამს მოსაზრებას რომ კარგი იქნებოდა თუ ყველა საგანში წიგნები ელექტრონულად იქნებოდა მოწოდებული სასწავლო პროცესის დაწყების პირველივე კვირაში. 9. სტუდენტთა გარკვეული რაოდენობა მიუთითებს რომ არ იცნობს ან ნაწილობრივ იცნობს უნივერსიტეტის რეგულაციებსა და წესებს. კერძოდ, 36.4% და 30.8% ამბობს რომ	გაზრდასა და შესაბამისი უნარების განვითარებას. კერძოდ, -აღნიშნული საკითების საპასუხოდ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის მხრიდან 2022-2023 აკადემიური წლის საანგარიშო პერიოდში განხორციელდა და დაიგეგმა მრავალი სტუდენტური აქტივება, მათ შორის ცენტრის მხრიდან ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ტარდება საინფორმაციო შეხვედრა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის სერვისების გასაცნობათ. გარდა ამისა სტუდენტებს ელექტრონული ფოსტის საშუალებით ეგზავნებათ კარიერული კონსულტაციისთვის საჭირო ინფორმაცია და შესაბამისი სარეგისტრაცია ბმული. ასევე სემესტრში ერთხელ ვთავაზობთ აღნიშნულ საკითხზე მასტერკლასს, რომელიც მოიცავს რეზიუმეს შედგენას, გასაუბრებისთვის მომზადებას, სხვადასხვა ონლაინ პლატფორმებით სარგებლობას და სწავლებას. მასტერკლასს უძღვება ცენტრის ხელმძღვანელი და ასევე სფეროს წამყვანი HR სპეციალისტები. მათი კარიერული განვითარებისა და დასაქმებისთვის, ცენტრი ასევე ახდენს მათთვის რელევანტური ვაკანსიებისა და სტაჟირებების პროგრამების გაზიარებას. შემოდგომის სემესტრის დაწყებისთანავე, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი თვითმმართველობასთან ერთად იწყებს სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებაზე და წახალისებაზე ზრუნვას. ამისთვის როგორც ცენტრი ასევე ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტური	

		მეტ-ნაკლებად კარგად იცნობს, ხოლო 10.9-11.5% არ იცნობს. ასევე სასწავლო პროცესთან და საგამოცდო ცენტრთან დაკავშირებულ რეგულაციებს სტუდენტების 34% და 22.6% მეტ-ნაკლებად კარგად, ხოლო 5.7-7.5% არ იცნობს. 10. სტუდენტთა 33% აფიქსირებს, რომ არ ჰქონდა ინფორმაცია საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობების შესახებ.	თვითმმართველობა აქტიურად გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა სახის შემეცნებით და გასართობ ღონისძიებებს. უნდა აღინიშნოს რომ ერთერთი სტუდენტური გასვლითი ღონისძიება ვერ ჩატარდა სტდუენტთა დაბალი აქტივობის გამო. რასაც ვერ ვიტყვით უცხოელ სტუდენტებზე, რომლებთანაც წარმატებით შედგა ცენტრისა და თვითმმართველობის ერთობლივი ექსკურსია. 2. 2022-2023 წელს ფსიქოლოგიის პროგრამის ფარგლებში მემორანდუმი გაორმდა შემდეგ უნივერსიტეტებთან: Baltic International Academy, Transylvania University of Brasov, Vinnytsia Mykhailo Kotsiubynskyi State Pedagogical University, Titu Maiorescu University, Istanbul Galata University, University of Minas Gerais UFMG, Universidade Paulista, Muğla Sıtkı Koçman University. 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში გამოცხადდა კონკურსი გაცვლითი პროგრამის მიმართულებით, სადაც მონაწილეობა მიიღო ფსიქოლოგიის პროგრამის სტუდენტებმა, გამარჯვებული სტუდენტი კი 2023-2024 წლის შემოდგომის სემესტრში ისწავლის რუმინეთში, დასავლეთ ტიმიშოარას უნივერსიტეტში. აღნიშნული ფაქტი ადასტურებს სერვისის არსებობას, რომელიც კიდევ უფრო გამრავალფეროვნდება და გამდიდრდება. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მხრიდან ყოველ სემესტრში ზიარდება ინფორმაცია სტუდენტებისთვის ერაზმუსის გაცვლით პროექტებთან დაკავშირებით. https://eu.edu.ge/en/news/2233-new-	

			destinations-have-been-added-erasmus-international-mobility-competition-spring 3. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მიერ ზაფხულის პერიოდში მოხდა სარაჯიშვილის კორპუსში ინტერნეტის ქსელების გადამოწმება, ამოცვლა, შედეგად ინტერნეტზე წვდომის გაუმჯობესება. 4. უნივერსიტეტის მიერ მოხდა ე.წ. სმარტ დაფების შეძენა და სარაჯიშვილის კორპუსში პროექტორების და პროექტორის დაფების ჩანაცვლება სრულად. 5. შესაბამისი პასუხისმგებელი სამსახურის მიერ შემუშავდა გეგმა, რომლის მიხედვითაც კონდიცირების სისტემა გადამოწმდება ყოველი წლის მაისის თვეში. რაც შეეხება კონკრეტულ შემთხვევას, ზაფხულის პერიოდში მედიცინის კორპუსში მუშაობდა ცენტრალური კონდიცირება. სავარაუდოდ, გაგრილების ჩართვა მოხდა კითხვარის ჩაშვების შემდგომ პერიოდში. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის ივლისში გაგრილების სისტემა შემოწმდა კომპეტენტრი პირის მიერ და დაიწერა შესაბამისი დადებითი დასკვნა. 6. სარაჯიშვილის კორპუსში, 2023-2024 აკად. წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისისთვის ყველა სართულზე მოეწყო სტუდენტების მოსასვენებელი სივრცეები, რბილი ავეჯით. 7. შემოდგომის სემესტრის დაწყებამდე მოხდა მედიცინის კორპუსის მატერიალურ - ტექნიკური რესურსების შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში, შეკეთება ან ჩანაცვლება. შეძენილია რკინის კარები, რომელთა დაყენებაც იგეგმება ყველა საპირფარეშოში გაზაფხულის სემესტრის	

			დაწყებამდე. 8. ყოველი სემესტრის დასაწყისში იმართება შეხვედრები და იგზავნება შეტყობინება კონკრეტულ სემესტრში აქტიური სტატუსის მქონე კურსების განმახორციელებელ პერსონალთან, სადაც ხდება ინფორმაციის მიწოდება Moodle-ის გამოყენებასთან დაკავშირებით. 2023-2024 წლის სასწავლო სემესტრის დასაწყისში ჩატარდა შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სადაც კიდევ ერთხელ მოხდა საუბარი Moodle-ის გამოყენების გზებზე, მის რესურსებზე, ინფორმაციის გაზიარების შესაძლებლობებზე. ასევე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა როგორც სტუდენტებთან, ისე პერსონალთან რომ კომუნიკაციის სივრცე არის ელ-ფოსტა და Moodle. 9. 2023-2024 სასწავლო წლის შემედგომოს სემესტრის დასაწყისში სტუდენტებთან ჩატარდა შეხვედრა, სადაც მათ შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებმა გააცნეს უნივერსიტეტში მოქმედი ისეთი წესები, როგორიცა: ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსი, პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები, ასევე უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ამ დოკუმენტების ხელმისაწვდომობაზე მოხდა მათთან საუბარი. შეხვედრას ასევე დაესწრნენ სასწავლო პროცესის მენეჯერი და საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელი, რომლებმაც ის მნიშვნელოვანი მექანიზმები გააცნეს სტუდენტებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის ქონა მნიშვნელოვანია. აღნიშნული	

			დოკუმენტები სტუდენტებს გაეგზავნათ მეილზეც. 10. 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში სტუდენტებთან ჩატარებულ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გაკეთდა აქცენტი, რომ აქტიურად შეამოწმონ ელექტრონული ფოსტა, თვალი ადევნონ უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელს, სადაც ანონსდება მიმდინარე კონკურსები სხვადასხვა მიმართულებით. https://eu.edu.ge/en/news/2233-new-destinations-have-been-added-erasmus-international-mobility-competition-spring	
სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა (მედიცინის ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	გამოკითხვის შედეგების ანალიზის მიხედვით, მედიცინის პროგრამის სტუდენტების ნახევარზე მეტი, 56% დადებითად (მეტ-ნაკლებად კმაყოფილი, კმაყოფილი, ძალიან კმაყოფილი) აფასებს შენობაში არსებულ დასასვენებელ სივრცეებს (კომფორტულობა, ფართი), ხოლო 44% უკმაყოფილოა. მათი მხრიდან დაფიქსირდა რამდენიმე მნიშვნელოვანი კომენტარი: 1. სტუდენტებმა გამოთქვეს კორპუსების გაფართოების და დასასვენებელი სივრცის მოწყობის სურვილი 2. სტუდენტებმა	1. უნივერსიტეტს დაემატა ახალი კამპუსი, ლუბლიანას #35, საერთო ფართით 6800 კვ.მ, შესაბამისად, სტუდენტების მიერ დასახელებული პრობლემა საუნივერსიტეტო სივრცის გაფართოებასთან დაკავშირებით, მოგვარებულია. ამასთან ერთად, შენობის დერეფნებსა და ეზოსი მოეწყო სტუდენტური სივრცეები, განახლდა და დაემატა რბილი ავეჯი. 2. უნივერსიტეტში გაიზარდა საბიბლიოთეკო სივრცე, ამჟამად, სარაჯიშვილის კორპუსში მეშვიდე სართულზე არსებული ბიბლიოთეკა მოიცავს 430 კვ.ნ ფართობს, სადაც ერთდროულად 120 სტუდენტის მოთავსებაა შესაძლებელი. ასევე, გამოყოფილი იქნება ადგილები ინდივიდუალური მუშაობისთვის, ოთხი დახურული სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის და სივრცე კომპიუტერებისთვის. დამატებით მოეწყო დას რულად აღიჭურვა როგორც ტექნიკით, ასევე სახელმძღვანელო ფონდით ბიბლიოთეკა ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში	შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური

		გამოთქვეს ბიბლიოთეკაში არსებულ სივრცეების დამატებით მოწყობის სურვილი 3. სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი უნივერსიტეტში სისუფთავის დაცვასთან დაკავშირებით (ცივი წყალი, დაზიანებული განათება, კარები, ფანჯრები, ონკანები, გაგრილების სისტემის მოწესრიგება, ეზოს დასუფთავება) 4. სტუდენტებმა აღნიშნეს დამატებითი ლიფტის საჭიროება.	გამოყოფილ სასწავლო ფართზე. 3. უნივერსიტეტში გაგრილების სისტემა მოწესრიგდა სრულად, ასევე არსებობს კომპეტენტური პირის დასკვნა ორივე კორპუსის შემთვევაში (მიმდინარე წლის ივლისი-ნოემბრის მდგომარეობით). ასევე გამოიცვალა მწყობრიდან გამოსული ყველა სანათი და ხელახალი დაზიანების შემთხვევაში, რეაგირება ხდება მყისიერად. ორივე კორპუსში დამატებით გამოიყო ადამიანური რესურსი ზემოაღნიშნულ დაღღვევებზე რეაგირების მიზნით. გამოიცვალა და დაემატა წყლის დისპენსერები, რომლებიც არ საჭიროებენ წლის რეზერვუარის შევსებას. ასევე შეძენილ იქნა ჭიქების ჩასადები, აღნიშნული ჭიქები ინახება ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში და ნაწილდება დიასახლისებზე დისპენსერებში განსათავსებელი რაოდენობების შესაბამისად. ასევე მოწესრიგდა და დასუფთავდა სარაჯიშვილის კორპუსის უკანა ეზო, სადაც დროებით განთავსებული იყო სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით საჭირო ინვენტარი, გარდა ამისა, ეზოში დაიდგა რამდენიმე საქანელაც. დამატებით, შენობის დერეფნებში, ბიბლიოთეკასა და სველ წერტილებში დამონტაჟდა სურნელოვანი აეროზოლები. რაც შეეხება სისუფთავეს, დიასახლისებს მიეცათ დამატებითი ინსტრუქტაჟი და გამკაცრდა ზედამხედველობა. ასევე დასრულებულია ტენდერი და მიმდინარეობს კომპანიის შერჩევა. 4. უნივერსიტეტის სარაჯიშვილის კაპუსში 2023-2024 აკ. წელს გაკედა ახალი ლიფტი და ამჟამად	

			კამპუსში ფუნქციონირებს 2 ლიფტი.	
სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა (მედიცინის ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	ერთ-ერთი სტუდენტის მხრიდან დაფიქსირდა სურვილი, რომ ხარისხის გაუმჯობესება იგრძნობოდეს ყველა საკითხთან მიმართებაში.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ზედამხედველობას უწევს შესაბამისი კვლევების ადმინისტრირებას. უნივერსიტეტში გამოკითხვები ხდება როგორც სემესტრულად ასევე აკადემიური წლის ბოლოს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სტუდენტების გამოკითხვისთვის იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს, რომლებიც არის ანონიმური: • სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევა; • მობილობით გადმოსული სტუდენტის გამოკითხვა; • მობილობით გადასული სტუდენტის გამოკითხვა; • სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება; • კურსდამთავრებულის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება; • სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასება; • სტუდენტის მიერ ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება; • სტუდენტის მიერ პრაქტიკის კომპონენტის შეფასება; • სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტის (კლინიკის) და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება; • სტუდენტისა და გამომცდელის მიერ საგამოცდო პროცესების შეფასება, მათ შორის OSCE-ისა და OSPE -ის გამოცდების; • სტუდენტების მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტებთან შეხვედრა აკადემიური წლის ბოლოს. გარდა ამისა, მედიცინის	მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი

			ფაკულტეტს ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ დაუკავშირდნენ მას ან პირადად გაესაუბრონ. ინფორმაციის მეტად გავრცელების მიზნით, მედიცინის ფაკულტეტის მენეჯერის საკონტაქტო ინფორმაცია გაზიარდა სტუდენტებთან, იგი ხელმისაწვდომია როგორც ელ. ფოსტაზე ასევე უნივერსიტეტის ტერიტორიაზე (სარაჯიშვილის კორპუსი ორშაბათი-ხუთშაბათი, ხოლო გურამიშვილის კორპუსში - პარასკევი). არსებული ინსტრუმენტები იძლევა შესაძლებლობას გამოვლინდეს საყურადღებო საკითხებიც და მოხდეს სათანადო რეაგირებაც, რისი დატურიცაა კვლევის შედეგები და რეაგირებები, რაც თავისთავად ემსახურება აღნიშნული საკითხების ხარისხის გაუმჯობესებას.	
აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა (სავეტერინარო მედიცინის მედიცინის ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	გამოიკვეთა კვლევის დაფინანსების წესის შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან.	უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან განხორციელდა ონლაინ შეხვედრები „კვლევის დაფინანსების წესისა“ და „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების“ გასაცნობად. საინფორმაციო შეხვედრებზე დასარეგისტრირებლად აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ცენტრის კორპორატიული ელ. ფოსტიდან გაზიარდა სარეგისტრაციო ფორმა 2022 წლის 9 ნოემბერს. ჯამში შეხვედრებზე 14 აკადემიური და მოწვეული პერსონალი დარეგისტრირდა. საინფორმაციო შეხვედრები ZOOM-ის პლატფორმის მეშვეობით გაიამრთა შემდეგ თარიღებში: 16 ნოემბერი 16:00 - 17:00 საათი;	სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი

			17 ნოემბერი 14:00 - 15:00 საათი; 18 ნოემბერი 16:00 - 17:00 საათი. აღნიშნული საინფორმაციო ტიპის შეხვედრები ტარდება ყოველწლიურად. შესაბამისად, 2023-2024 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრშიც ტრადიციულად გათვალისწინებულია საინფორმაციო ტიპის შეხვედრების ჩატარება.	
სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა (სავეტერინარო მედიცინის მედიცინის ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	1. რამდენიმე სტუდენტი აფიქსირებს, რომ სასურველია ბიბლიოთეკის სამეცადინო სივრცე გაფართოვდეს. ასევე, ფიქსირდება, რომ ბიბლიოთეკაში ზოგჯერ არის ხმაური. 2. რამდენიმე სტუდენტის მხრიდან დაფიქსირდა, რომ სასურველია უნივერსიტეტის ბიბლეოთეკებში არსებობდეს უფასო ქსეროქსით სარგებლობის შესაძლებლობა.	1. უნდა აღინშნოს, რომ ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (თბილისი, 0141, გურამიშვილის გამზ. 76) არის 44 სტუდენტზე გათვლილი ბიბლიოთეკა, მათ შორის 14 ადგილი უზრუნველყოფილია კომპიუტერით, ხოლო, მედიცინის ფაკულტეტის კორპუსში (თბილისი, 0189, სარაჯიშვილის ქ. 17) არსებულ ბიბლიოთეკაში განსაზღვრულია 120 ადგილი მათ შორის 20 უზრუნველყოფილია კომპიუტერით. სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურის მიხედვით, განსაზღვრულია სტუდენტთა რაოდენობა საბიბლიოთეკო მონაცემების მიხედვით (აღნიშნული რაოდენობების გამოთვლა ხორციელდება ყოველსემესტრულად), აღნიშნული მონაცემების თანახმად, ევროპის უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო სივრცეეებში არსებული ადგილების რაოდენობა, სტუდენტების რაოდენობასთან შეფარდებით, სრულ შესაბამისობაშია. უნდა აღინშნოს, რომ სტუდენტთა მხრიდან ხაზგასმული პრობლემა, რომელიც ეხება ზოგჯერ თავისუფალი ადგილების არარსებობას ბიბლიოთეკაში, გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: ზოგიერთი	ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

			სტუდენტი საბიბლიოთეკო სივრცეს იყენებს პირადი ნივთების დასატოვებლად, კერძოდ, ისინი სალექციო საათებს შორის არსებულ შუალედებში თავიანთ ნივთებს ტოვებენ ბიბლიოთეკაში, ხშირად რამდენიმე საათის განმავლობაში, რაც იწვევს იმას რომ ადგილი დაკავებულია და სხვა სტუდენტი ვერ ახერხებს ბიბლიოთეკით სარგებლობას. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, ბიბლიოთეკოს თანამშრომელს არ აქვს უფლება შეეხოს სტუდენტის პირად ნივთებს და ადგილი რჩება დაკავებული სტუდენტის უკან დაბრუნებამდე. ასევე, ხშირად სტუდენტების ჯგუფი ერთდროულად შედის ბიბლიოთეკაში, არა სამეცადინოდ, არამედ თავისუფალი დროის გასაყვანად, შესაბამისად, ისინი ხმაურობენ და ხელს უშლიან სხვა სტუდენტებს მეცადინეობაში. ასეთ შემთხვევაში ბიბლიოთეკის თანამშრომელი აძლევს სტუდენტს გაფრთხილებას, ხოლო გამეორების შემთხვევაში მიუთითებს საბიბლიოთეკო სივრცის დატოვებაზე. საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული საკითხების მოგვარების მიზნით განხორციელდა შემდეგი რეაგირებები: 1. გამკაცრდა კონტროლი სტუდენტთა მხრიდან საბიბლიოთეკო სივრცეში ადგილების არამიზნობრივად გამოყენებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ კონტროლდება, რა მიზნით შემოდის სტუდენტი ბიბლიოთეკაში და იმ შემთხვევაში, თუ მას მხოლოდ ნივთების დატოვება სურს, თანამშრომელი მიუთითებს არ დაიკავოს ადგილი. 2. 2023-2024	

			აკადემიური წლის დასაწყისში სტუდენტებს გაეგზავნათ მეილი, რომელშიც კიდევ ერთხელ დეტალურად იქნა განმარტებული ბიბლიოთეკაში ქცევის წესები (აღნიშნული წესები გამოკრულია საბიბლიოთეკო სივრცეებშიც) და ეთხოვათ მათ, თავი შეიკავონ ბიბლიოთეკის სივრცის არამიზნობრივად გამოყენებისგან და ასევე, ხმაურისგან, რათა ხელი არ შეუშალონ სხვა სტუდენტებს საბიბლიოთეკო სივრცის მიზნობრივად გამოყენებაში. 3. დაიგეგმა და განხორციელების პროცესშია ბიბლიოთეკის ინტერიერის შეცვლა, რის შედეგადაც, არსებული სივრცე იქნება ბევრად უფრო მოქნილი და სტუდენტების მოთხოვნებზე მორგებული. გამოყოფილი იქნება ადგილები, როგორც ინდივიდუალური ისე ჯგუფური მუშაობისთვის (ოთხი დახურული სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის და სივრცე კომპიუტერებისთვის). 2. სტუდენტების მოთხოვნის საპასუხოდ, ბიბლიოთეკის მხრიდან განხორციელდა კომუნიკაცია უნივერსიტეტის მმართველ გუნდთან, რის შედეგადაც გადაწყდა სტუდენტთა მოთხოვნის დაკმაყოფილება. შესაბამისად, ამჟამად ევროპის უნივერსიტეტის როგორც ადმინისტრაციული შენობის (თბილისი, 0141, გურამიშვილის გამზ. 76), ისე მედიცინის ფაკულტეტის კორპუსის (თბილისი, 0189, სარაჯიშვილის ქ. 17) საბიბლიოთეკო სივრცეებში განთავსებულია ქსეროქსის აპატარი, რომლით სარგებლობაც არის უფასო და სტუდენტებს შეუძლიათ გადაიღონ ქსერო-ასლები ბიბლიოთეკის სამუშაო საათებში ნებისმიერ დროს.	

სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა (სავეტერინარო მედიცინის მედიცინის ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	1. სტუდენტების მხრიდან დაფიქსირდა, რომ სასურველია დაუბრუნდეთ ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (თბილისი, 0141, გურამიშვილის გამზ. 76) არსებული სტუდენტური სივრცე. 2. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ სასურველია გამრავალფეროვნდეს ეზოში არსებული სტუდენტთა მოსასვენებელი სივრცე. სასურველია სკამების დამატება, როგორც ეზოში ასევე დერეფნებში, რადგან არსებული რაოდენობა არ არის სტუდენტებისთვის საკმარისი. ასევე სასურველია მე-3 სართულზე სასმელი წყლის დისპანსერის დადგმა. 3. სტუდენტები აფიქსირებენ, რომ კარგი იქნებოდა გასართობი ღონისძიებების დაგეგმვა.	1. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობის ეზოში მდებარე სტუდენტური სივრცე მოეწყო 2022-2023 აკადემიური წლიდან. 2022-2023 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრიდან კი მცირე ხნით სივრცე გამოყენებულ იქნა ლექცია-სემინარების, საჯარო ლექციების ჩასატარებლად. შეფასების საპასუხოდ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის მხრიდან განხორციელდა კომუნიკაცია უნივერსიტეტის მმართველ გუნდთან და მათთან შეთანხმებით გადაწყდა, რომ 2023-2024 აკადემიური წლიდან აღნიშნულ სივრცეში აღარ ჩატარდება ლექცია-სემინარები. ამჟამად სტუდენტურ სივრცეში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, მისი კეთილმოწყობის მიზნით. შესაბამისად, როგორც კი დასრულდება აღნიშნული სარემონტო სამუშაოები, მაშინვე აღდგება სტუდენტური სივრცე. 2. სტუდენტების მოთხოვნა ეზოში არსებული სტუდენტური მოსასვენებელი სივრცის გამრავალფეროვნებასთან დაკავშირებით, გათვალისწინებულ იქნა და ამჟამად ადმინისტრაციული შენობის ეზოში განთავასებულია: 16 საქანელა სკამი, 2 მაგიდა სკამებით, ტენისის მაგიდა და 1 რბილი მოსასვენებელი დივანი. ხოლო შენობის ფოიეში განთავსდა 18 რბილი სკამი, 6 რბილი სავარძელი და 2 რბილი მოსასვენებელი დივანი და 10-მდე რბილი პუფი. ასევე, შენობის თითოეული სართულის დერეფნის ორივე მხარეს განთავსებულია სკამები სტუდენთათვის.	სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი

			რაც შეეხება მოთხოვნას სასმელი წყლის დისპენსერთან დაკავშირებით, 2023-2024 აკადემიური წლის დასაწყისში განახლდა და უახლესი დისპენსერებით აღიჭურვა შენობის ყველა სართული, თითოეულ სართულზე განთავსებულია ორ-ორი დისპენსერი. 3. სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებისა და ექსტრაკურიკულარული საუნივერსიტეტო აქტივობების წახალისების მიზნით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური კლუბები. სტუდენტებს სემესტრულად ეძლევათ შესაძლებლობა გაწევრიანდნენ ან დააფუძნონ მათთვის საინტერესო სტუდენტური გაერთიანება. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი ყოველსემესტრულად ასევე უწევს ორგანიზებას სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების პროცესს. აღსანიშნავია, რომ ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის ფარგლებში ყოველწლიურად ტარდება კვლევა, რომლის მიზანია სტუდენტთა კმაყოფილების დადგენა მომსახურების ცენტრის მიერ წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებებით, ასევე, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ დააფიქსირონ თავიანთი საჭიროებები, აღნიშნული მოსაზრებები გათვალისწინებული იქნება მომავალი წლის აქტივობების დაგეგმვისას. გარდა ამ კვლევისა,	

			ცენტრი ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგებით და აღნიშნული კვლევის შედეგად გამოკვეთილ მოთხოვნებზე რეაგირების ფარგლებში ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს, რის შემდგომაც აბრუნებს რეაგირების ანგარიშს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. აღსანიშნავია, ევროპის უნივერსიტეტში ამჟამად ფუნქციონირებს შემდეგი სტუდენტური კლუბები: EU ფუტსალის გუნდი; EU ფრენბურთის გოგონათა გუნდი; EU ქორეოგრაფიული ანსამბლი; EU კალათბურთის გუნდი; ფსიქმიქსი; ლივინგსტონი; გარემოს დაცვის კლუბი; ინგლისური ენის პრაქტიკული კლუბი; ციფრული მარკეტინგის კლუბი; ახალი თაობის კვლევითი მეთოდების კლუბი; ფოტოგრაფიის კლუბი; სპორტული და კულტურული აქტივობების კლუბი; VET Eudora – (ვეტერინარ სტუდენტთა კლუბი); EUCYBERSPORT – ინფორმატიკის სტუდენტთა კლუბი; EU FISHING CLUB; კალათბურთის კლუბი; ფრენბურთის ბიჭების კლუბი. ამჟამად მიმდინარეობს ახალი სტუდენტური კლუბების რეგისტრაციის პროცესი. წინასწარი მონაცემების მიხედვით დარეგისტრირებულია 30-მდე ახალი კლუბი. ხოლო რაც შეეხება სტუდენტური ცხოვრების გააქტიურებასთან დაკავშირებით სტუდენტის კომენტარს, უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მოსახურების ცენტრის ინიციატივით, მხოლოდ 2023	

			წლის მარტიდან ოქტომბრის ჩათვლის გაიმართა შემდეგი ღონისძიებები: • 10 მარტი: ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტურმა გუნდებმა "ზამთრის ფესტივალი 2023"-ის ფარგლებში თოვლის რაგბისა და თოვლის ფრენბურთში მიიღეს მონაწილეობა. • 18 მარტი: ევროპის უნივერსიტეტის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ფესტივალზე "ნიჭიერი თაობა" ლაურეატის წოდება მოიპოვა, ანსამბლის ხელმძღვანელმა, პაატა ხურცილავამ კი, საუკეთესო დადგმისთვის ფესტივალის მედალი და თასი მიიღო. • 25 მარტი: გაიმართა სტუდენტური ჩემპიონატი ბოულინგში • 28 აპრილი: სტუდენტური პროექტების დაფინანსების კონკურსი - 4000 ლარით დაფინანსდა 2 პროექტი; • 6 აპრილი: საჯარო ლექცია - "სტრესის მართვა" • 9 აპრილი: ევროპის უნივერსიტეტის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა საქართველოს ეროვნული ფილარმონიის მიერ ორგანიზებულ საგაზაფხულო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. • 28-29 აპრილი: ევროპის უნივერსიტეტის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა სტუდენტურ-ქორეოგრაფიულ ფორუმ-ფესტივალ "ტერფსიქორეზე" მიიღო მონაწილეობა. ფესტივალი ქალაქ თბილისში, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით, დიმიტრი ალექსიძის სახელობის თეატრის სცენაზე, 28 და 29 აპრილს გაიმართა.	

			• 28 აპრილი: გაიმართა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის შეხვედრა სტუდენტებთან, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს გაუზიარდა ინფორმაცია დაგეგმილ აქტივობებზე და ცენტრმა მოისმინა მათი სურვილები, იდეები და საჭიროებები. • 25 მაისი - 20 ივნისი: ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ''საქართველოს სტუდენტური ფესტივალი 2023" ში, რომელიც ყველაზე მასშტაბური სტუდენტური ღონისძიებაა საქართველოში და ყოველწლიურად ტარდება. ფესტივალი აერთიანებს მასობრივ კულტურულ-შემოქმედებით და სპორტულ აქტივობებს. • 5 ივნისი: სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს საუნივერსიტეტი სპორტის ფედერაციის მიერ დაგეგმილ ჯომარდობაში რომელიც გაიმართა ფასანაურში. • 27 ივნისი: ევროპის უნივერსიტეტის თვითმმართველობის ინიციატივით და სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის მხარდაჭერით პროექტი სახელწოდებით „ვიცნობდეთ საქართველოს" დაიწყო. პროექტის მიზანია ევროპის უნივერსიტეტის უცხოელ სტუდენტებს საქართველოს ისტორიული ადგილები გააცნოს და მათში ქართული კულტურის შესახებ ცნობადობა გაზარდოს. პროექტის ფარგლებში პირველი ერთდღიანი ტური მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტში, ყაზბეგში დაიგეგმა. უცხოელმა სტუდენტებმა ჟინვალის წყალსაცავი, ანანური, გერგეთი,	

			გველეთის ჩანჩქერი და გუდაურის პანორამული ხედი დაათვალიერეს. • 28 ივლისი - ევროპის უნივერსიტეტში წლის ყველაზე ფერადი და მუსიკალური საღამო მულტიკულტურული ფესტივალი გაიმართა. ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტური საცხოვრებლის ეზოში სტუდენტები 70-ზე მეტი ქვეყნიდან იყვნენ წარმოდგენილი და ერთმანეთს საკუთარი კულტურა დიდი სცენიდან გაუზიარეს. ფესტივალი ევროპის უნივერსიტეტის ქართულმა ქორეოგრაფიულმა ცეკვის ანსამბლმა გახსნა, რის შემდეგაც ღონისძიება უცხოელმა და ქართველმა სტუდენტებმა სპეციალურად ამ დღისთვის მომზადებული ნომრებით გააგრძელეს. • 29-30 ივლისი: გოგონათა შორის გამართულ ქვიშის ფრენბურთის ეროვნულ ჩემპიონატში ევროპის უნივერსიტეტის გუნდი ჩემპიონი გახდა. • 9 აგვისტო: ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის კამპუსში, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის მიერ გამოცხადებული სტუდენტური ფოტოკონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოება გაიმართა. პირველ ადგილზე გასულ სტუდენტს სითი მოლის 300 ლარიანი ვაუჩერი გადაეცა, მეორე და მესამე ადგილზე გასული სტუდენტები კი 200 და 100 ლარიანი ვაუჩერებით დაჯილდოვდნენ. • 13 აგვისტო - 17 აგვისტო: სტუდენტებმა მონაწილეობა მიითეს ახალგაზრდულ ბანაკში, რომელიც „ახალგაზრდობის სააგენტომ“ განახორციელა რაჭაში, შაორის ტბის მიმდებარედ.	

			• 19-20 აგვისტო: კურორტ შეკვეთილში, ქვიშის ფრენბურთში, შერეულ წყვილებს შორის, "გიგას თასის" გათამაშება გაიმართა. ევროპის უნივერსიტეტის ფრენბურთის გუნდმა რვა გუნდს შორის მეორე ადგილი მოიპოვა. • 8-13 აგვისტო: ევროპის უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი ბულგარეთში ფესტივალზე იმყოფებოდა სადაც ქალაქ ნესებირში გამართულ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. ფესტივალი ქართული კულტურის სათანადო დონეზე წარდგენას და სხვადასხვა ქვეყნების შემოქმედებით კოლექტივებთან დამეგობრებას ისახავდა მიზნად. • 25 სექტემბერს, ევროპის უნივერსიტეტში პირველკურსელთა საზეიმო მიღების ცერემონია გაიმართა. ღონისძიება ევროპის უნივერსიტეტის რექტორმა ნინო ტალიაშვილმა გახსნა და სტუდენტებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა. პირველკურსელთა WELCOME ღონისძიება საღამოს წვეულებით დასრულდა. • 13 ოქტომბერი: ჩატარდა მაგიდის ჩოგბურთის ტურნირი. • 27 ოქტომბერი: ჩატარდა ინტელექტუალური თამაში რა?სად?როდის? • 12 ოქტომბერი: ჩატარდა ჭადრაკის ჩემპიონატი; • 3 ოქტომბერი: მოძრაობის თეატრში, ევროპის უნივერსიტეტის პოპ ჯგუფმა ”გამორჩEUლი” და ესტონეთის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტის კაპელამ “SoLeMiJo” ერთობლივი კონცერტი გამართეს. • 31 ოქტომბერი: ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა და	

			კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრისა და სტუდენტების ინიციატივით დაიგეგმა მინი ფეხბურთის ტურნირი. ამ დროისთვის ჩატარებულია კენჭისყრა გუნდებს შორის. • ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტ მეთევზეთა კლუბმა სადებიუტო გასვლები განახორციელა. პირველი გასვლითი ღონისძიება, 8 ოქტომბერს, ოაზისის ტბაზე გაიმართა, სადაც კლუბის წევრები ბავშვთა თევზაობის ჩემპიონატს ჟიურის რანგში დაესწრნენ. ტურნირის დასრულების შემდგომ კი ქართველ მეთევზეთა კლუბთან ერთად გამოავლინეს და დააჯილდოვეს გამარჯვებული ბავშვები. 15 ოქტომბერს, მეთევზეთა კლუბმა გასვლითი ღონისძიების ფარგლებში, ბუატას ტბებზე პირველი შიდა ჩემპიონატი ჩაატარა. ჩემპიონატის გამარჯვებულები დაჭერილი თევზის რაოდენობით გამოვლინდნენ და შესაბამისი პრიზებით დასაჩუქრდნენ. როგორც, ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან ჩანს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის მიერ ორგანიზებულ და ჩატარებულ ღონისძიებათა ჩამონათვალი არც თუ ისე მცირეა, ასევე, 2023-2024 აკადემიური სასწავლო წლიდან კიდევ არის დაგეგმილი არაერთი ღინიძიებების ჩატარება, რომლის შესახებაც ტრადიციულად გაუზიარდება ინფორმაცია სტუდენტებს ელ. ფოსტის საშუალებით.	
სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა (სავეტერინარო	2022-2023 აკადემიური წელი	ერთ-ერთი სტუდენტის მხრიდან გამოიკვეთა კომენტარი, რომლის მიხედვით საფასურის	სტუდენტურ ბაზაში არსებულ ფინანსურ გვერდზე, სტუდენტთა მიერ გადახდილი გადასახადისა და დარჩენილი დავალიანების შესახებ, ინფორმაციის შემოწმება	ფინანსური სამსახური

მედიცინის მედიცინის ფაკულტეტი)		გადახდის შემდეგ, უფრო ხშირად უნდა ხდებოდეს სტუდენტურ ბაზაში ინფორმაციის განახლება, რომ სტუდენტებს დაზუსტებით ჰქონდეთ ინფორმაცია დარჩენილი დავალიანების შესახება.	და განახლება ხდებოდა კვირაში 2-ჯერ, თუმცა სტუდენტთა მხრიდან გამოკვეთილი რეკომენდაციების საფუძველზე 2023-2024 აკადემიური წლის დასაწყისიდან გაიზარდა გადამოწმება-განახლების სიხშირე და აღნიშნული პერიოდიდან ყოველდღიურად ხორციელდება.	
სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა (სავეტერინარო მედიცინის მედიცინის ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	სტუდენტთა მხრიდან გამოიკვეთა, რომ სასურველია ზაფხულში უზრუნველყოფილ იქნას გაგრილების სისტემა სასწავლო აუდიტორიებში.	უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის უნივერსიტეტის ყველა აუდიტორია არის უზრუნველყოფილი შესაბამისი გაგრილების სისტემით, თუმცა სტუდენტების მხრიდან აღნიშნული პრობლემური საკითხის გამოვლენის შემდგომ, საკითხი მოკვლეულ იქნა და დადგინდა, რომ ზოგიერთ აუდიტორიაში, ნამდვილად იყო გაგრილების სისტემასთან დაკავშირებული პრობლემა. პრობლემის იდენტიფიცირებისთანავე შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური სამსახურის მხრიდან გადამოწმდა თითოეულ აუდიტორიაში კონდენციონერების გამართულობა და იმ აუდიტორიებში სადაც კონდიციონერები არ მუშაობდა გამართულად, მოხდა მათი გამოცვლა (ჯამში ივლისის ბოლოს და აგვისტოს დასაწყისში გამოიცვალა 6 კონცენციონერი და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუში არსებული ყველა კონდენციონერის დიაგნოსტირების შედეგად საჭიროებისამებრ შეკეთდა 12 კონცენციონერი).	შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური

აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა (სამართლის,, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	ერთ-ერთი ლექტორი აფიქსირებს, რომ სასურველია აუდიო ჩანაწერების გაზიარების მიზნით კომპიუტერს ჰქონდეს აუდიო დინამიკები.	ლექტორის კომენტარის პასუხად უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (თბილისი, 0141, გურამიშვილის გამზ. 76) განთავსებულ კომპიუტერებში ჩაშენებულია ხმის გამაძლიერებელი დინამიკები. შესაბამისად, ლექტორების მხრიდან არ გამოკვეთილა აუდიო დინამიკების არსებობის საჭიროება, მაგრამ რადგან ლექტორების კმაყოფილების კვლევაში ერთ-ერთი ლექტორი აფიქსირებს აღნიშნული სახის რეკომენდაციას, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მხრიდან მოხდა 14 აუდიო დინამიკის შეძენა, იმისათვის რომ ლექტორებმა საჭიროებისამებრ ისარგებლონ.	ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური
აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა (სამართლის,, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	1. ერთ-ერთი ლექტორის მხრიდან გამოიკვეთა, რომ მას სურს მიიღოს ინფორმაცია კვლევის დაფინანსების წესის შესახებ. 2. ერთ-ერთი პერსონალი აფიქსირებს, რომ Turnitin-ის გამოყენება ხდება მხოლოდ მსგავსების დასადგენად და უკუკავშირის ნაწილის გამოყენება შეუძლებელია, რაც დამატებით თავსატეხია მისთვის და შესაძლოა სტუდენტი უკუკავშირის გარეშე დარჩეს.	1. უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან განხორციელდა ონლაინ შეხვედრები „კვლევის დაფინანსების წესისა“ და „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების“ გასაცნობად. საინფორმაციო შეხვედრებზე დასარეგისტრირებლად აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ცენტრის კორპორატიული ელ. ფოსტიდან გაზიარდა სარეგისტრაციო ფორმა 2022 წლის 9 ნოემბერს. ჯამში შეხვედრებზე 14 აკადემიური და მოწვეული პერსონალი დარეგისტრირდა. საინფორმაციო შეხვედრები ZOOM-ის პლატფორმის მეშვეობით გაიამრთა შემდეგ თარიღებში: 16 ნოემბერი 16:00 - 17:00 საათი; 17 ნოემბერი 14:00 - 15:00 საათი; 18 ნოემბერი 16:00 - 17:00 საათი.	სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი

			აღნიშნული საინფორმაციო ტიპის შეხვედრები ტარდება ყოველწლიურად. შესაბამისად, 2023-2024 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრშიც ტრადიციულად გათვალისწინებულია საინფორმაციო ტიპის შეხვედრების ჩატარება. 2. პერსონალის მიერ Turnitin-ის პროგრამაში უკუკავშირის დაბრუნების შესაძლებლობის არარსებობასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება პროგრამაშ უკუკავშირის ფუნქცია გააქტიურების შესახებ. ფუნქცია გააქტიურებულია 2023 წლის ივნისიდან 2024 წლის ივნისის ჩათვლით, მომსახურების ღირებულება შეადგენს 714 ევროს წლიურად. შესაბამისად პერსონალს აქვს შესაძლებლობა ისარგებლონ უკუკავშირის ფუნქციით.	
აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა (სამართლის,, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	ერთ-ერთი ლექტორი აფიქსირებს, რომ სასურველია, თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში ატვირთული ყველა დოკუმენტი, თუ ინფორმაცია ინახებოდეს MOODLE-ის პლატფორმაზე, რათა ლექტორს არ უხდებოდეს ყოველი სემესტრის ან წლის დასაწყისში ყველა დოკუმენტის ან ინფორმაციის თავიდან ატვირთვა/განთავსება	ლექტორის კომენტარის პასუხად უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის უნივერსიტეტში MOODLE-ის პლატფორმას არ ჰქონდა სასწავლო კურსების ფარგლებში ატვირთული დოკუმენტებისა, თუ ინფორმაციის ხელახლა გამოყენების შესაძლებლობა, მაგრამ ლექტორების მხრიდან დაფიქსირებული რეკომენდაციის საფუძველზე განხორციელდა აღნიშნული შესაძლებლობის დამატება. კერძოდ, MOODLE-ის პლატფორმაზე დაარქივებულია 2021-2022 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრიდან თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში ატვირთული ყველა დოკუმენტი და განთავსებული ყველა ინფორმაცია, ლექტორს კი აქვს შესაძლებლობა საჭიროებისამერ დააკოპიროს კონკრეტული დოკუმენტი ან	სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური

			განთავსებული ინფორმაცია ახალი სემესტრის სასწავლო კურსისთვის. შესაბამისად აღნიშნული ფუნქციის გამოყენებით MOODLE-ის პლატფორმაზე განთავსებული იქნება სასწავლო კურსები წლების მიხედვით და კურსის განმახორციელებელ ლექტორს ექნება წვდომა დაარქივებულ მასალებზე, წლების მიხედვით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რადგანაც MOODLE-ის პლატფორმა ინტეგრირებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში, სხვადასხვა წელს კონკრეტულ სასწავლო კურსზე დარეგისტრირებული სტუდენტების მუდლთან ავტომატურად მიბმის გამო ტექნიკურად შეუძლებელია MOODLE-ის ზუსტად იგივე გვერდის გამოყენება შემდეგი წლის ჯგუფებთან. თუმცა, ახლადდამატებული ფუნქცია გაუმარტივებს ლექტორებს MOODLE-ის პლატმორმის გამოყენებას და ხელს შეუწყობს რომ არ დაიკარგოს უკვე ატვირთული დოკუმენტები ან განთავსებული ინფორმაცია.	
აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა (სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	ერთ-ერთი ლექტორის კომენტარის თანახმად, სასურველია უნივერისიტეტმა იზრუნოს იმაზე, რომ სტუდენტთა ძალიან დიდმა რაოდენობამ ინტენსიურად არ გააცდინოს სემესტრის დასაწყისში ლექციები.	უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტების მხრიდან ლექციების ინტენსიური გაცდენა, განსაკუთრებით სემესტრის დასაწყისში მეტად საყურადღებო საკითხია. შესაბამისად, ამ საკითხზე რეაგირება ხდება მუდმივად. კერძოდ, ლექციის გაცდენის შემთხვევის იდენტიფიცირებისთანავე, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერების მხრიდან ხდება დაკავშირება თითოეულ სტუდენტთან, მათ ეგზავნებათ სალექციო საათის გაცდენასთან დაკავშირებით გამაფრთხილებელი	სამართლის, განათლების, ბიზნესის და ტექნოლოგების ფაკულტეტი

			შეტობინებები, როგორც ელ. ფოსტის, ისე მობილური ტელეფონის საშუალებით, თუ კონკრეტული სტუდენტების შემთხვევაში ხდება განმეორებითი გაცდენა, გარდა გამაფრთხილებელი შეტყობინებისა სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი ახორციელებს სატელეფონო კომუნიკაციასაც, რომლის მიზანია დაზუსტდეს სტუდენტის მხრიდან ლექციის გაცდენის მიზეზები და დეტალურად განემარტოს მას ლექციაზე დასწრების მნიშვნელობა.	
სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევა (სამართლის, განათლების, ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	1. გამოკითხვაში დაფიქსირდა, რომ სასურველია უნივერსიტეტის ბიბლეოთეკებში განთავსებული იყოს პრინტერები სტუდენტების სარგებლობისვის. 2. ერთ-ერთი სტუდენტი აფიქსირებს, ბიბლიოთეკის გაზრდის სურვილს. ასევე, გამოკითხვაში დაფიქსირდა, რომ ბიბლიოთეკაში ინდოელ სტუდენტებს აქვთ დაკავებული მთელი კომპიუტერული რესურსი.	1. სტუდენტების მოთხოვნის საპასუხოდ ბიბლიოთეკის მხრიდან განხორციელდა კომუნიკაცია უნივერსიტეტის მმართველ გუნდთან, რის შედეგადაც გადაწყდა სტუდენტთა მოთხოვნის დაკმაყოფილება. შესაბამისად, ამჟამად ევროპის უნივერსიტეტის როგორც ადმინისტრაციული შენობის (თბილისი, 0141, გურამიშვილის გამზ. 76), ისე მედიცინის ფაკულტეტის კორპუსის (თბილისი, 0189, სარაჯიშვილის ქ. 17) საბიბლიოთეკო სივრცეებში განთავსებულია ქსეროქსის აპატარი, რომლით სარგებლობაც არის უფასო და სტუდენტებს შეუძლიათ გადაიღონ ქსერო-ასლები ბიბლიოთეკის სამუშაო საათებში ნებისმიერ დროს. აღნიშნული ქსეროქსის აპატარებს აქვთ პრინტერის ფუნქციაც, შესაბამისად სამართლის განათლების ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტების კმაყოფილების კვლევაში გამოკვეთილი ზემოაღნიშნული საკითხი დაკმაყოფილებულ იქნა უნივერსიტეტის მხრიდან. 2. უნდა აღინშნოს, რომ ევროპის	ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

			უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (თბილისი, 0141, გურამიშვილის გამზ. 76) არის 44 სტუდენტზე გათვლილი ბიბლიოთეკა, მათ შორის 14 ადგილი უზრუნველყოფილია კომპიუტერით, ხოლო, მედიცინის ფაკულტეტის კორპუსში (თბილისი, 0189, სარაჯიშვილის ქ. 17) არსებულ ბიბლიოთეკაში განსაზღვრულია 120 ადგილი მათ შორის 20 უზრუნველყოფილია კომპიუტერით. სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურის მიხედვით, განსაზღვრულია სტუდენტთა რაოდენობა საბიბლიოთეკო მონაცემების მიხედვით (აღნიშნული რაოდენობების გამოთვლა ხორციელდება ყოველსემესტრულად), აღნიშნული მონაცემების თანახმად, ევროპის უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო სივრცეებში არსებული ადგილების რაოდენობა, სტუდენტების რაოდენობასთან შეფარდებით, სრულ შესაბამისობაშია. უნდა აღინშნოს, რომ სტუდენტთა მხრიდან ხაზგასმული საკითხი, რომელიც ეხება ზოგჯერ თავისუფალი ადგილების არარსებობას ბიბლიოთეკაში, გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: ზოგიერთი სტუდენტი საბიბლიოთეკო სივრცეს იყენებს პირადი ნივთების დასატოვებლად, კერძოდ, ისინი სალექციო საათებს შორის არსებულ შუალედებში თავიანთ ნივთებს ტოვებენ ბიბლიოთეკაში, ხშირად რამდენიმე საათის განმავლობაში, რაც იწვევს იმას, რომ ადგილი დაკავებულია და სხვა სტუდენტი ვერ ახერხებს ბიბლიოთეკით სარგებლობას.. ასევე, ხშირად სტუდენტების	

			ჯგუფი ერთდროულად შედის ბიბლიოთეკაში, არა სამეცადინოდ, არამედ თავისუფალი დროის გასაყვანად. ასეთ შემთხვევაში ბიბლიოთეკის თანამშრომელი აძლევს სტუდენტს გაფრთხილებას, ხოლო გამეორების შემთხვევაში მიუთითებს საბიბლიოთეკო სივრცის დატოვებაზე. საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული საკითხების მოგვარების მიზნით განხორციელდა შემდეგი რეაგირებები: 1. გამკაცრდა კონტროლი სტუდენტთა მხრიდან საბიბლიოთეკო სივრცეში ადგილების არამიზნობრივად გამოყენებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ კონტროლდება, რა მიზნით შემოდის სტუდენტი ბიბლიოთეკაში და იმ შემთხვევაში, თუ მას მხოლოდ ნივთების დატოვება სურს, თანამშრომელი მიუთითებს არ დაიკავოს ადგილი. 2. 2023-2024 აკადემიური წლის დასაწყისში სტუდენტებს გაეგზავნათ მეილი, რომელშიც კიდევ ერთხელ დეტალურად იქნა განმარტებული ბიბლიოთეკაში ქცევის წესები (აღნიშნული წესები გამოკრულია საბიბლიოთეკო სივრცეებშიც) და ეთხოვათ მათ, თავი შეიკავონ ბიბლიოთეკის სივრცის არამიზნობრივად გამოყენებისგან და ასევე, ხმაურისგან, რათა ხელი არ შეუშალონ სხვა სტუდენტებს საბიბლიოთეკო სივრცის მიზნობრივად გამოყენებაში. 3. შეიცვალა სარაჯიშვილის ქ. 17-ში არსებული ბიბლიოთეკის ინტერიერი, რის შედეგადაც, არსებული სივრცე არის ბევრად უფრო მოქნილი და სტუდენტების მოთხოვნებზე მორგებული. გამოყოფილია ადგილები, როგორც ინდივიდუალური ისე	

			ჯგუფური მუშაობისთვის (ოთხი დახურული სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის და სივრცე კომპიუტერებისთვის). ამასთანავე მოხდა დამატებით საბიბლიოთეკო სივრცის მოწყობა ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის სასწავლო სივრცეში, რაც ასევე განტვირთავს უკვე არსებული საბიბლიოთეკო სივრცეების გამოყენებას.	
სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევა (სამართლის, განათლების, ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	1. სტუდენტების მხრიდან დაფიქსირდა სურვილი, რომ დაუბრუნდეთ ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (თბილისი, 0141, გურამიშვილის გამზ. 76) არსებული სტუდენტური სივრცე. 2. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ სასურველია გამრავალფეროვნდეს ეზოში არსებული სტუდენტთა მოსასვენებელი სივრცე, კერძოდ, სასურველია სკამების დამატება, რადგან არსებული რაოდენობა საკმარისი არ არის სტუდენტებისთვის.	1. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობის ეზოში მდებარე სტუდენტური სივრცე მოეწყო 2022-2023 აკადემიური წლიდან. 2022-2023 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრიდან კი მცირე ხნით სივრცე გამოყენებულ იქნა ლექცია-სემინარების, საჯარო ლექციების ჩასატარებლად. შეფასების საპასუხოდ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის მხრიდან განხორციელდა კომუნიკაცია უნივერსიტეტის მმართველ გუნდთან და მათთან შეთანხმებით გადაწყდა, რომ 2023-2024 აკადემიური სასწავლო წლიდან აღნიშნულ სივრცეში არ ტარდება ლექცია-სემინარები. ამდენად უნივერსიტეტის ეზოში მდებარე სტუდენტური სივრცის სტუდენტების მიერ სარგებლობა სრულად აღდგენილია, მოხდა სივრცის გარემონტებაც. 2. სტუდენტების მოთხოვნა ეზოში არსებული სტუდენტური მოსასვენებელი სივრცის გამრავალფეროვნებასთან დაკავშირებით, გათვალისწინებულ იქნა და ამჟამად ადმინისტრაციული შენობის ეზოში განთავასებულია: 16 საქანელა სკამი, 2 მაგიდა სკამებით, ტენისის მაგიდა და 1 რბილი მოსასვენებელი დივანი.	სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი

			შედეგად, ამჟამად სტუდენტებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ გარე მოსასვენებელი სივრცით სარგებლობა.	
სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევა (სამართლის, განათლების, ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	ერთ-ერთი სტუდენტის მიერ დაფიქსირდა კომენტარი იმასთან დაკავშირებით, რომ სტუდენტურ ბაზაში მის მიერ დაწერილ განცხადებებზე რეაგირება ხორციელდება დაგვიანებით და მას ზოგჯერ უწევს შეხსენების მიზნით დარეკვა, რათა დროულად გაეცეს პასუხი მის მოთხოვნას.	სტუდენტის კომენტართან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტს აქამდე ემსახურებოდა სასწავლო პროცესის მართვის 2 მენეჯერი. 2023-2024 აკადემიური წლიდან, გარდა იმისა რომ განახლდა მენეჯერების შემადგენლობა, ასევე, მათ შემადგენლობას დაემატა კიდევ 1 მენეჯერი შესაბამისად ამჟამად სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მოქმედი პროგრამები გადანაწილებულია სასწავლო პროცესის მართვის 3 მენეჯერზე და ამ ცვლილებების შედეგად სტუდენტების მიერ შემოსულ განცხადებებზე არათუ დროულად (ფაკულტეტს აქვს ვალდებულება შემოსულ განცხადებებს უპასუხოს არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა), არამედ დროზე ადრეც ხორციელდება რეაგირება. შესაბამისად, გვაქვს მოლოდინი, რომ სტუდენტების მხრიდან აღნიშნულ საკითხზე უკმაყოფილება აღარ იქნება.	სამართლის, განათლების, ბიზნესის და ტექნოლოგების ფაკულტეტი
სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევა (სამართლის, განათლების, ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	სტუდენტების მხრიდან გამოიკვეთა კომენტარი, რომლის მიხედვით სასურველია სტუდენტური ბაზის ფინანსური გვერდი იყოს მეტად გამართული, კერძოდ, საფასურის გადახდის შემდეგ, უფრო ხშირად უნდა ხდებოდეს	სტუდენტურ ბაზაში არსებულ ფინანსურ გვერდზე, სტუდენტთა მიერ გადახდილი გადასახადისა და დარჩენილი დავალიანების შესახებ, ინფორმაციის შემოწმება და განახლება ხდებოდა კვირაში 2-ჯერ, თუმცა სტუდენტთა მხრიდან გამოკვეთილი რეკომენდაციების საფუძველზე 2023-2024 აკადემიური წლის დასაწყისიდან გაიზარდა საფასურის გადახდის გადამოწმება-განახლების სიხშირე	ფინანსური სამსახური

		სტუდენტურ ბაზაში ინფორმაციის განახლება, რომ სტუდენტებს დაზუსტებით ჰქონდეთ სწორი ინფორმაცია დარჩენილი დავალიანების შესახებ.	და აღნიშნული პერიოდიდან დასახელებული ინფორმაციის განახლება ხორციელდება ყოველდღიურად.	
სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევა (სამართლის, განათლების, ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი)	2022-2023 აკადემიური წელი	1. სტუდენტთა მხრიდან გამოიკვეთა, რომ სასურველია ზაფხულში უზრუნველყოფილ იქნას გაგრილების სისტემა სასწავლო აუდიტორიებში. 2. სტუდენტები გამოთქვამენ სურვილს, რომ განახლდეს აუდიტორიები. 3. ერთ-ერთი სტუდენტი გამოთქვამს სურვილს, რომ ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერების მაგიდაზე იყოს მაუსის ე.წ „დასაფენი“, რათა არ გაურთულდეთ მაუსის გამოყენება.	1. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის უნივერსიტეტის ყველა აუდიტორია არის უზრუნველყოფილი შესაბამისი გაგრილების სისტემით, თუმცა სტუდენტების მხრიდან აღნიშნული კომენტარის დაფიქსირების შემდგომ, საკითხი მოკვლეულ იქნა და დადგინდა, რომ ზოგიერთ აუდიტორიაში ნამდვილად იყო გაგრილების სისტემასთან დაკავშირებული პრობლემა. პრობლემის იდენტიფიცირებისთანავე შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან გადამოწმდა თითოეულ აუდიტორიაში კონდენციონერების გამართულობა და იმ აუდიტორიებში სადაც კონდენციონერები არ მუშაობდა გამართულად, მოხდა მათი გამოცვლა (ჯამში ივლისის ბოლოს და აგვისტოს დასაწყისში გამოიცვალა 6 კონდენციონერი და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუში არსებული ყველა კონდენციონერის დიაგნოსტირების შედეგად საჭიროებისამებრ შეკეთდა 12 კონდენციონერი). 2. სტუდენტის კომენტართან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი პერიოდულად უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურის განახლებით სამუშაობს (კედლების შეღებვა,	შესყიდვების და მატერიალურ ტექნიკური სამსახური

			მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლება), კერძოდ, 2023-2024 აკადემიური წლის დაწყებამდე უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (თბილისი, 0141, გურამიშვილის გამზ. 76) განახლდა ხუთამდე აუდიტორია, ასევე, გადაიღება ყველა სართულზე არსებული ფოიე. 2023-2024 აკადემიური წლის ბოლომდე დაგეგმილია კიდევ რამდენიმე აუდიტორიის გადაღებვა და იატაკის გამოცვლა. 3. სტუდენტის მიერ დაფიქსირებული კომენატრის საფუძველზე ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (თბილისი, 0141, გურამიშვილის გამზ. 76) არსებული ბიბლიოთეკის 14 კომპიუტერებისთვის მოხდა სპეციალური მაუსის პადების შეძენა, რათა სტუდენტებს კომპიუტერის მაუსის გამოყენებისას არ შეექმნათ დისკომფორტი.	
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრები	2022-2023 აკადემიური წელი	1. სტუდენტებმა ისაუბრეს ბიბლიოთეკაში არსებული ქართულენოვანი ლიტერატურის ეგზემპლიარების დამატების სურვილზე და გამოთქვეს ამ წიგნების გაელოქტრონულების და ბეჭდური სახით გამრავლების სურვილი. 2. სტუდენტებმა ისაუბრეს ბიბლიოთეკის სივრცეზე და ითხოვეს საბიბლიოთეკო სივრცის გაზრდა.	1. ბიბლიოთეკის ფონდში არსებული ყველა წიგნი, საავტორო უფლებების დაცვის გათვალისწინებით, ვერ იქნება ხელმისაწვდომი ელექტრონულად. რაც შეეხება, ქართულენოვანი სამედიცინო წიგნების დამატებას, უნდა აღნიშნოს, რომ 2022 წელს უნივერსიტეტის ბიბლითკას დაემატა 253 ერთეული ქართულენოვანი სამედიცინო მიმართულების სახელმძღვანელო. 2. სარაჯიშვილის 17-ში მეშვიდე სართულზე არსებული ბიბლიოთეკა მოიცავს 430 კვ.მ. ფართობს, სადაც ერთდროულად 120 სტუდენტის მოთავსებაა შესაძლებელი. თუმცა, სტუდენტების ნაწილი მაინც აფიქსირებს, რომ სურთ მეტი	ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

		3. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ბიბლიოთეკის კარადებში სხვა სტუდენტები ნივთებს დიდი ხნით ინახავენ, რის გამოც თავად ვერ ახერხებენ საკუთარი ნივთების დატოვებას ბიბლოთეკაში შესასვლელად.	სივრცე ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობისთვის. სწორედ ამ მიზნით, დაიგეგმა და განხორციელების პროცესშია ბიბლიოთეკის ინტერიერის შეცვლა, რის შედეგადაც, არსებული სივრცე იქნება ბევრად უფრო აკადემიური და სტუდენტების მოთხოვნებზე მორგებული. გამოყოფილი იქნება ადგილები ინდივიდუალური მუშაობისთვის, ჯგუფური მუშაობისთვის, ოთხი დახურული სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის და სივრცე კომპიუტერებისთვის. 3. რაც შეეხება, ბიბლიოთეკაში ადგილის დაკავებას, ნივთების დატოებას, საკითხზე მსჯელობის შემდეგ დაწესდა კონკრეტული რეგულაცია მსგავს შემთხვევებში. კერძოდ, თუ სტუდენტის ნივთები დატოვებული იქნება 15 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში, ბიბლიოთეკის თანამშრომელი ნივთებს შეინახავს განცალკევებით რათა სხვა სტუდენტებმა შეძლონ სივრცით სარგებლობა.	
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრები	2022-2023 აკადემიური წელი	1. სტომატოლოგიის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ კურაციების დროს მოკლე პერიოდში სტუდენტებს უწევთ დიდი მასალის მომზადება, რომელიც არ არის მცირე დროში დაძლევადი, მაგალითად ასეთ კურაციულ კურსად დაასახელეს - შინაგანი დაავადებები I. 2. სტუდენტებმა შეხვედრაზე აღნიშნეს, რომ პაციენტებთან ისურვებდნენ მეტ	1. პროგრამის კომიტეტის სხდომაზე დაიგეგმა შესაბამისი საგნის ლექტორებთან კომუკაცია და მათი დახმარებით სილაბუსში ასახული საკითხების რაოდენობისა და სიღრმის შემცირება სპეციალობის გათვალისწინებით. საგანი არის მეექვსე სემესტრის, მისი შეცვლა მთელი სემესტრის მანძილზე მიმდინარე საგნად შეუძლებელია. ასევე სემესტრის ხანგრძლივობიდან გამომდინარე შეუძლებელია კურაციის ხანგრძლივობის გაზრდაც. აქედან გამომდინარე გადაწყდა კორექტივების შეტანა სილაბუსით ასათვისებელი მასალის მოცულობაში, იმის გათვალისწინებით რომ აღნიშნულმა ცვლილებებმა არ	მედიცინის ფაკულტეტი

		შეხებას. 3. სტუდეტებმა ისაუბრეს აკადემიურ კალენდართან დაკავშირებით, კერძოდ, სასწავლო პროცესის გვიან დასრულებაზე და გამოთქვეს სურვილი კალენდარი შეიქმნას იმგვარად, რომ სასწავლო პროცესი უფრო ადრე დასრულდეს. 4. სტუდენტებმა ისაუბრეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში საგამოცდო შედეგების გვიან ასახვის საკითხებზე და პროცესის დასაჩქარებლად გამოთქვეს გამოცდების სწრაფად გაელექტრონულების სურვილი. 5. სტომატოლოგიის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა ისაუბრეს უნვიერსიტეტის ინფრასტრუქტურასა და მატერიაულურ-ტექნიკურ საკითხებზე. მათი თქმით 102-ე ოთახში დაზიანებულია მე-2 და მე-3 ბორმანქანა ასევე დაზიანებუილა მე-3 სავარძელი, ამასთანავე აღინიშნა, რომ რიგ შემთხვევებში ბორმანქანების წნევა არ იყო საკმარისი დავალების შესასრულებლად, მე-2 სართულზე საჭიროა	გამოიწვია სასწვალო კურსით განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების კორექტირება. 2. 2023 წლის შემოდგომის სემესტრიდან იგეგმება საუნივერსიტეტო კლინიკის გახსნა სადაც სტუდენტებს საშუალება ექნებათ ჩაატარონ მკურნალობა პედაგოგის მეთვალყურეობის ქვეშ. 3. სტუდანტთა ეს მოსაზრება უკვე გათვალისწინებულია და განსხვავებით გასული წლისგან, 2023-2024 აკადემიური წელი იწყება ერთი თვით ადრე, 25 სექტემბრიდან. გარდა ამისა, ზამთრის არდადეგებიც არის მცირეხნიანი და შესაბამისად სასწავლო წელი სრულდება გაცილებით ადრე, კერძოდ, 2024 წლის 3 აგვისტოს. 4. შემუშავდა და უკვე დაიტესტა ელექტრონული საგამოცდო სისტემა, რომელიც ჩაეშვება 2023-2024 საშემოდგომო სემესტრიდან. კომპიუტერების შეძენის საკითხიც უკვე დადასტურებულია. 5. სტომატოლოგიური სიმულაციური ცენტრის ლაბორანტებს მიეცათ შესაბამისი დავალება რომ აღმოიფხვრას ეს პრობლემა სამეურნეო სამსახურის ჩართულობით. 15 აუდიტორიაში განთავსდა თანამედროვე ე.წ სმარტ დაფები რაც ერთდროულად ასრულებს დაფისა და პროექტორის ფუნქციას. 6. მედიცინის კორპუსში არსებული ბიბლიოთეკა მოიცავს 430 კვ.მ. ფართობს, სადაც ერთდროულად 120 სტუდენტის მოთავსებაა შესაძლებელი. თუმცა, სტუდენტების ნაწილი მიანც აფიქსირებს, რომ სურდათ მეტი სივრცე ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობისთვის. სწორედ ამ მიზნით, დაიგეგმა და განხორციელების პროცესშია	

		ფარდებისა და სამუშაო დაფების განახლება. 6. სტუდენტებმა ასევე, ისაუბრეს ბიბლიოთეკის სივრცეზე და ითხოვეს საბიბლიოთეკო სივრცის გაზრდა. 7. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ კონკტერული საგნების/პრაქტიკული კურსების გამოცდას ადგენს არა მათი ლექტორი, არამედ სხვა პირი, შესაბამისად, გამოცდაზე შედის ისეთი საკითხები, რომლებიც მათ აქამდე არ გაუვლიათ და ითხოვეს ამ საკითხს მიექცეს მეტი ყურადღება. სტუდენტებმა ასევე ისაუბრეს სხვადასხვა სირთულის საგამოცდო საკითხებზე, მათ აღნიშნეს, რომ ვარიანტები მნიშვნელოვანად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან და გამოთქვეს სურვილი ერთნაირი სირთულის საკითხებით შედგეს ყველა ვარიანტი. 8. ფსიქოლოგიის სტუდენტებმა ისაუბრეს საგნების არჩევასთან დაკავშირებით გამოვლენილ საკითხებზე - ამჟამად მათთვის მხოლოდ მედიცინის პროგრამის საგნებია ხელმისაწვდომი და აღარ აქვთ საშუალება (მათი აზრით ტექნიკური	ბიბლიოთეკის ინტერიერის შეცვლა, რის შედეგადაც, არსებული სივრცე იქნება ბევრად უფრო აკადემიური, მოქნილი და მორგებული სტუდენტების მოთხოვნების შესაბამისად. გამოყოფილი იქნება სივრცეები ინდივიდუალური მუშაობისთვის, ჯგუფური მუშაობისთვის, ოთხი დახურული სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის და სივრცე კომპიუტერებისთვის. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში უკვე დაიწყო სარემონტო სამუშაოები, რომელიც სემესტრის დასაწყისისთვის დასრულდება და მთელი საბიბლიოთეკო სივრცე მოეწყობა თანამედროვე სტანდარტებით. 7. ერთი და იგივე სასწავლო კურსის ფარგლებში ყველა ლექტორი მიყვება ერთსადა იმავე სილაბუსს, შესაბამისად შუალედური და დასკვნითი გამოცდების საკითხები ყველა ჯგუფისთვის არის საერთო. საგამოცდო საკითხებს ადგენენ ლექტორები, ახდენენ თავიანთი კოლეგების მიერ შედგენილი საკითხების გადახედვას საჭიროების შემთხვევაში კორექტირებას და საბოლოოდ კურსის ყველა განმახორციელებელი ლექტორის მიერ დადასტურებული შეკითხვების/ტესტებისგან ხდება სხვადასხვა ვარიანტების შემუშავება. ყოველთვის როდესაც იწყება ტესტებზე მუშაობას ხდება ყველა ლექტორის ჩართულობა, გათვალისწინებულია ყველა ლექტორის. სტანდარტიზაციის პროცესი სტომატოლოგიის პროგრამაზე სწორედ ამას უწყობს ხელს, რომ ვარიანტები იყოს მაქსიმალურად ერთნაირი სირთულის. ასეთი პრობლემა იდგა მაშინ როდესაც ერთსა და იმავე საგანში ჯგუფებს თავიანთი ლექტორის საგამოცდო	

		სირთულეების გამო) სხვა ფაკულტეტიდან მათთვის უფრო საინტერესო სასწავლო კურსები აირჩიონ, როგორც არჩევითი სასწავლო კურსები. 9. დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა დაასახელეს საგნები: გენი, უჯრედი და ქსოვილი 4, იმუნოლოგია, მიკრობიოლოგია, რომლებშიც შუალედურ გამოცდაზე შეხვდათ ისეთი კლინიკური საკითხები, რაც აქამდე არ ჰქონდათ გავლილი. მათი თქმით, საკითხები სილაბუსთან შესაბამისი იყო, თუმცა გამოცდაზე სხვა ჯგუფის სტუდენტების ლექტორის, მიერ შედეგნილი საგამოცდო საკითხები მოვიდა, რომელსაც შედარებით მეტი მასალა ჰქონდა ახსნილი თავიანთ ლექტორთან შედარებით. ამდენად, გამოთქვეს სურვილი მხოლოდ მათი ლექტორის მიერ შედგენილი საკითხები მოდიოდეს გამოცდაზე.	საკითხები ჰქონდათ, რადგან ყველა ლექტორი სხვადასხვა სირთულის საკითხებს ადგენდა. ახლა როდესაც ხდება სხვადასხვა ლექტორების საკითების გაერთიანება და შერევა, უზრუნველყოფილია ყველა ვარიანტის თანაბარი სირთულე. 8. ამ საკითხის ხელისშემშლელი ფაქტორი აქამდე ის იყო, რომ უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტები, განსხვავებული აკადემიური კალენდრით ხელმძღვანელობდნენ. ამ ეტაპზე კი ყველა ქართულენოვანი პროგრამა ერთსა და იმავე დროს 25 სექტემბერს დაიწყებს სწავლას და შესაბამისად სტუდენტებიც შეძლებენ სხვადასხვა საფაკულტეტო სასწავლო კურსის არჩევას. 9. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოხდა დეკანის და პროგრამის ხელმძღვანელის შეხვედრა როგორც სტუდენტებთან ასევე ამ საგნის ორივე განმახორციელებელთან შედეგად, დასკვნით გამოცდებზე მსგავსი პრობლემები არ დაფიქსირებულა.	
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მედიცინის ფაკულტეტის	2022-2023 აკადემიური წელი	1. სტუდენტებმა მატერიალურ-ტექნიკურ საკითხთანდ დაკავშირებით აღნიშნეს, რომ	1. უნივერსიტეტში გაგრილების სისტემა მოწესრიგდა სრულად, ასევე კომპეტენტური პირის მიერ გაკეთდა დადებითი დასკვნა ორივე კორპუსის შემთვევაში (მიმდინარე წლის ივლისი-	შესყიდვების და მატერიალურ ტექნიკური სამსახური

სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრები		საგამოცდო აუდიტორიაში კონდიცირება გაუმართავია, ასევე, იგივე პრობლემა დასახელდა ორივე კორპუსის (სარაჯიშვილი და გურამიშვილი) სალექციო აუდიტორიებშიც. 2. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მე-2 სართულზე საჭიროა ფარდებისა და სამუშაო დაფების განახლება, 409-ე აუდიტორიაში პროექტორისათვის განკუთვნილ ფარდაზე წარწერებია და გამოსახულების აღქმა შეუძლებელია.	ნოემბრის მდგომარეობით). 2. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად შეძენილ იქნა ელექტრონული დაფები, რამაც გამორიცხა დაფებისა და მარკერების შეძენა/განახლების საკითხი. რაც შეეხება 409-ე აუდიტორიას, აუდიტორიაში დამონტაჟებულია დიდი ტელევიზორი. შესაბამისად პროექტორისა და პროექტორის ეკრანის მოწესრიგების/შეცვლის არსებობის საჭიროება არ დგას;	
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრების შემაჯამებელი ანგარიში	2022-2023 აკადემიური წელი	სტუდენტებმა გამოთქვეს უკმაყოფილება სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ცენტრის მიერ გაგზავნილ ვაკანსიებთან დაკავშირებით. მათ დაადასტურეს, რომ ვაკანსიები ეგზავნებათ, მაგრამ მიაჩნიათ, რომ აღნიშნულს აქვს ფორმალური ხასიათი. მათი აზრით, კარგი იქნებოდა, უფრო მეტად მომხდარიყო ვაკანსიების მოძიება ვეტერინარიის მიმართულებით, რადგან, როგორც იციან, ბევრი კლინიკა ეძებს დამხმარე ვეტერინარს.	სტუდენტების კომენტართან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის მიერ გაზიარებული ვაკანსიები სტუდენტებს უწყვეტ რეჟიმში მიეწოდებათ, როგორც ელ. ფოსტის, ასევე, სოციალურ ქსელებში არსებული ჯგუფების საშუალებით. სტუდენტების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებების შემდეგ იმის შესახებ, რომ ვაკანსიების გაზიარება ხდებოდეს სპეციალობების მიხედვით, ცენტრი ახდენს ვაკანსიების სელექცირებას პროგრამების მიხედვით და სტუდენტები ელ. ფოსტაზე იღებენ მხოლოდ მათი სპეციალობის შესაბამის ვაკანსიებს. ასევე, სოციალურ ქსელში არსებულ ჯგუფებში გაზიარებულ ვაკანსიებშიც ვაკანსიის დასაწყისში „ჰეშთეგით“ არის მითითებული შესაბამისი ვაკანსიის სახელწოდება, რათა	სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი

			სტუდენტებისთვის მარტივი იყოს მათთვის სასურველი და საინტერესო ვაკანსიის პოვნა დაინტერესების შემთხვევაში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრი მუდმივად გეგმავს და ატარებს სხვადასხვა აქტივობებს, ღონისძიებებს, სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად. ტარდება ტრენინგები სტუდენტებისთვის რეზიუმეს მომზადებისა და ინტერვიუებისთვის სტუდენტთა მომზადების მიმართულებით. ამასთანავე, ცენტრი სტუდენტებს სთავაზობს ინდივიდუალურ კარიერულ კონსულტაციას, რომლის ფარგლებშიც, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, ინდივიდუალურად მიიღონ ინფორმაცია რეზიუმესა და სამოტივაციო წერილის შედგენის, გასაუბრებისთვის მომზადების, სამუშაო გარემოსთან ადაპტაციისა თუ სხვა კარიერული საკითხების შესახებ. კონსულტაციები ტარდება როგორც ფიზიკურად, ისე ონლაინ ფორმატში. მომსახურების ცენტრი სტუდენტებისთვის პერიოდულად ატარებს კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევას, სადაც სტუდენტები აფიქსირებენ მოთხოვნებს მათთვის საინტერესო და საჭირო აქტივობების შესახებ, ცენტრი მათი მოთხოვნების შესაბამისად გეგმავს შესაბამის ღონიძიებებს.	
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებთან განხორციელებ	2022-2023 აკადემიური წელი	1. სტუდენტები მიიჩნევენ, რომ ზოგადი საყურადღებო საკითხია სასწავლო ბაზაში ქულების დროულად შეყვანა. ხშირ შემთხვევაში, მათ არ აქვთ	1. აღსანიშნავია, რომ თითოეული სასწავლო კურსის განმახორციელებლს აქვს ვალდებულება ყოველკვირეულად (ლექციის ჩატარებიდან, მომდევნო ლექციამდე) სტუდენტთა ელექტრონულ ბაზაში ასახოს სასწავლო კურსის სილაბუსით	სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი

ული შეხვედრების შემაჯამებელი ანგარიში		დროული უკუკავშირი ქულების შესახებ და არ იციან, რამდენი ქულა დააგროვეს შუალედურ თუ დასკვნით გამოცდებამდე. 2. ვეტერინარიის ინტეგრირებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთ სასწავლო კურსთან (ბიომათემატიკა) დაკავშირებით სტუდენტები მიიჩნევენ, რომ სრულად მათემატიკის საგანია და არაფერი აქვს საერთო ბიოლოგიასთან. ასევე აღინიშნა, რომ ლექტორი მცოდნეა, თუმცა სათანადოდ არ ხსნიდა მასალას, რის გამოც სტუდენტებს გაუჭირდათ სასწავლო კურსის დაძლევა. სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ სასწავლო კურსი მეტად უნდა მოვიდეს შესაბამისობაში ვეტერინარიის პროგრამასთან. 3. ვეტერინარიის ინტეგრირებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთ სასწავლო კურსთან (მცენარეთა ბიოლოგია), მიმართებით სტუდენტები მიიჩნევენ, რომ სასწავლო კურსი არ	განსაზღვრულ თითოეულ აქტივობაში სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება. თითოეულ სილაბუსში დეტალურად არის განსაზღვრული შეფასების კომპონენტები და კომპონენტებისათვის მისანიჭებელი ქულები. სილაბუსით განსაზღვრული აქტივობები რომელიც ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით დეტალურად არის ასახული სასწავლო კვირებში (სილაბუსის დანართი 1), რომლის მიხედვითაც სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი ამზადებს უწყისს. ასევე, მენეჯრის მხრიდან ყოველკვირეულად მოწმდება ამა თუ იმ აქტივობისთვის განსაზღვრული ქულის უწყისში ასახვა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ უწყისში არ არის შეტანილი კონკრეტული აქტივობის ქულა მენეჯერი ლექტორს უკავშირდება მიზეზების დასადგენად. უნდა აღინიშნოს, რომ სავეტერინარო მედიცინის სტუდენტებთან შეხვედრისას დაფიქსირებული, ქულების უწყისში დაგვიანებით ასახვის, საკითხი მოკვლეულ იქნა და როგორც მოკვლევისას გამოვლინდა, მართლაც გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსების განმახორციელებელ ლექტორთა უმრავლესობის მხრიდან ხდებოდა უწყისში ქულების დაგვიანებით შეტანა, რაც გამოწვეული იყო სხვადასხვა ობიექტური მიზეზით (ჯანმრთელობასთან დაკავშრებული პრობლემა, საზღვარგარეთ ვიზიტი, ტექნიკური ხარვეზით გამოწვეული პრობლემა და სხვა პირადი მიზეზები). მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერების მხრიდან ყოველი კვირის ბოლოს განხორციელებული შემოწმების	

		უნდა იყოს ძირითადი საგნების სიაში, რადგან შესაძლოა ვეტერინარს იშვიათ შემთხვევაში გამოადგეს საგნის ცოდნა, ხოლო, თუ აღნიშნული სასწავლო კურსი დარჩება სავალდებულო სასწავლო კურსების სიაში, სასურველი იქნება მეტად მოერგოს ვეტერინარიის პროგრამას, რადგან ახლა მხოლოდ ბიოლოგიაა.	შედეგად, უწყისში ქულების ველის შეუვსებლობის შემთხვევაში მყისიერად ხდებოდა ლექტორებთან კომუნიკაცია მათი მხრიდან ქულების უმოკლეს ვადებში ატვირთვის მოთხოვნით. 2023-2024 აკადემიური წლის დასაწყისში სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მხრიდან განხორციელდა კომუნიკაცია თითოეული სასწავლო კურსის განმახორციელებელ პერსონალთან და მათ კიდევ ერთხელ განემარტათ რაოდენ მნიშვნელოვანია, სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტთა მიერ მიღებული შეფასებების სასწავლო ბაზაში დროულად ატვირთვა. ლექტორების მხრიდან უწყისში ქულების დროულად შეტანის კონტროლი განხორციელდება, როგორც სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის, ისე დეკანის მხრიდან და ქულის ატვირთვის დაგვიანების შემთხვევაში მოხდება ლექტორთან მყისიერი კომუნიკაცია. ხოლო, თუ ერთეულ შემთხვევებში, ლექტორის მხრიდან ობიექტური მიზეზის ქონის შემთხვევაში, ვერ მოხერხდება ქულების ყოველკვირეულად უწყისში ასახვა, სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე, ლექტორები პირადად აცნობებენ მათთვის კონკრეტულ აქტივობაში მინიჭებულ შეფასებებს. 2. უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსი „ბიომათემატიკა“ მეტად მნიშვნელოვანია ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის, რადგან აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად მაგისტრანტს ევალება კვლევითი კომპონეტის შესრულება, ამ უკანასკნელს კი	

			სჭირდება როგორც რაოდენობრივი და ისე თვისობრივი კვლევების ჩატარება, სტატისტიკური მონაცემების მოგროვება და დამუშავება. როგორც ჩანს, ზოგიერთი სტუდენტი ვერ ჩაწვდა აღნიშნული სასწავლო კურსის მნიშვნელობას, ზოგიერთი პრეკლინიკური და კლინიკური სასწავლო კურსების შესწავლის საჭიროებისათვის. ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2022 წლის 7 ივლისს და აღნიშნულ სასწავლო კურსის თემატიკასთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ გაცემულა, რადგან, სასწავლო კურსის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა ყველა ის თემა რის შესწავლასაც ითვალისწინებს ბიომათემატიკა. მიუხედავად ამისა, რადგან სტუდენტთა მხრიდან გამოიკვეთა რეკომენდაციები სასწავლო კურსის თემატიკასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელებისა და სასწავლო კურსის განმახორციელებლის მხრიდან კიდევ ერთხელ გადაიხედა თემატიკა და დადგინდა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსის თემატიკა სრულ შესაბამისობაშია როგორც სასწავლო კურსის, ისე საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებთან. ხოლო რაც შეეხება მოწვეული ლექტორის მალხაზ ბიბილურის მიერ სასწავლო კურსის: „ბიომათემატიკა“ სწავლების ხარისხის შესამოწმებას, უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში მოხდა სააუდიტორიო მუშაობის შეფასება (რომელიც ხორციელდება ყველა ახლად	

			აყვანილი ლექტორის შემთხვევაში), ლექციას დაესწრო შემფასებელთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი და „ვეტერინარიის“ ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, რომელთა მხრიდან ლექტორის მიერ ჩატარებული ლექცია დადებითად იქნა შეფასებული. 3. უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსი „მცენარეთა ბიოლოგია“ მეტად მნიშვნელოვანია ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის, რადგან ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს სხვა ძირითადი საკითხების ცოდნასთან ერთად ევალება ფლობდეს ინფორმაციას: მწვანე მცენარეების აგებულების, კლასიფიკაციის, ზრდა-განვითარებისა და კვების თავისებურებების, ფიზიოლოგიური პროცესების ელემენტების, გამრავლების თავისებურებების, ვეგეტატიური და რეპროდუქციული ორგანოების, ყვავილის დამტვერვისა და განაყოფიერების სპეციფიკის, ნაყოფისა და თესლის მორფოლოგიისა და კლასიფიკაცის, ფოტოსინთეზური პროცესების შესახებ. ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2022 წლის 7 ივლისს და ზოგადი/თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსებიდან აღნიშნული საგნის ამოღებასთან დაკავშირებით ან/და აღნიშნულ სასწავლო კურსის თემატიკის	

			ცვლილების საჭიროებასთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ გაცემულა, რადგან, სასწავლო კურსის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა ყველა ის თემა რის შესწავლასაც ითვალისწინებს მცენარეთა ბიოლოგია. მიუხედავად ამისა, რადგან სტუდენტთა მხრიდან გამოიკვეთა რეკომენდაციები სასწავლო კურსის თემატიკასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელებისა და სასწავლო კურსის განმახორციელებლის მხრიდან კიდევ ერთხელ გადაიხედა თემატიკა და დადგინდა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსის თემატიკა სრულ შესაბამისობაშია როგორც სასწავლო კურსის, ისე საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებთან.	
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრების შემაჯამებელი ანგარიში	2022-2023 აკადემიური წელი	სტუდენტებმა გამოთქვეს უკმაყოფილება სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ცენტრის მიერ გაგზავნილ ვაკანსიებთან დაკავშირებით. ისინი მიიჩნევენ, რომ აღნიშნულს აქვს ფორმალური ხასიათი. მათი აზრით, კარგი იქნებოდა, მათთან ვაკანსიები გაზიარებულიყო პროგრამების (სპეციალობების) მიხედვით.	სტუდენტების კომენტართან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის მიერ გაზიარებული ვაკანსიები სტუდენტებს უწყვეტ რეჟიმში მიეწოდებათ, როგორც ელ. ფოსტის, ასევე, სოციალურ ქსელებში არსებული ჯგუფების საშუალებით. სტუდენტების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებების შემდეგ იმის შესახებ, რომ ვაკანსიების გაზიარება ხდებოდეს სპეციალობების მიხედვით, ცენტრი ახდენს ვაკანსიების სელექცირებას პროგრამების მიხედვით და სტუდენტები ელ. ფოსტაზე იღებენ მხოლოდ მათი სპეციალობის შესაბამის ვაკანსიებს. ასევე, სოციალურ ქსელში არსებულ ჯგუფებში გაზიარებულ ვაკანსიებშიც ვაკანსიის დასაწყისში „ჰეშთეგით“ არის მითითებული შესაბამისი ვაკანსიის სახელწოდება, რათა სტუდენტებისთვის მარტივი იყოს	სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი

			მათთვის სასურველი და საინტერესო ვაკანსიის პოვნა დაინტერესების შემთხვევაში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრი მუდმივად გეგმავს და ატარებს სხვადასხვა აქტივობებს, ღონისძიებებს, სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად. ტარდება ტრენინგები სტუდენტებისთვის რეზიუმეს მომზადებისა და ინტერვიუებისთვის სტუდენტთა მომზადების მიმართულებით. ამასთანავე, ცენტრი სტუდენტებს სთავაზობს ინდივიდუალურ კარიერულ კონსულტაციას, რომლის ფარგლებშიც, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, ინდივიდუალურად მიიღონ ინფორმაცია რეზიუმესა და სამოტივაციო წერილის შედგენის, გასაუბრებისთვის მომზადების, სამუშაო გარემოსთან ადაპტაციისა თუ სხვა კარიერული საკითხების შესახებ. კონსულტაციები ტარდება როგორც ფიზიკურად, ისე ონლაინ ფორმატში. მომსახურების ცენტრი სტუდენტებისთვის პერიოდულად ატარებს კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევას, სადაც სტუდენტები აფიქსირებენ მოთხოვნებს მათთვის საინტერესო და საჭირო აქტივობების შესახებ, ცენტრი მათი მოთხოვნების შესაბამისად გეგმავს შესაბამის ღონიძიებებს.	
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტებთან	2022-2023 აკადემიური წელი	1. განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი სტუდენტი აცხადებს, რომ პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით დადგენილი კრედიტების	1. სტუდენტის მიერ დაფიქსირებული საკითხი მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული და რეაგირების განხორციელების მიზნით არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკს დაემატა, შემდეგი სასწავლო კურსი: „ინტერკულტურული განათლება და პედაგოგიური მიდგომები“, (კრედიტების რაოდენობა - 3	სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

განხორციელებული შეხვედრების შემაჯამებელი ანგარიში		განაწილების გამო, მისთვის სასურველი სასწავლო კურსის არჩევა ვერ შეძლო, რადგან კრედიტების გადაჭარბება გამოსდიოდა. სტუდენტის აზრით, სასურველია სასწავლო კურსების კრედიტების გადახედვა და ზოგიერთ ძირითად საგანზე მცირედით კრედიტების შემცირება, რის ხარჯზეც შესაძლებელი იქნება გაიზარდოს არჩევითი საგნების ჯამური კრედიტების მოცულობა და სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცეთ აირჩიონ მათთვის სასურველი სასწავლო კურსი. 2. საერთაშორისო ურთიერთობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები ისურვებდნენ, რომ ხორციელდებოდეს ვიზიტები საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციაში.	ECTS), ამ სასწავლო კურსის ჩამატება სტუდენტებს მისცემს მრავალფეროვანი არჩევანის საშუალებას, არჩევითი სასწავლო კურსების შერჩევისას. მათ ექნებათ შესაძლებლობა აირჩიონ მათთვის სასურველი, კონკრეტული სასწავლო კურსები, ისე რომ არ ჰქონდეთ კრედიტების ნაკლები, ან გადაჭარბებული ოდენობა. მოცემულ სიტუაციაში ეს რეაგირება ჩაითვალა გონივრულად, ხოლო სტუდენტის მიერ დაფიქსირებული რეკომენდაციის გათვალისწინება, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის კრედიტების შემცირებასთან დაკავშირებით, ვერ განხორციელდებოდა, რადგან თითოეული ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა დადგენილია კურსის ფარგლებში შესასწავლი საკითხების ჯეროვნად ასათვისებლად საჭირო დროის მიხედვით, შესაბამისად კრედიტების შემცირება ვერ განხორციელდა. 2. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა პერიოდულად ეწვიონ ისეთი ტიპის ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობა უკავშირდება საერთაშორისო ურთიერთობების დარგს. მაგალითისთვის შეიძლება ითქვას, რომ 2023 წლის 2 ივნისს საერთაშორისო ურთერთობების პროგრამის სტუდენტები სასწავლო ვიზიტით ეწვივნენ საქართველოს დაზვერვის სამსახურს. სტუდენტებთან შეხვედრას საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი, შალვა ლომიძე და მისი მოადგილე, გიორგი (გიგი) ლილუაშვილი წარუძღვნენ,	

			რომელიც, ამავდროულად, ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების მიმართულებით, ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი გახლავთ (სასწავლო კურსების: „საერთაშორისო უსაფრთხოების თეორიები“, ეროვნული უსაფრთხზოების პოლიტიკა“ საერთაშორისო ტერორიზმი“ განმახორციელებელი პერსონალი). შეხვედრის ფარგლებში, სტუდენტებმა ინფორმაცია მიიღეს სადაზვერვო სამსახურის მუშაობის ანალიტიკური და ოპერატიული ასპექტების შესახებ, გაეცნენ სამსახურის სამუშაო გარემოსა და ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებულ საკანონმდებლო, ინფრასტრუქტურულ და სტრუქტურულ რეფორმებს. ამას გარდა ვიტიზმა სტუდენტებს მისცა საშუალება, უსაფრთხოების სპეციალისტებთან რეგიონში მიმდინარე პროცესებსა და გლობალური უსაფრთხოების საკითხებზე ინტერაქციული დისკუსია წარემართათ. ბმული: https://www.eu.edu.ge/ge/news/2103-evropis-universitetis-studentebi-sascavlo-vizitit-sakartvelos-dazervis-samsakhurs ასევე, 2023 წლის 3 ნოემბერს ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად იმყოფებოდნენ საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში, სადაც ისინი დაესწრენ პრეზიდენტის მიერ გამართულ შეხვედრას, სახელწოდებით: „დიპლომატიის დღე სტუდენტებთან ერთად“. აღნიშნული შეხვედრის პროცესში საქართველოს პრეზიდენტმა მიმართა სტუდენტებს,	

			პრეზიდენტმა სიტყვით მიმართვაში ყურადღება გაამახვილა საქართველოში დიპლომატიის არსებული ტრადიციების შესახებ, იმ დრომდე და მის შემდეგ, როცა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ანუ პირველ რესპუბლიკად ჩამოყალიბდა. პრეზიდენტმა სტუდენტებს კიდევ ერთხელ განუმარტა რამდენად მნიშვნელოვანია დიპლომატიის როლი ჩვენი ქვეყნის სახელის სხვა ქვეყნებისთვის გაცნობისა და მათგან მხარდაჭერის მოპოვების გზაზე. შეხვედრის ფორმატში სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეკითხვები დაესვათ პრეზიდენტისთვის. ბმული: https://president.ge/index.php?m=206&appeals_id=358 უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის უნივერსიტეტი სტუდენტების პროფესიული ორიენტაციის მხარდასაჭერად მსგავს სასწავლო ვიზიტებს რეგულარულად მართავს, რაც მათ აძლევთ საშუალებას, შეხვდნენ სფეროს მოწინავე პრაქტიკოსებს და გაეცნონ რელევანტური საქმიანობის წარმმართველი უწყებებისა თუ ორგანიზაციების სამუშაო სფეციფიკას, ეს ტრადიცია გაგრძელდება მომავალშიც. დაგეგმილი ვიზიტების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან უზიარდებათ ელ. ფოსტის საშუალებით.	
საერთაშორისო მობილობით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა	2022-2023 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი	საერთაშორისო მობილობით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სამართლის,	იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტის შეფასებაში არ არის დაკონკრეტებული უკმაყოფილების მიზეზი საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენლის მხრიდან განხორციელდა	საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

		განათლების, ბიზნესისა და ტექნლოგიების ფაკულტეტის ერთ-ერთი საგანმანათლებლო პროგრამის (საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) სტუდენტი, რომელმაც ისარგებლა საერთაშორისო მობილობის პროგრამით, აფიქსირებს დაბალ შეფასებებებს.	სტუდენტთან სატელეფონო კომუნიკაცია, რომელიც მიზნად ისახავდა სტუდენტის საბოლოო უკმაყოფილების მიზეზების დადგენას, რადგან, მობილობის პროცესში საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენელი მუდმივ კომუნიკაციაში იყო სტუდენტთან (უწევდა დახმარებას სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით) და სტუდენტის მხრიდან არ დაფიქსირებულა რაიმე პრობლების არსებობა. სატელეფონო საუბრისას სტუდენტმა დაადასტურა, რომ მას არ ჰქონია გამგზავნი ან დამხვედრი უნივერსიტეტებით უკმაყოფილების მიზეზი. უნდა აღინიშნოს, რომ საუბრის პროცესში, მას განემარტა კითხვარის შინაარსი და დანიშნულება. რის შემდეგაც, სტუდენტმა აღნიშნა, რომ კითხვარის შინაარსიდან გამომდინარე მისი შეფასება ნამდვილად არ იყო რელევანტური, კერძოდ, კითხვარის შედეგების მიხედვით, მისი დაბალი შეფასება მიემართებოდა გამგზავნ და მასპინძელ უნივერსიტეტებს, რაც სტუდენტს არ უგულისხმია, რადგან მისი უკმაყოფილება მობილობის პროცესის ორგანიზებას არ ეხებოდა, მისი თქმით მობილობის პერიოდში, ჰქონდა მძიმე ფსიქოლოგიური პრობლემები, რაც უცხო ქვეყანაში ყოფნამ კიდევ უფრო გაამძაფრა და ამის ფონზე 2 სასწავლო კურსში მიიღო F შეფასება, შესაბამისად საბოლოოდ ის უკმაყოფილო იყო მობილობით, მაგრამ ეს არ უკავშირდება გამგზავნი ან დამხვედრი უნივერსიტეტების მიერ პროცესების ორგანიზებასა და წარმართვას.	

დასკვნითი გამოცდების პროცესით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზი	2022-2023 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი	გამოკითხული სტუდენტების უმცირესობა, 12.5% ეთანხმება (4 ქულა), მოსაზრებას, რომ საგამოცდო ცხრილი იყო კარგად შედგენილი (გამოცდები არ ემთხვეოდა ერთმანეთს), 16.67% ნეიტრალურად აფასებს (3 ქულა), ხოლო 70.83% არ ეთანხმება აღნიშნულს.	საგამოცდო ცხრილის დამთხვევის თავიდან ასაცილებლად ბაზაში ჩაშენდა პროგრამა, რითიც საგამოცდო ცენტრს შეუძლია ცხრილის აწყობის პროცესში დააიდენტიფიციროს აქვს თუ არა ჯგუფს დამთხვევა.	საგამოცდო ცენტრი
სტუდენტთა და გამომცდელთა გამოკითხვა ოსკის (OSCE) გამოცდების შეფასებასთან დაკავშირებით (დასკვნითი გამოცდები)	2022-2023 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი	რეკომენდირებულია გადაიხედოს დროები როგორც ოსკის სრული გამოცდისთვის, ასევე ინდივიდუალური სადგურებისთვის	ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა გულისხმობს გარკვეულ დროში სხვადასხვა მანიპულაციის შესრულების უნარების შემოწმებას. სიმულაციურ ცენტრში გამოცდის დროის განსაზღვრა ხდება როგორც ლექტორის, ასევე სტუდენტის მიერ ცალკეული დავალების შესრულების საშუალო დროის განსაზღვრით. გარკვეულ შემთხვევებში სტუდენტების ის ნაწილი, რომელიც მეცადინეობებს არ ესწრებიან და არ ფლობენ მანიპულაციის შესრულების ტექნიკას, რასაკვირველია დროში ვერ ასწრებენ დავალების შესრულებას. ყოველი გამოცდის შემდეგ სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი ან/და მისი მოადგილე ხვდება სტუდენტებს და იღებს მათგან უკუკავშირს მათ შორის დროსთან დაკავშირებით, სტუდენტების ნაწილი ხშირ შემთხვევაში დროზე ადრეც ასრულებს დავალებას. ვინაიდან სტუდენტების გარკვეულ ნაწილს კვლავ ჰქონდათ უკმაყოფილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საგამოცდოდ წინასწარ განსაზღვრული დროები კიდევ ერთხელ იქნა განხილულ	სიმულაციური ცენტრი

			სწავლების და შეფასების კომიტეტთან, ასევე განმახორციელებლებთან და მოხდა მათი მხრიდან მიღებული რეკომენდაციების გათვლისწინება. დამატებით გაზაფხულის სემესტრში განხორციელდა ლექტორებთან შეხვედრა და მათ მიეცათ მითითება, რომ სასემინარო მეცადინიობების დროს სტუდენტები ავარჯიშონ ლიმიტირებულ დროში დავალებების შესრულებაზე.	
შუალედური გამოცდების პროცესით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზი	2022-2023 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი	საგამოცდო ცხრილების შეფასებისას სტუდენტების 53.7% (29) ეთანხმება ან სრულად ეთანხმება, რომ საგამოცდო ცხრილი იყო კარგად შედგენილი (გამოცდები არ ემთხვეოდა ერთმანეთს და ა.შ.), ნეიტრალურად აფასებს 12.96% (7) და სტუდენტების მესამედი არ ეთანხმება ან სრულად არ ეთანხმება მოსაზრებას, 33.33% (18).	საგამოცდო ცხრილის დამთხვევის თავიდან ასაცილებლად ბაზაში ჩაშენდა პროგრამა, რითიც საგამოცდო ცენტრს შეუძლია ცხრილის აწყობის პროცესში დააიდენტიფიციროს აქვს თუ არა ჯგუფს დამთხვევა, შესაბამისად, ეს მეთოდი გამორიცხავს დამთხვევებს.	საგამოცდო ცენტრი
სტუდენტთა და გამომცდელთა გამოკითხვა ოსკის (OSCE) გამოცდების შეფასებასთან დაკავშირებით (შუალედური გამოცდები)	2022-2023 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი	რეკომენდირებულია გადაიხედოს დროები როგორც ოსკის სრული გამოცდისთვის, ასევე ინდივიდუალური სადგურებისთვის	სიმულაციურ ცენტრში გამოცდის დროის განსაზღვრა მოხდა როგორც ლექტორის მიერ შესრულებული მანიპულაციის დროის განსაზღვრით ასევე დავითვალეთ ცალკეული მანიპულაციას სტუდენტი რამდენ ხანში ასრულებს. ვინაიდან სტუდენტების გარკვეულ ნაწილს კვლავ აქვთ უკმაყოფილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საგამოცდოდ წინასწარ განსაზღვრული დროები განხილულ იქნა სწავლების და	სიმულაციური ცენტრი

			შეფასების კომიტეტთან, ასევე განმახორციელებლებთან და მათი მოხდა მათი მხრიდან მიღებული რეკომენდაციების გათვლისწინება.	
დასკვნითი გამოცდების მიმდინარეობით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა	2022-2023 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი	გამოკითხული სტუდენტების 40.26% (31) ეთანხმება (5 ან 4 ქულა), მოსაზრებას, რომ საგამოცდო ცხრილი იყო კარგად შედგენილი (გამოცდები არ ემთხვეოდა ერთმანეთს), 15.58% (12) ნეიტრალურად აფასებს (3 ქულა), ხოლო 44.16% (34) არ ეთანხმება (2 ან 1 ქულა). 1. სტუდენტებმა აღიშნეს, რომ ყოფილა შემთხვევა, სადაც რამდენიმე გამოცდა ერთმანეთს დაემთხვათ. 2. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთი დამკვირვებელი არ არის თავაზიანი და გამოირჩევიან ზედემტი სიმკაცრით, ხოლო ზოგიერთმა ისაუბრა იმაზე, რომ შენიშვნას დამკვირვებლები ხმამაღლა იძლევიან, რაც სხვა სტუდენტებს კონცენტრაციაში ხელს უშლით.	1. საგამოცდო ცხრილის დამთხვევის თავიდან ასაცილებლად ბაზაში ჩაშენდა პროგრამა, რითიც საგამოცდო ცენტრს შეუძლია ცხრილის აწყობის პროცესში დააიდენტიფიციროს აქვს თუ არა ჯგუფს დამთხვევა, აღნიშნულის დაფიქსირების შემთხვევაში ხდება მყისიერი რეაგირება და დამთხვევის თავიდან აცილება. ერთადერთი შემთხვევა როცა სტუდენტს შეიძლება დამთხვევა ისევ დაუფიქსირდეს არის სტუდენტები, რომლებიც ვერ მიყვებიან სასწავლო გეგმას სტანდარტულად, ასეთი შემთხვევების იდენტიფიცირება შეუძლებელია, თუმცა სტუდენტს აქვს ამ შემთხვევაში შესაძლებლობა მიამრთოს საგამოცდო ცენტრს და ხდება შეძლებისდაგვარად საკითხის გათვალისწინება. 2. ყველა დამკვირვებელს ყოველი გამოცდის წინ უტარდება საინფორმაციო ტრენინგი. გარდა ამისა, საგამოცდო ცენტრის მხრიდან მუდმივად ხდება მათზე დაკვირვება და საჭიროების შემთხვვეაში მათი ცვლილება. მაგალითად, შემოდგომის სემესტრში ხელშეკურლება აღარ გაუგრძელდა ორ დამკვირვებელს და ჩანაცვლდნენ ახალი დამკვირვებლებით. შესაბამისად, ყოველთვის, ცენტრის თანამშრომელთა პირადი დაკვირვებების საფუძველზე და სტუდენტთა მიერ დაფიქსირებულ შემთხვევებში მოწმდება და შემდგომ ახლდება	საგამოცდო ცენტრი

			გამოცდაზე დამკვირვებელთა შემადგენლობა.	
დასკვნითი გამოცდების მიმდინარეობით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა	2022-2023 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი	გამოითქვა მოსაზრება, რომ გამოცდის დაწყებამდე გადამოწმდეს გამოსაყენებელი აღჭურვილობის გამართულად მუშაობა.	სიმულაციური ცენტრის ლაბორანტებს დავალებული აქვთ აღნიშნულ საკითხზე მუდმივი კონტროლი, მათ შორის გამოცდებს შორის შესვენებების დროსაც. ასევე, გამომცდელი აკვირდება აღნიშნულ საკითხს და საჭიროების შემთხვევაში აცნობებს ლაბორანტს. თუკი შეუძლებელია ადგილზე პრობლემის აღმოფხვრა ხდება ჩანაცვლება და ტექნიკოსის გამოძახება. თუკი შესაძლებელია ტექნიკოსი შეაკეთებს დაზიანებულ აღჭურვილობას, თუკი შეუძლებელია, ხდება ჩამოწერა და ახალი აღჭურვილობით ჩანაცვლება.	სიმულაციური ცენტრი
შუალედური გამოცდების პროცესით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზი	2022-2023 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი	საგამოცდო ცხრილების შეფასებისას სტუდენტების 55.26% (42) ეთანხმება ან სრულად ეთანხმება, რომ საგამოცდო ცხრილი იყო კარგად შედგენილი (გამოცდები არ ემთხვეოდა ერთმანეთს და ა.შ.), ნეიტრალურად აფასებს გამოკითხულთა 17.11% (13) და დანარჩენი 27.63% (21) ეთანხმება ან სრულად არ ეთანხმება მოსაზრებას. 1. სტუდენტებმა აღიშნეს, რომ ყოფილა შემთხვევა, სადაც რამდენიმე გამოცდა ერთმანეთს დაემთხვათ 2. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ	1. საგამოცდო ცხრილის დამთხვევის თავიდან ასაცილებლად ბაზაში ჩაშენდა პროგრამა, რითიც საგამოცდო ცენტრს შეუძლია ცხრილის აწყობის პროცესში დააიდენტიფიციროს აქვს თუ არა ჯგუფს დამთხვევა. 2. ყველა დამკვირვებელს ყოველი გამოცდის წინ უტარდება საინფორმაციო ტრენინგი. გარდა ამისა, საგამოცდო ცენტრის მხრიდან მუდმივად ხდება მათზე დაკვირვება და საჭიროების შემთხვევაში მათი ცვლილება. მაგალითად, შემოდგომის სემესტრში ხელშეკურლება აღარ გაუგრძელდა ორ დამკვირვებელს და ჩანაცვლდნენ ახალი დამკვირვებლებით. შესაბამისად, ყოველთვის, ცენტრის თანამშრომელთა პირადი დაკვირვებების საფუძველზე და სტუდენტთა მიერ დაფიქსირებულ შემთხვევებში მოწმდება და შემდგომ ახლდება გამოცდაზე დამკვირვებელთა შემადგენლობა.	საგამოცდო ცენტრი

		ზოგიერთი დამკვირვებელი არ არის თავაზიანი და გამოირჩევიან ზედემტი სიმკაცრით, ხოლო ზოგიერთმა ისაუბრა იმაზე, რომ საგამოცდო აუდიტორიაში იყო ხმაური, გადაწერის საშუალებაც ჰქონდათ სტუდენტებს და დამკვირვებლები ვერ აკონტროლებდნენ სიტუაციას		
შუალედური გამოცდების პროცესით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზი	2022-2023 აკადემიური წლის გაზაფხული ს სემესტრი	სტუდენტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ „სადგურებისთვის განკუთვნილი დრო არ იყოს საკმარისი“	გასული სემესტრის კითხვარებშიც მუდმივად ფიქსირდებოდა მსგავსი პრობლემა, აქედან გამომდინარე სწავლების და შეფასების კომიეტეტთან კიდევ ერთხელ მოხდა დროის მენეჯმენტის საკითხს განხილვა, საბოლოოდ დრო გამოითვალა საშუალო მოსწრების სტუდენტის მიერ შესრულებეული დავალებების მიხედვით. გარდა ამისა, პედაგოგებს მიეცათ რეკომენდაცია თითოეული მანიპულაცია სტუდენტებს შეასრულებინონ კონკრეტულ დროებში, რაც განხორციელდა, შესაბამისად ლექტორების აზრითაც დრო აბსოლიტურად საკმარისია, სტუდენტები, რომლებიც მუდმივად ესწრებოდნენ მეცადინეობებს და ასრულებდნენ პრაქტიკულ დავალებებს, დროზე ადრე ასრულებენ დავალებას, თუმცა ის სტუდენტები რომლებიც გამოცდაზე შესვლის წინ ცდილობენ ვიდეოს დახმარებით შეისწვალონ სხვადასხვა პროცედურა, რასაკვირველია დროში ვერ ეტევიან.	სიმულაციური ცენტრი
შუალედური გამოცდების პროცესით	2022-2023 აკადემიური წლის	1. სტუდენტი აღნიშნავს რომ სასწავლო კურსში	1. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სტუდენტებთან და ლექტორთან მოხდა შეხვედრა	მედიცინის ფაკულტეტი

სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზი	გაზაფხულის სემესტრი	,,კლინიკური და პროფესიული უნარები 4'' კითხვები იყო არასწორად ფორმულირებული და ეწერა გაუგებრად. 2. სტუდენტი ითხოვს, რომ მეილზე ეგზავნებოდეს ინფორმაცია ზეპირი გამოკითხვების და ქვიზების ზუსტი თარიღის შესახებ. 3. ერთი სტუდენტი მიუთითებს, რომ კლინიკური გამოცდის ინსტრუქცია იყო გაუგებარი 4. სტუდენტების ნაწილმა დააფიქსირა, რომ რადგანაც საგამოცდო საკითხები შედგენილი იყო სხვადასხვა ლექტორის მიერ, ხვდებოდათ ისეთი კითხვებიც, რომელზეც მათ ლექტორს არ გაუმახვილებია ყურადღება, არ იყო დაფარული პრეზენტაციებით.	გამოცდის დასრულებისთანავე პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით. საბოლოოდ, სტუდენტებს მიეცათ საშუალება რომ გამოცდა დაეწერათ ახლიდან, მომზადდა ტესტების ახალი ვარიანტი. 2. ზეპირი გამოკითხვების და ქვიზების დრო მითიებულია სილაბუსში კვირების მიხედვით. თითოეულ ჯგუფს ზეპირი გამოკითხვა/ქვიზი უწევს კვირის იმ დღეს, როცა აქვთ მეცადინეობა ამა თუ იმ საგანში. იმ შემთვევაში თუ ხდება რაიმე ცვლილება, ლექტორი ვალდებულია მეილის საშუალებით შეატყობინოს სტუდენტებს ამის შესახებ. ინტეგრირებული სასწავლო კურსების შემთხვევაში, ხშირად დაბნეულობას იწვევდა ის ფაქტი, თუ რომელი კომპონენტის (ქვესაგნის) პრაქტიკულ საათზე და რომელ ლექტორთან დაწერდნენ სტუდენტები ქვიზს. მიმდინარე საშემოდგომო სემესტრიდან (2023-2024 აკადემიური წელი) ინტეგრირებულ სასწავლო კურსებში თითოეული ლექტორი ატარებს ქვიზს თავის საგანში, თარიღზე ინფორმირება ხდება წინასწარ. 3. OSCE - ის გამოცდის წინ სტუდენტები იღებენ როგორც ზოგად ინსტრუქციას ასვე თითოეული სადგურის დავალების შესახებ ინფორმაციას როგორც ზეპირად ასევე გაშვებულია ეკრანზე. თითოული სადგურის ინსტრუქცია კი ასევე განთავსებულია როგორც გასამოცდო ოთახის (სადგურის) კარზე ასევე თითოეულ საგამოცდო ოთახში. 4. ერთსადაიმავე სასწავლო კურსში ლექტორები მიყვებიან ერთ სილაბუსს სადაც სავალდებულო ლიტერატურა და თემატიკების ჩამონათვალი	

			მითითებულია. საგამოცდო პერიოდამდე ლექტორებთან ჩატარდა შეხვედრები და ეთხოვათ რომ გადაეხედათ და დაედასტურებინათ თავიანთი საგნის ტესტები. საგამოცდო ბორდის მიერ ხდება ლექტორების მიერ გამოგზავნილი ტესტების გაერთიანება და სასწავლო კურსის ყველა განმახორციელებელ პერსონალთან საერთო ფაილის გაზიარება. რაც იძლევა იმის საშუალებას რომ ტესტები გადამოწმდეს ყველა ლექტორის მიერ და გამოირიცხოს მექანიკური შეცდომები.	
შუალედური გამოცდების სტუდენტების მიერ შეფასება	2022-2023 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი	1. სტუდენტთა მხრიდან გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი საგამოცდო საკითხი არ იყო სასწავლო კურსის შინაარსთან შესაბამისობაში. 2. სტუდენტთა მხრიდან გამოიკვეთა, რომ სასურველია თავიდანვე ქონდეს ინფორმაცია დაახლოებით რა სახის დავალებები იქნება გამოცდაზე წარმოდგენილი. 3. სტუდენტთა კომენტარების მიხედვით გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსის „ბიომათემატიკა“ თემატიკა სტუდენტებისათვის საკმაოდ რთული იყო, ამასთან ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ სწავლების ხარისხით.	1. 2022-2023 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში ისწავლება 8 სასწავლო კურსი: „არაორგანული და ანალიზური ქიმია“, „ინგლისური ენა 1“, „ბიომათემატიკა“, „ცხოველთა ანატომია 1“, „ფიზიკა, ბიოფიზიკის საფუძვლებით“, „კომპიუტერული უნარები“, „ლათინური ენა-სავეტერინარო ტერმინოლოგია“. შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელების მიერ, საგამოცდო ცენტრისგან გამოთხოვილ იქნა თითოეული სასწავლო კურსის შუალედური გამოცდების საკითხები. აღნიშნული საკითხები დადარდა სილაბუსების სასწავლო კვირებში შეუალედურ გამოცდებამდე არსებულ თემებს და დადგინდა, რომ ყველა საგამოცდო საკითხი სრულად შეესაბამებოდა სასწავლო კურსის თემებს შუალედურ გამოცდებამდე. 2. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ სასწავლო კურსის სილაბუსში დეტალურად არის გაწერილი, როგორც შუალედურ, ისე დასკვნით გამოცდაზე არსებული დავალებების შინაარსი. სტუდენტებს პირველივე ლექციაზე ლექტორი აცნობს სილაბუსს და	სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი

			დეტალურად განიხილავს თითოეული დავალების შეფასების კომპონენტებსა და კრიტერიუმებს. ასევე, სასწავლო კურსების სილაბუსები ატვირთულია სტუდენტურ ბაზაში და სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა და ვალდებულება გაეცნონ სილაბუსებს. პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ საგამოცდო საკითხების გადახედვისას (რისი საჭიროებაც გამოიკვეთა ასევე კითხვარის შედეგებიდან გამომდინარე), დადგინდა რომ ყველა საგამოცდო საკითხი სრულად შეესაბამება სილაბუსით გაწერილს. 3. უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსი „ბიომათემატიკა“ მეტად მნიშვნელოვანია ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის, რადგან აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად მაგისტრანტს ევალება კვლევითი კომპონეტის შესრულება, ამ უკანასკნელს კი სჭირდება როგორც რაოდენობრივი და ისე თვისობრივი კვლევების ჩატარება, სტატისტიკური მონაცემების მოგროვება და დამუშავება. როგორც ჩანს, ზოგიერთი სტუდენტი ვერ ჩაწვდა აღნიშნული სასწავლო კურსის მნიშვნელობას, ზოგიერთი პრეკლინიკური და კლინიკური სასწავლო კურსების შესწავლის საჭიროებისათვის. რადგან სტუდენტთა მხრიდან გამოიკვეთა რეკომენდაციები სასწავლო კურსის თემატიკასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელების მხრიდან კიდევ ერთხელ გადაიხედა თემატიკა, კურსის განმახორციელებელსაც ეთხოვა მისი გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში მოდიფიცირება,	

			სასწავლო სემესტრის დაწყებამდე გონივრული ვადით ადრე. შეფასების შედეგად არ გამოიკვეთა ცვლილებების განხორციელების საჭიროება. რაც შეეხება სწავლების ხარისხის შემოწმებას, უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში მოხდა სააუდიტორიო მუშაობის შეფასება (რომელიც ხორციელდება ყველა ახლად აყვანილი ლექტორის შემთხვევაში), ლექციას დაესწრო შემფასებელთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი და „ვეტერინარიის“ ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, რომელთა მხრიდან ლექტორის მიერ ჩატარებული ლექცია დადებითად იქნა შეფასებული.	
დასკვნითი გამოცდების სტუდენტების მიერ შეფასება	2022-2023 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი	1. სტუდენტთა მხრიდან გამოიკვეთა, რომ საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას დამკვირვებლები იყვნენ უხეშები, რაც ქმნიდა სტრესულ გარემოს და შესაბამისად ხელს უშლიდა სტუდენტებს საგამოცდო საკითხების გადმოცემაში. 2. სტუდენტების მხრიდან გამოიკვეთა, რომ შუალედური გამოცდებისთვის განკუთვნილი 1 კვირა არ არის საკმარისი დრო, რადგან ყველა სასწავლო კურსის	1. უნდა აღინიშნოს, რომ დამკვირვებლთა მხრიდან არათავაზიანი დამოკიდებულებების გამოვლენასთან დაკავშირებით სტუდენტთა მიერ არაერთხელ გამოიკვეთა კომენტარი. სწორედ სტუდენტთა კომენტარების საფუძველზე, 2021-2022 აკადემიურ წელს, მნიშვნელოვნად განახლდა გამოცდებზე დამკვირვებელთა შემადგენლობა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საგამოცდო პროცესის დამკვირვებელთა შერჩევა ხდება კანდიდატთათვის წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც გულისხმობს რომ დამკვირვებელი უნდა იყოს თავაზიანი, უზრუნველყოს საგამოცდო პროცესის დარღვევების გარეშე წარმართვა,	სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი

		გამოცდის 1 კვირაში განაწილების შემთხვევაში, გამოცდებს შორის შუალედი არის მეტისმეტად მცირე.	აკონტროლოს სტუდენტების მიერ უფლება-მოვალეობების დაცვა, მათი დარღვევის შემთხვევაში მისცეს სტუდენტს გაფრთხილება, აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების სრული დაცვით. დაუშვებელია სტუდენტებისადმი უხეში მოპყრობა, მათი შეურაცხყოფა და გამიზნულად სტრესული გარემოს პროვოცირება. სავარაუდო დამკვირვებლობის განდიდატებს ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ დეტალურად ეცნობებათ, როგორც შერჩევის პროცესში, ასევე, შერჩევის შემდგომ ყოველი საგამოცდო პერიოდის წინ. საგამოცდო ცენტრის მხრიდან კიდევ ერთხელ გადაიხედება არსებული შემადგენლობა, შეძლებისდაგვარად მოხდება იმ პირთა იდენტიფიცირება ვის მიერაც განხორციელდა დარღვევები და მოხდება მათი ჩანაცვლება. საგამოცდო პროცესების დამკვირვებლების ახალ და არსებულ შემადგენლობასთან პერმანენტულად გაგრძელდება ინსტრუქტაჟი, ყოველი საგამოცდო პროცესის წინ. 2. სტუდენტთა მხრიდან, სასწავლო კურსების გამოცდებს შორის არსებული შუალედების სიმცირის შესახებ არაერთხელ დაფიქსირდა კომენტარი, სტუდენტები ითხოვენ, გაიზარდოს გამოცდებს შორის შუალედი რათა ჯეროვნად შეძლონ მომზადება თითოეული გამოცდისთვის. საგამოცდო ცენტრის მრიდან განხორციელდება კომუნიკაცია პროგრამის ხელმძღვანელებთან და ფაკულტეტთან, რომლებიც თავის მხრივ საკითხს გაივლიან სასწავლო კურსების განმახორციელბლებთან და დადგინდება რამდენად არის	

			საგამოცდო პერიოდის გაზრდის საჭიროება.	
შუალედური გამოცდების სტუდენტების მიერ შეფასება	2022-2023 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი	ერთ-ერთი სტუდენტი აფიქსირებს, რომ გამოსასწორებელია კომპიუტერის ტექნიკური უზრუნველყოფა.	აღსანიშნავია, რომ 2022-2023 აკადემიური წლის დასაწყისში ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (თბილისი, 0141, გურამიშვილის გამზ. 76) სრულად განახლდა კომპიუტერები. ადმინისტრაციულ კორპუსში IV და V სართულზე მოწყობილია ორი კომპიუტერული ლაბორატორია, რომელთაგან თითოეული აღჭურვილია 26 ახალი კომპიუტერით. აღსანიშნავია, რომ საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე, ევროპის უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის წარმომადგენელთა მხრიდან ხორციელდება თითოეული კომპიუტერის შემოწმება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ყველა კომპიუტერის ტექნიკური გამართულობა. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტის კომენტარი საგულისხმოა, მოხდა ფაქტის მოკვლევა, კერძოდ საგამოცდო ცენტრის უფროსი სპეციალისტი დაუკავშირდა ყველა იმ გამოცდის დამკვირვებელს, რომელიც ესწრებოდა კომპიუტერულ ლაბორატორიაში ჩატარებულ გამოცდებს. შედეგად გამოიკვეთა, რომ არცერთ ასეთ გამოცდაზე არ ყოფილა შემთხვევა რომ სტუდენტს ვერ შეესრულებინა დავალება კომპიუტერის ტექნიკური გაუმართოების გამო. აქვე დამატებით უნდა ითქვას, რომ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა კომპიუტერის ტექნიკური გაუმართაობის შესახებ აცნობოს დამკვირვებელს ფაქტის იდენტიფიცირებისთანავე და მოითხოვოს ადგილის ცვლილება. ტექნიკური	საგამოცდო ცენტრი

			პრობლების მოგვარებამდე დაკარგული დრო სტუდენტს აუნაზღაურდება.	
დასკვნითი გამოცდების სტუდენტების მიერ შეფასება	2022-2023 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი	1. სტუდენტთა მხრიდან გამოიკვეთა, რომ სასურველია ზაფხულში უზრუნველყოფილ იქნას გაგრილების სისტემა საგამოცდო აუდიტორიებში. 2. სტუდენტთა მხრიდან გამოიკვეთა, რომ საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას დამკვირვებლები იყვნენ უხეშები, რაც ქმნიდა სტრესულ გარემოს და შესაბამისად ხელს უშლიდა სტუდენტებს საგამოცდო საკითხების გადმოცემაში.	1. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის უნივერსიტეტში ყველა აუდიტორია არის უზრუნველყოფილი შესაბამისი გაგრილების სისტემით, თუმცა სტუდენტების მიერ გაგრილების პრობლემასთან დაკავშირებით კომენტარი დაფიქსირდა 2022-2023 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრის შუალედური გამოცდების დროსაც. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში სტუდენტებს გაგრილების სისტემა არ სჭირდებოდათ, აღნიშნული საყურადღებო საკითხი მაინც მოკვლეულ იქნა და საგამოცდო პროცესის დამკვირვებელთა მხრიდან დადასტურდა, რომ ზოგიერთ აუდიტორიაში, ნამდვილად იყო გაგრილების სისტემასთან დაკავშირებული პრობლემა. საკითხის იდენტიფიცირებისთანავე საგამოცდო ცენტრის მხრიდან განხორციელდა კომუნიკაცია შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურთან და ეთხოვათ მათ გადამოწმდეს ყველა ის აუდიტორია, რომელშიც საგამოცდო განრიგის მიხედვით დაგეგმილია გამოცდების ჩატარება, რათა მაქსიმალურად შევეცადოთ, აღმოიფხვრას მსგავსი სახის პრობლემები. მიუხეადავად იმისა, რომ 2022-2023 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრის დასკვნითი გამოცდების წინ შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან შემოწმდა ყველა საგამოცდო აუდიტორიაში კონდიცირების სისტემის გამართულობა და იმ	საგამოცდო ცენტრი

			აუდიტორიებში სადაც კონდიციონერები არ მუშაობდა გამართულად მოხდა მათი გამოცვლა (ჯამში ივლისის ბოლოს და აგვისტოს დასაწყისში გამოიცვალა 6 კონცენციონერი და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუში არსებული ყველა კონდეციონერის დიაგნოსტირების შედეგად საჭიროებისამებრ შეკეთდა 12 კონცენციონერი), მაინც აღმოჩნდა ისე, რომ რამდენიმე გამოცდის დაწყებისას ვერ მოხერხდა კონდიციონერის ჩართვა. როგორც კი დამკვირვებელთა მხრიდან აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდა საგამოცდო ცენტრის უფროს სპეციალისტს მან მყისიერად უზრუნველყო სტუდენტთა გადანაწილება ისეთ აუდიტორიებში, რომლებშიც გაგრილების სისტემა სათანადოდ მუშაობდა. თუმცა, შესაძლებელია ამ სტუდენტების შემთხვევაში დამკვირვებელთა მხრიდან ინფორმაცია არ მიეწოდა საგამოცდო ცენტრის წარმომადგენლებს, რის გამოც ვერ მოხერხდა პრობლების მოგვარება. 2022-2023 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრის დასკვნითი გამოცდების შეფასების შედეგების გაცნობის შემდეგ, საგამოცდო ცენტრის მხრიდან განხორციელდა კომუნიკაცია დამკვირვებლებთან და ეთხოვათ მათ, თუ შემდგომში გამოცდების მიმდინარეობისას გაგრილების, ან ნებისმიერი სხვა ისეთი ტიპის პრობლემა იქნება, რამაც შეიძლება სტუდენტებს გამოცდების წერის პროცესში დისკომფორტი შეუქმნას მათი მხრიდან დაუყოვნებლივ მიეწოდოს ინფორმაცია საგამოცდო ცენტრის წარმომადგენლებს, რათა დროულად აღმოიფხვრას ყველა პრობლება და უზრუნვეყოფილ	

			იქნას სტუდენტებისთვის კომფორტულ გარემოში გამოცდების დაწერა. 2. უნდა აღინიშნოს, რომ დამკვირვებლთა მხრიდან არათავაზიანი დამოკიდებულებების გამოვლენასთან დაკავშირებით სტუდენტთა კომენტარების საფუძველზე, 2021-2022 აკადემიურ წელს, მნიშვნელოვნად განახლდა გამოცდებზე დამკვირვებელთა შემადგენლობა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საგამოცდო პროცესის დამკვირვებელთა შერჩევა ხდება კანდიდატთათვის წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც გულისხმობს, რომ დამკვირვებელი უნდა იყოს თავაზიანი, უზრუნველყოს საგამოცდო პროცესის დარღვევების გარეშე წარმართვა, აკონტროლოს სტუდენტების მიერ უფლება-მოვალეობების დაცვა, მათი დარღვევის შემთხვევაში მისცეს სტუდენტს გაფრთხილება, აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების სრული დაცვით. დაუშვებელია სტუდენტებისადმი უხეში მოპყრობა, მათი შეურაცხყოფა და სტრესული გარემოს პროვოცირება. სავარაუდო დამკვირვებლობის კანდიდატებს ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ დეტალურად ეცნობებათ, როგორც შერჩევის პროცესში, ასევე, შერჩევის შემდგომ ყოველი საგამოცდო პერიოდის წინ. საგამოცდო ცენტრის მხრიდან კიდევ ერთხელ გადაიხედება არსებული შემადგენლობა, შეძლებისდაგვარად მოხდება იმ პირთა იდენტიფიცირება ვის მიერაც განხორციელდა დარღვევები და მოხდება მათი ჩანაცვლება. საგამოცდო პროცესების დამკვირვებლების	

			ახალ და არსებულ შემადგენლობასთან პერმანენტულად გაგრძელდება ინსტრუქტაჟი, ყოველი საგამოცდო პროცესის წინ. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებული შეფასების შედეგები მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული ზემოაღწერილი ცვლილებების შედეგად.	
შუალედური გამოცდების სტუდენტების მიერ შეფასება	2022-2023 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრი	1. სტუდენტებმა დააფიქსირეს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დამკვირვებლები დროულად არ ცხადდებოდნენ გამოცდების ჩატარების ადგილას, რის გამოც გამოცდა იწყებოდა დაგვიანებით. 2. სტუდენტთა მხრიდან გამოიკვეთა, რომ სასურველია ზაფხულში უზრუნველყოფილი იქნას გაგრილების სისტემა საგამოცდო აუდიტორიებში. 3. ერთ-ერთი სტუდენტის მხრიდან გამოიკვეთა, რომ საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას დამკვირვებლის მხრიდან ადგილი ჰქონდა უხეშ მოპყრობას. 4. ზოგიერთი სტუდენტის თქმით, სასურველია საგამოცდო აუდიტორია სრულად არ იყოს დატვირთული, რათა, გამოცდის მსვლელობისას,	1. საგამოცდო ცენტრის მიერ, ყოველი საგამოცდო პროცესის დაწყების წინ ხდება დამკვირვებელთა ინსტრუქტაჟი, რომლის პროცესშიც მათ ეცნობებათ რომ საგამოცდო ცენტრის დებულების თანახმად (დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 მარტის №62 ბრძანებით) მათ აქვთ ვალდებულება, გამოცდის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე გამოცხადნენ საგამოცდო ადგილას, რათა მოახერხონ საგამოცდო ადგილის მომზადება და გამოცდა დაიწყოს წინასწარ განსაზღვრულ დროს. მიუხედავად ამისა, 2022-2023 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრის შუალედური გამოცდებისას რამდენჯერმე დაფიქსირდა დამკვირვებელთა მხრიდან დაგვიანების ფაქტი, რაც გამოწვეული იყო ობიექტური მიზეზებით. მიუხედავად ამისა თითოეულ იმ დამკვირვებელს, რომელმაც დაიგვიანა გამოცდაზე მიეცა გაფრთხილება და ასევე, საგამოცდო პროცესების დაწყებამდე დამკვირვებელთა ჯგუფის ინსტრუქტაჟის დროს კიდევ ერთხელ გამახვილდება ყურადღება გამოცდის ადგილზე დამკვირვებლის დროულად გამოცხადების მნიშვნელობაზე, რათა შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული განრიგით	საგამოცდო ცენტრი

		მათთვის მეტად კომფორტული იყოს გარემო.	გათვალისწინებული დროის გადაცილებით გამოცდის დაწყება. აქვე აუცილებლად ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დაგვიანებით დაწყებული გამოცდების დროის ათვლა დაიწყო გამოცდის დაწყების შესაბამისად, რათა სტუდენტებს არ მოკლებოდათ გამოცდისთვის განსაზღვრული ხანგრძლივობა. 2. უნდა აღინშნოს, რომ ევროპის უნივერსიტეტში ყველა აუდიტორია არის უზრუნველყოფილი შესაბამისი გაგრილების სისტემით, თუმცა სტუდენტების მიერ დაფიქსირებული კომენტარის შემდეგ, როცა მოკვლეულ იქნა აღნიშნული საკითხი საგამოცდო პროცესის დამკვირვებელთა მხრიდან დადასტურდა, რომ ზოგიერთ აუდიტორიაში, ნამდვილად იყო გაგრილების სისტემასთან დაკავშირებული პრობლემა. საკითხის იდენტიფიცირებისთანავე საგამოცდო ცენტრის მხრიდან განხორციელდა კომუნიკაცია შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურთან და ეთხოვათ მათ გადამოწმდეს ყველა ის აუდიტორია, რომელშიც საგამოცდო განრიგის მიხედვით დაგეგმილია გამოცდების ჩატარება, რათა მაქსიმალურად შევეცადოთ, აღმოიფხვრას მსგავსი სახის პრობლემები. კომუნიკაციის შედეგად, სამსახურისგან გაზიარდე რეაგირების შესახებ შემდეგი ინფორმაცია: ევროპის უნივერსიტეტის ყველა აუდიტორია არის უზრუნველყოფილი შესაბამისი გაგრილების სისტემით, თუმცა სტუდენტების მხრიდან აღნიშნული კომენტარის დაფიქსირების შემდგომ, საკითხი მოკვლეულ იქნა და დადგინდა, რომ ზოგიერთ აუდიტორიაში	

			ნამდვილად იყო გაგრილების სისტემასთან დაკავშირებული პრობლემა. პრობლემის იდენტიფიცირებისთანავე შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან გადამოწმდა თითოეულ აუდიტორიაში კონდენციონერების გამართულობა და იმ აუდიტორიებში სადაც კონდენციონერები არ მუშაობდა გამართულად, მოხდა მათი გამოცვლა (ჯამში ივლისის ბოლოს და აგვისტოს დასაწყისში გამოიცვალა 6 კონდენციონერი და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუში არსებული ყველა კონდენციონერის დიაგნოსტირების შედეგად საჭიროებისამებრ შეკეთდა 12 კონდენციონერი). 3. სტუდენტთა კომენტარების საფუძველზე, 2021-2022 აკადემიურ წელს, მნიშვნელოვნად განახლდა გამოცდებზე დამკვირვებელთა შემადგენლობა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საგამოცდო პროცესის დამკვირვებელთა შერჩევა ხდება კანდიდატთათვის წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც გულისხმობს რომ დამკვირვებელი უნდა იყოს თავაზიანი, უზრუნველყოს საგამოცდო პროცესის დარღვევების გარეშე წარმართვა, აკონტროლოს სტუდენტების მიერ უფლება-მოვალეობების დაცვა, მათი დარღვევის შემთხვევაში მისცეს სტუდენტს გაფრთხილება, აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების სრული დაცვით. დაუშვებელია სტუდენტებისადმი უხეში მოპყრობა, მათი შეურაცხყოფა და სტრესული გარემოს პროვოცირება. სავარაუდო დამკვირვებლობის	

			კანდიდატებს ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ დეტალურად ეცნობებათ, როგორც შერჩევის პროცესში, ასევე, შერჩევის შემდგომ ყოველი საგამოცდო პერიოდის წინ. მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნული ღონისძიებისა, სამწუხაროდ მიმდინარე წელსაც გამოიკვეთა დამკვირვებელთა მხრიდან მათი უფლება-მოვალეობების დარღვევის ფაქტები. შესაბამისად, საგამოცდო ცენტრის მხრიდან კიდევ ერთხელ გადაიხედება არსებული შემადგენლობა, შეძლებისდაგვარად მოხდება იმ პირთა იდენტიფიცირება ვის მიერაც განხორციელდა დარღვევები და მოხდება მათი ჩანაცვლება. საგამოცდო პროცესების დამკვირვებლების ახალ და არსებულ შემადგენლობასთან პერმანენტულად გაგრძელდება ინსტრუქტაჟი, ყოველი საგამოცდო პროცესის წინ. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებული შეფასების შედეგები მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული ზემოაღწერილი ცვლილებების შედეგად. 4. ევროპის უნივერსიტეტში არსებულ საგამოცდო აუდიტორიებში შესაძლებელია 32, 36, 60 სტუდენტის განაწილება, საგამოცდო აუდიტორიათა შორის ყველაზე დიდი აუდიტორია არის 70 ადგილიანი, აღნიშნულ აუდიტორიაშიც გამოცდების ჩატარებისას არ ხდება მისი სრულად შევსება (მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა არის 60 სტუდენტი). ასევე, საგამოცდო აუდიტორიაში განაწილებულია შესაბამისი რაოდენობის დამკვირვებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ გამოცდის მიმდინარეობისას	

			წესრიგის დაცვას. უნდა აღინიშნოს, რომ საგამოცდო ცენტრის მიერ გამოცდების განრიგის შედგენისას, როცა ხდება სტუდენტების განაწილება სესიებზე გათვალისწინებულია, რომ თითოეულ საგამოცდო აუდიტორიაში მოხვდეს სხვადასხვა პროგრამების სტუდენტები, რომლებიც წერენ განსხვავებული საგნების გამოცდებს, გამოცდებზე სტუდენტების ჯგუფების შერევა ხდება მიზანმიმართულად, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ გვერზე მსხდომი სტუდენტები წერდნენ განსხვავებულ ტესტს. სტუდენტები, რომლებიც წერენ ერთსა და იმავე საგნის გამოცდას განაწილებულები არიან ერთ რიგში, თუმცა აქაც უნდა აღინიშნოს, თანმიმდევრულად ისე ნაწილდება საგამოცდო ვარიანტები, რომ უზრუნველყოფილი იქნას ერთმანეთის შემდგომ მსხდომი სტუდენტების მხრიდან განსხვავებული ვარიანტების დაწერა. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სავარაუდოდ იგულიხსმება თავად საგამოცდო გარემო, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ერთ-ერთ გამოცდაზე ვერ მოხერხდა საგამოცდო სივრცის განიავება, რამაც სტუდენტებს დისკომფორტი შეუქმნა. უნდა აღინშნოს, რომ ევროპის უნივერსიტეტში არსებული ყველა აუდიტორიას აქვს საჭიროებისამებრ განიავების შესაძლებლობა, თუმცა სტუდენტების მიერ დაფიქსირებული კომენტარის შემდეგ, როცა მოკვლეულ იქნა აღნიშნული საკითხი საგამოცდო პროცესის დამკვირვებელთა მხრიდან დადასტურდა, რომ ერთ-ერთ აუდიტორიაში ვერ მოხერხდა ფანჯრის გამოღება.	

			საკითხის იდენტიფიცირებისთანავე საგამოცდო ცენტრის მხრიდან განხორციელდა კომუნიკაცია შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურთან და ეთხოვათ მათ გადამოწმდეს ყველა აუდიტორია, რომელშიც საგამოცდო განრიგის მიხედვით დაგეგმილია გამოცდების ჩატარება, რათა მაქსიმალურად აღმოიფხვრას მსგავსი შემთხვევა.	

შეფასების შედეგად გამოკვეთილ საყურადღებო საკითხებზე მომავალშიც დაგეგმილია რეაგირებების მიზნით სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მხრიდან გარკვეული ნაბიჯების გადადგმა. განსაზღვრულია მათი შესრულების ვადებიც. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2022-2023 აკადემიურ წელს განოხრიცლებეული შეფასებების საფუძელზე გამოვლენილი საყურადღებო საკითხების აბსოლუტურ უმრავლესობაზე განხორციელებულია სათანადო რეაგირებები შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების მიერ, რაც იკითხება კიდეც ზემოთ მოცემულ ცხრილში. არის რამდენიმე დაგეგმილი აქტივობა, რომლის განხორციელებაც მოითხოვს გარკვეულ დროს და მათი შესრულების ვადად განსაზღვრულია ძირითადად 2023-2024 აკადემიური წელი (დეტალებისთვის იხ. დანართი #22 - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფარგლებში 2022-2023 აკადემიურ წელს განხორციელებული შეფასების შედეგებზე რეაგირების ანალიზი). აქვე აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აგრძელებს დაგეგმილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას.

თანდართული ანგარიშები/მტკიცებულებები

დანართი #1 - საგანმანათლებლო პროგრამების წლიური შეფასების ანგარიშები.

დანართი #2 - დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები.

დანართი #3 - სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასება, კურსდამთვარებულების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები.

დანართი #4 - სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება, აკადემიური მოსწრების ანალიზი, შედეგების შეფასება პროგრამის მე-4 დანართის მიხედვით, ანგარიშები ანალიზის შედეგების გამოყენებისა და რეაგირების შესახებ.

დანართი #5 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება, პროფესიული განვითარების ანგარიშები, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები.

დანართი #6 - ნაშრომის ხელმძღვანელების შეფასება, შედეგების ანალიზი, შედეგებზე რეაგირების ანგარიში.

დანართი #7 - სააუდიტორო მუშაობის შეფასების ანგარიშები, გაცემული უკუკავშირები, შეფასების შემაჯამებელი ანგარიშები და რეაგირების ანგარიშები.

დანართი #8 - პრაქტიკის კომპონენტის შეფასების შედეგები და შედეგების ანალიზი.

დანართი #9 - პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის და სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები, შედეგების ანალიზი და საყურადღებო საკითხებზე რეაგირების ანგარიშები.

დანართი #10 - სტუდენტებთან შეხვედრების შემაჯამაბელი ანგარიშები, შეფასების შედეგებზე სტრუქტურული ერთეულების რეაგირების ანგარიშები.

დანართი #11 - საერთაშორისო აკადემიური მობილობის შეფასების შედეგები და შედეგების ანალიზი.

დანართი #12 - მობილობის მონაწილე სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და რეაგირების ანგარიშები.

დანართი #13 - საგამოცდო პროცესების შეფასების შედეგები, შედეგების ანალიზი, შეფასების შედეგებზე საგამოცდო ცენტრის რეაგირების ანგარიშები.

დანართი #14 - საგამოცდო ცენტრის ანგარიშები ნაშრომების შეფასებიდან მოხსნისა და აპელაციის შემთხვევების შესახებ.

დანართი #15 - სტუდენტთა წერილობითი ნამუშევრების პლაგიატის პროგრამაში გადამოწმებისა და რეაგირების ანგარიშები.

დანართი #16 - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელის ანგარიში უნივერსიტეტის პერსონალის საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის შესახებ.

დანართი #17 - კვლევითი საგრანტო პროექტის მიმდინერეობის ანგარიშები.

დანართი #18 - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრისა და სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ანგარიშები პერსონალის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ.

დანართი #19 - მართვის პროცესების შეფასება, შეფასების შედეგების ანალიზი, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები.

დანართი #20 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის ცხრილი.

დანართი #21 - სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრა და მონიტორინგი: სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის და სტუდენტთა რაოდენობის მონიტორინგის ცხრილები.

დანართი #22 - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული შეფასების შედეგებზე რეაგირების ანალიზი.